[illegible] სახ. საქ. სსრ საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

**რედაქცია**
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული

რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.

ტელეფ.:
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

**მთავარი კანტორა** თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 30 აგვისტო 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 202 (2850)

## დ ღ ი უ რ ი

— ვარშავაში გაიხსნა აგრარულ ქვეყნების კონფერენცია.
— გაზ. „მილიეთ“ თურქეთ - საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.
— ხმები კოალიციონური მთავრობის შედგენის შესაძლებლობის შესახებ ინგლისში.
— ბერლინის რევოლიუციონურ ფიზკულტურელების დემონსტრაცია.
— ვარშავაში გააუქმეს სიკვდილის განაჩენი სამი კომკავშირელის საქმეზე.
— 2 სექტემბერს ეწყობა საბჭოთა აეროპლანების გადაფრენა ახლო-აღმოსავლეთის ქვეყნებში.

## უხელმძღვანელოთ ახალ ძლიერ ლტოლვას კოლმეურნეობებში

საშუალო გლეხი და კულაკი ბარიკადების სხვადასხვა მხარეზე დადგნენ. კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაცია ხდება საშუალო გლეხობის მასების უშუალო და აქტიური მონაწილეობით. საშუალო გლეხი, რომელიც კოლექტივიზაციის გზას დაადგა, საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენად იქცა.

ასეთია თანამედროვე სოფლის კლასობრივ ძალების დაჯგუფება, რომელიც რკინისებური აუცილებლობით გამომდინარეობს პარტიის დიადი ლოზუნგის—მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის იმ ლოზუნგის—განხორციელებიდან, რომელიც „მოასწავებს მუშათა კლასის იერიშს კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკანასკნელ დასაყრდნობზე ჩვენს ქვეყანაში“. (მე-16 ყრილობის რეზოლიუცია).

მთლიანი კოლექტივიზაციის და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი—პარტიის მთავარი ლოზუნგია. ყოველგვარი თეორია, რომელიც ცდილობს პარტიის ამ მთავარი ლოზუნგის „შენელებას“ და მთლიანი კოლექტივიზაციის ამოცანისათვის „საერთოდ“ კოლექტივიზაციის ან „მასიური“ (ოღონდ არა მთლიანი) კოლექტივიზაციის დაპირისპირებას,—ასეთი თეორია აუცილებლად კულაკების ინტერესების გამომხატველი იქნება, იგი იქნება მემარჯვენე უკლონისტების თეორიის მხოლოდ გადასხვაფერება და მათი ლოზუნგის—სოციალიზმში კულაკის შეზრდის ლოზუნგის ერთ-ერთი გამოხატულება.

იმ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის მთლიანი კოლექტივიზაცია, პარტიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოამზადოს უახლოეს წლებში პირობები პარტიის მთავარი ლოზუნგის—მთლიანი კოლექტივიზაციის და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგის განსახორციელებლად.

მსხვილი სასოფლო მეურნეობის შექმნის ორი გზიდან შესაძლებელია მხოლოდ რომელიმე ერთი გზის არჩევა—ან უკან, კაპიტალიზმისაკენ, ან წინ—სოციალიზმისაკენ.

ეს ორი გზა დიამეტრალურად მოწინააღმდეგე გზებია. მათი პარალელურად განვითარების და მომავალში მათი შეყრის იმედი—„შეზრდის“ ყველაზე უფრო მავნებელი მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორიაა. სწორედ ამიტომ წამოაყენა პარტიამ მთლიანი კოლექტივიზაციის ლოზუნგი, სწორედ ამიტომ წარმოადგენს ამ ლოზუნგის შემადგენელ ნაწილს კოლმეურნეობის ანტიპოდის—სოფლის კაპიტალისტური კულაკური მეურნეობის ლიკვიდაცია.

მთლიანი კოლექტივიზაციის ლოზუნგის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის საფუძველზე.

პარტიას კოლმეურნეობის ძალდატანებით მოწყობის ყოველგვარი ცდა ლენინიზმის წინააღმდეგ მიმართულ ცდად მიაჩნია. საკოლმეურნეო მოძრაობაში „თვითმდინარეობის“ თეორიის და არაბოლშევიკურ პასივობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად პარტია სასტიკად ებრძვის აგრეთვე ადმინისტრატიული იძულების მომხრეებს საკოლმეურნეო მშენებლობაში.

ყველა პარტიულ ორგანიზაციების ამოცანაა—მემარჯვენე ოპორტუნისტულ „თვითმდინარეობის“ და მემარცხენე უკლონისტურ ადმინისტრატიულ ზეგავლენის უარყოფასთან ერთად საკოლმეურნეო მოძრაობაში, გამოიჩინონ ნამდვილი ბოლშევიკური სიმტკიცე კოლმეურნეობებში ღარიბ და საშუალო გლეხების შემდგომი მასიური ჩაბმის მოსაწყობად.

ამაში გამოიხატება პარტიული ორგანიზაციების მთავარი და გადამწყვეტი ამოცანა. „პარტიის მუშაობისათვის ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობების ნებაყოფლობით შემდგომი ჩაბმის ამოცანას“ (მე16 ყრილობის რეზოლიუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო).

შემდგომი ბრძოლა მთლიანი კოლექტივიზაციისათვის და კოლმეურნეობებში ახალი ჩაბმის მოწყობა „უკვე შემოდგომიდან“—ასეთია პარტიული ორგანიზაციების უმთავრესი და გადამწყვეტი ამოცანა, რომელიც მე-16 ყრილობამ წამოაყენა. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ამოცანა სრულიად არასაკმაოდ ხორციელდება. ადგილებიდან მიღებული მრავალი ცნობა მოწმობს იმას, რომ მთელ რიგ რაიონებში გლეხები მიილტვიან კოლმეურნეობებში შესვლისაკენ, მაგრამ ამ ცნობებში ხშირად ნათქვამია, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა ვითარდება სტიქიურად და ხელმძღვანელი როლი ამ მოძრაობაში მთელ რიგ პარტიული ორგანიზაციების მხრით სუსტია.

ვოლსკის რაიონში ფართოდ იყო გავრცელებული კოლმეურნეობათა ზრდის ხელოვნურად შეფერხების შემთხვევები. ადგილობრივმა მემარჯვენე ოპორტუნისტულმა პრაქტიკოსებმა კოლმეურნეობების ზრდის შეფერხების ორიგინალური ხერხი მოიგონეს: მათ კოლმეურნეობაში შესვლის ყველა მსურველთათვის შემოიღეს საკანდიდატო სტაჟი ერთ-ნახევარი წლიდან ორ წლამდე. კულიკოვის არტელის გამგეობის ამ „ბრძნულმა“ გადაწყვეტილებამ, რომელიც სოფლის საბჭომ და უჯრედმა დაამტკიცეს, ბევრი ზიანი მოუტანა საკოლმეურნეო მოძრაობას რაიონში—ინდივიდუალური მეურნეების მასები ჩამოაცილა კოლმეურნეობას.

სოფ. სემიდუროვში, ნოვოჩერკასკის რაიონში, იმავე ვოლსკის ოლქში, არტელის გამგეობამ ერთ თვეზე მეტი განზრახ მაგიდაში „შეინახა“ ასზე მეტი განცხადება კოლმეურნეობაში შესვლის შესახებ.

დამახასიათებელია, რომ ამ მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას ვოლსკის ოლქში, პრაქტიკას, რომელიც ასუსტებდა საკოლმეურნეო მოძრაობას, ადგილობრივი მუშაკები ასაბუთებდნენ „კოლმეურნეობის შესუსტების შიშით“. ცნობები საკოლმეურნეო ტალღის შეფერხების შესახებ ხარკოვის რაიონიდან და უკრაინის სხვა რაიონებიდანაც მოდის.

ხარკოვის რაიონში უკანასკნელ დეკადების განმავლობაში მოხდა კოლექტივიზაციის პროცენტის „სტაბილიზაცია“. მთელი რიგ კოლმეურნეობების გამგეობანი, მაგალითად, „არტელ ჩერვონნი პახარი“-ს (იზიუმსკის რაიონი), „ლენინის სახელობის კომუნის“ (პეტროვსკის რაიონი), და სხვა არტელების გამგეობანი სისტემატიურად არ არჩევენ განცხადებებს კოლმეურნეობაში შესვლის შესახებ და თავიანთ ოპორტუნისტულ საქმის გაჭიანურებას „დროის უქონლობით“ ასაბუთებენ. შეხედეთ, მათ „არ სცალიათ“ იმისათვის, რომ ცხოვრებაში გაატარონ პარტიის ძირითადი ლოზუნგები! არტელ „ილიჩის“ გამგეობა (დნეპროპეტროვსკის რაიონში) როგორც დღევანდელ „პრავდა“-ში იუწყებიან ამის შესახებ, საკოლმეურნეო მოძრაობის შეფერხების მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას ასეთი რადიკალური საშუალებით ახორციელებს: გამოირიცხოს 12 მეურნეობა კოლმეურნეობიდან და ყველა დანარჩენებს, რომელთაც არ სურთ არტელში ყოფნა, წინადადება მიეცეს შემოიტანონ განცხადებები, მათ გამოეყოფათ მიწა„.

ასე მემარჯვენე ოპორტუნისტულად და არა ბოლშევიკურად ესმის ზოგიერთ მუშაკს ნებაყოფლობა საკოლმეურნეო მოძრაობაში. ცხადია, რომ კულაკები ფართოდ გამოიყენებენ კოლმეურნეობების დაშლის მიზნით მემარჯვენე ოპორტუნისტების „უკეთეს“ შემთხვევაში პასივობის და ხშირად უარყოფითი „აქტიურობის“ ასეთ ფაქტებს, ოპორტუნისტების, რომელთაც არ სურთ ან ორგანიულად არ შეუძლიათ განახორციელონ პარტიის ხაზი მთლიან კოლექტივიზაციაზე.

მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკის ასეთ რაინდებს მაგრად უნდა დავსცხოთ და დაუკარგოთ მათ კოლექტივიზაციის საქმის ჩაშლის ხალისი. „პარტიამ დაამარცხა მემარჯვენე ოპორტუნისტები და უდიდესი მიღწევები მოიპოვა საკოლმეურნეო მოძრაობაში. პარტია, როგორც მე-16 ყრილობის რეზოლიუცია აღნიშნავს, — შემდეგშიაც სასტიკად შეებრძოლება კოლექტივიზაციის ჩაშლის ყოველგვარ ცდას მემარჯვენე ოპორტუნისტების მხრივ“.

მძლავრი საკოლმეურნეო მოძრაობის შექმნაში მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობის და ორგანიზატორული როლის შესუსტების მიზეზს წარმოადგენს ისიც, რომ მათ არ შესწევთ უნარი, უდიდესი საწარმოო ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში დაუკავშირონ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მუშაობას კოლექტივიზაციის შემდგომი ზრდისათვის.

ადგილობრივ პარტორგანიზაციების წინაშე მართლაც ბევრი სიძნელეებია აღმართული. პარტორგანიზაციებს უხდებათ ერთდროულად სამი მნიშვნელოვანი სასოფლო - სამეურნეო კამპანიის — მოსავლის აღების, პურის დამზადების და შემოდგომის თესვის წარმატებით ჩატარება. ეს მეტად ძნელი ბრძოლა სწარმოებს ისეთ პირობებში, როცა დაუშვებლად სუსტად ხდება რაიონების განმტკიცება. ასეთია ორგანიზაციული სიძნელეები.

მაგრამ საჭიროა არა უკან დახევა სიძნელეების წინაშე, არამედ მათი დაძლევა.

სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა სოფლად პარტმუშაობის დასაყრდენ პუნქტების მეთაურობით — საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების უჯრედების მეთაურობით უნდა ეცადონ, რომ სასოფლო - სამეურნეო კამპანიები ჩატარდეს კოლმეურნეობების რიგების მძლავრი ზრდის საფუძველზე.

ბევრმა კოლმეურნეობამ გვიჩვენა მოსავლის აღებასთან, შემოდგომის თესვასთან და სხვა სასოფლო-სამეურნეო კამპანიებთან კოლმეურნეობებში ჩაბმის ორგანიზაციის დაკავშირების საუცხოვო ნიმუშები. მთლიანი კოლექტივიზაციის კალაჩეევის რაიონის სოფლებში, სადაც კოლმეურნეობებმა ინდივიდუალურ მეურნეობებს პრაქტიკული დახმარება გაუწიეს მოსავლის აღებაში, სამი დღის განმავლობაში 400 განცხადება იქნა შეტანილი კოლმეურნეობაში შესვლის შესახებ.

სტალინგრადის ოლქში სუვოროვის კოლმეურნეობების თაოსნობით, კოლმეურნეებმა მთელ რიგ რაიონებში გაუწიეს დახმარება ინდივიდუალურ მეურნეობებს მოსავლის აღებაში და შემოდგომის თესვისათვის მზადებაში.

კოლმეურნეობებიდან გასულთა უკანვე დაბრუნებას მასიურად და კოლმეურნეობებისაკენ ახალი მძლავრ ლტოლვას ადგილი აქვს მთელს ოლქში სწორედ იმიტომ, რომ კოლმეურნეობები დახმარებას უწევდნენ ინდივიდუალურ მეურნეობებს.

ახალი არტელები მოეწყო და საგრძნობლად გაფართოვდა ძველი არტელები სამარის ოლქში, სადაც ინდივიდუალური მეურნეობები დაწვრილებით გაეცნენ მოსავლის განაწილების შედეგებს. ბრიანსკის ოლქში კოლმეურნეობების მიერ ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის შემოდგომის თესვის მზადებაში დახმარების გაწევის წყალობით, ინდივიდუალურმა მეურნეობებმა მთელ რიგ სოფლებში მოაწყვეს საინიციატივო ჯგუფები კოლმეურნეობების შესაქმნელად.

ყველა ეს ფაქტები მიგვითითებენ კოლმეურნეობებში ახალი ლტოლვის ორგანიზაციის გზებზე: მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიები უნდა დავუკავშიროთ ბრძოლას ინდივიდუალური მეურნეობების ჩასაბმელად კოლმეურნეობებში, ყველგან უნდა დავაჩქაროთ მოსავლის ფაქტიური განაწილება, ფართოდ უნდა გავაცნოთ ინდივიდუალურ მეურნეებს პირველი საკოლმეურნეო თესვის მიღწევები. კოლმეურნეობებმა მაქსიმალური დახმარება უნდა გაუწიონ არაკოლმეურნეებს, ინდივიდუალური მეურნეობები უნდა მივიზიდოთ საკოლმეურნეო კრებებზე და აქტიურად შევუწყოთ ხელი მათ გაერთიანებას კოლმეურნეობებში.

თესვის პროცესში ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის მინდვრის მუშაობაში კონკრეტული დახმარების გაწევის საფუძველზე უნდა აზვირთდეს კოლმეურნეობებში შესვლის ახალი ტალღა.

ინდივიდუალური მეურნეები—ეს ხვალინდელი კოლმეურნეებია. კოლმეურნეობებში ახალი მძლავრი ლტოლვის ორგანიზაცია—პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა, რომლებმაც ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ, რომ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხებთან დამოკიდებულების აზრი გამოიხატება იმაში, რომ მათთვის დახმარების გაწევით ჩავაბათ ისინი კოლმეურნეობებში.

მხოლოდ ამ შემთხვევაში განხორციელდება პარტიის ამოცანა, რომელიც ამხ. სტალინმა ჩამოაყალიბა მე-16 ყრილობაზე: „ხუთწლედის დამლევს კოლექტივიზაცია საბჭოთა კავშირში საერთოდ უნდა დამთავრდეს“

„პრავდა“, 29 აგვისტო.

## გერმანიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირის მიღწევების შესახებ

„იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მწვავდება ეკონომიური კრიზისი, აგრარული კრიზისი ვრცელდება ახალ-ახალ ქვეყნებზე, უმუშევართა რიცხვი აღწევს ფანტასტიურ ციფრს და მუშათა კლასის საცხოვრებელი პირობები განუწყვეტლივ უარსდება,—საბჭოთა კავშირში ჩვენ ვიხილეთ მშენებლობა ყველა დარგებში და რეალური ხელფასის გადიდება“

„ჩვენ იმ დასკვნამდი მივედით, რომ გერმანიის მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ მოიპოვებს განთავისუფლებას, როცა წავა იმ გზით, რომლითაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი წავიდა“

### გერმანიის მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ კომპარტიის საარჩევნო მოწოდებას

### ჩინეთის წითელი არმია ჩანშასთან.—ქალაქში პანიკაა გამეფებული

## გერმანიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირის შესახებ

### დელეგაცია აღტაცებულია საბჭ. კავშირის მიღწევებით

**ბერლინი**, 29 აგვისტო. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული გერმანიის მუშათა მეხუთე დელეგაცია თავის საანგარიშო კამპანიას იწყებს დიდი მიტინგით ბერლინის მუშათა უბანში—ნეიკელნში.

დელეგატები აღტაცებით იხსენიებენ ყოველივეს, რაც ნახეს და გაიგონეს საბჭოთა კავშირში. დელეგაციის წევრები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ისინი დაუბრკოლებლად ეცნობოდნენ ყველაფერს, რაც მათ აინტერესებდათ და თარჯიმანებათ ჰყავდათ გერმანელი მუშები. საბჭოთა კავშირის მუშები ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ მათ. დელეგატები სავსებით დარწმუნებული არიან, რომ თავისი გმირული ენერგიის წყალობით საბჭოთა კავშირის მშრომელები საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობით დასძლევენ მათ წინაშე მდგომ ყველა სიძნელეებს და თავის ბუმბერაზულ ხუთწლიან გეგმას 4 წელიწადში განახორციელებენ (ადს).

### დელეგაციის მოწოდება

**ბერლინი**, 29 აგვისტო. საბჭოთა კავშირში მყოფ გერმანიის მუშათა მეხუთე დელეგაციის ყველა მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს გერმანიის მუშებს.

მოწოდებაში ნათქვამია:

„ძნელია სიტყვებით გამოვხატოთ ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენზე მოახდინა ახალი ფაბრიკების, საცხოვრებელი სახლების, სანატორიუმების და დასასვენებელ სახლების მშენებლობამ. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უდიდესმა და აუწერელმა მიღწევებმა, და იმ ენტუზიაზმმა, რომლითაც საბჭოთა კავშირის ფართო მასები ახორციელებენ ხუთწლიან გეგმას ოთხ წელიწადში, სასიხარულო შთაბეჭდილება მოახდინეს ჩვენზე. იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიური კრიზისი მწვავდება, აგრარული კრიზისი სულ ახალ და ახალ ქვეყნებზე ვრცელდება, უმუშევრობა ფანტასტიურ ციფრებს აღწევს და მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა განუწყვეტლივ უარესდება,—**ჩვენ საბჭოთა კავშირში ვნახეთ მშენებლობა ყველა დარგში და რეალური სამუშაო ხელფასის ზრდა.**

**დელეგაციის ის წევრებიც კი, რომლებსაც საბჭოთა კავშირში გამგზავრების წინ ძლიერ საეჭვოდ მიაჩნდათ სოციალისტური მშენებლობის რეალობა** ან რომლებიც საბჭოთა სისტემის წინააღმდეგიც კი იყვნენ,—დელეგაციის ეს წევრებიც დღითი-დღე **სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ, რომ მათ უნდა გასწყვიტონ კავშირი თავიანთ წარსულთან** და რომ საჭიროა სიცრუის იმ ქსელის დაშლა, რომელსაც ქსოვენ სოციალ-დემოკრატების და პროფკავშირების ბიუროკრატები.

ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ **გერმანიის მუშათა კლასი თავის განთავისუფლებას მიაღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წავა იმ გზით, რომლითაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი წავიდა**“.

ეს მოწოდება თავდება ასეთი ლოზუნგებით: გაუმარჯოს პროლეტარიატის მთლიან ბრძოლას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს საბჭოთა გერმანიას! (ადს).

## საბჭოთა კოოპერატორები სასტიკად აკრიტიკებენ

### საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის პოლიტიკას

**ვენა**, 29 აგვისტო. საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის კონგრესმა განიხილა ალიანსის ცეკას ანგარიში.

**ხელმძღვანელ როლს** კამათში, კონგრესის რეფორმისტ-დელეგატების წინააღმდეგობის და თავმჯდომარის აშკარა მიკერძოების მიუხედავად, თამაშობდა საბჭოთა დელეგაცია.

**საბჭოთა დელეგაციამ ღირსეული პასუხი გასცა გერმანიის დელეგაციას, რომელიც კონგრესის ტრიბუნით ხშირად სარგებლობდა ანტი-საბჭოთა გამოსვლებისათვის.**

**კუტუზოვმა სასტიკად გაილაშქრა ალიანსის ანტიპროლეტარული პოლიტიკის წინააღმდეგ, რაც გამოიხატება ერთა ლიგასთან და კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობაში.**

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ტანუ-ტუვის დელეგაციის **სედბოლის** გამოსვლამ. როცა თარჯიმანი მივიდა სედბოლის სიტყვის იმ ადგილამდე, სადაც **იგი აღნიშნავდა ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიულ მნიშვნელობას აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებისათვის და მიუთითებდა ,რომ კოოპერატიული ალიანსი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა იმპერიალისტების კოლონიალურ პოლიტიკას**, თავმჯდომარემ აკრძალა სედბოლის სიტყვის თარგმნა.

საბჭოთა დელეგატმა, გერმანიის დელეგაციის საყვედურზე, რომ საბჭოთა კოოპერატივები ვაჭრობენ კაპიტალისტებთან, უპასუხა, რომ საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა კოოპერატივები კაპიტალისტებთან ვაჭრობენ მუშათა კლასის და სოციალისტური მშენებლობის ინტერესებისათვის. **საბჭოთა დელეგატმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ საერთაშორისო კოოპ. ალიანსი ვაჭრობს კაპიტალისტურ ტრესტებთან და სინდიკატებთან მუშათა კლასის ინტერესების საზიანოდ.**

უკრაინის დელეგატმა **იაკუბენკომ** მოითხოვა, რომ საბჭოთა კოოპერაციის ანარიცხები ალიანსში შემცირებული იქნას 50 პროცენტით, რადგან **საბჭოთა კავშირი იხდის საწევრო გადასახადის 40 პროცენტს, ალიანსში კი ადგილების 20 პროცენტი აქვს დათმობილი.** წინადადება უარყვეს.

**კონგრესზე**, საბჭოთა დელეგაციის გამოკლებით, **სრულიად არ არის რევოლიუციონური ოპოზიცია საერთ. კოოპ. ალიანსის შიგნით, რადგან კოოპერატიულმა ბიუროკრატებმა ოპოზიციონური ელემენტები არ დაუშვეს ოფიციალური დელეგაციების შემადგენლობაში** (ადს).

## მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ

### გერმანიის კომპარტიის მოწოდებას

### მუშები ესალმებიან კომპარტიის ცეკას მოწოდებას

**ბერლინი**, 29 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ცეკას მოწოდებას გერმანიის ხალხის სოციალური და ნაციონალური განთავისუფლების შესახებ მხურვალე ენტუზიაზმით შეხვდნენ მუშათა მასებში და უმუშევართა შორის, ღარიბ და საშუალო გლეხობის ფენებში და დაბალ მოსამსახურეთა წრეში. კომუნისტური გაზეთების რედაქციებში ყოველდღიურად იღებენ აუარებელ წერილებს, რომლებშიც სავსებით ეთანხმებიან მოწოდებას.

მოწოდება ჯერ - ჯერობით 2 მილიონი ცალის რაოდენობით არის გავრცელებული.

მთელ რიგ ქარხნების მუშებმა მოწოდება განიხილეს საერთო კრებებზე და სავსებით იზიარებენ მას, რურის რაიონის მთელ რიგ მაღაროების მუშებმა გადასწყვიტეს თავის ხარჯზე გამოსცენ მოწოდება ცალკე პლაკატების სახით. (ადს).

### საბჭ. კავშირიდან დაბრუნებული მუშათა დელეგაციის მოწოდება

**ბერლინი**, 29 აგვისტო. მიმართვა, ხელმოწერილი საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ დელეგაციის ყველა წევრების, მათ შორის 6 სოციალ - დემოკრატ წევრის მიერ, მოუწოდებს გერმანიის მუშებს 14 სექტემბერს ხმა მისცენ კომუნისტებს. მუშათა დელეგაციის სოციალ - დემოკრატ წევრების ეს ნაბიჯი უსათუოდ ყურადღების ღირსია, რადგან საბჭოთა კავშირში გამგზავრების წინ მათ ეეჭვებოდათ სოციალისტური მშენებლობის წარმატება (ადს).

### სოც. - დემოკრ. სიებით მუშები ვერ გავლენ რეიხსტაგში

**ბერლინი**, 29 აგვისტო. მხოლოდ ახლა გამოქვეყნდა სოციალ-დემოკრატიულ კანდიდატების სიები ცალკე რაიონებში.

სიები ისეა შედგენილი, **რომ არც ერთი დაზგის მუშისათვის არ არის უზრუნველყოფილი რეიხსტაგში არჩევა, ვინაიდან პირველი ადგილი უჭირავთ პროფესიონალურ პარლამენტარიებს. მათ შორის არის 44 სო**ციალ-დემოკრატი მინისტრი, პოლიციის უფროსები და სხვა ბობოლა მოხელეები. (ადს).

### რევოლიუციონურ ფიზკულტუროსნების დემონსტრაცია ბერლინში

**ბერლინი**, 29 აგვისტო. რევოლიუციონურმა ფიზკულტუროსნებმა ბერლინში მოაწყვეს მძლავრი დემონსტრაცია, რომელშიაც 35.000 კაცზე მეტმა მიიღო მონაწილეობა. **დემონსტრანტებმა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ რევოლიუციონურ მუშებს და სასპორტო ორგანიზაციებს აუკრძალეს ტანვარჯიშობის დარბაზებით და ქალაქის სასპორტო მოედნებით სარგებლობა.**

დემონსტრაცია ჩატარდა კომპარტიის საარჩევნო კამპანიაში მუშათა მასების მობილიზაციის ლოზუნგით.

დემონსტრანტებს თან დაყვებოდნენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები. რამდენიმე მუშა დააპატიმრეს. (ადს).

## ხმები კოალიციონური მთავრობის შედგენის შესაძლებლობის შესახებ ინგლისში

**ლონდონი**, 28 აგვისტო. შესდგა სპეციალური თათბირი უმუშევრობის საკითხზე. თათბირს დაესწრენ **მაკდონალდი**, ფინანსთა მინისტრი **სნოუდენი**, საგარეო საქმეთა მინისტრი **გენდერსონი** და მთავრობის სხვა წევრები, აგრეთვე **ლოიდ-ჯორჯი** და ლიბერალების სხვა წარმომადგენლები.

თათბირის შედეგებს საიდუმლოდ ინახავენ.

**თათბირთან დაკავშირებით გავრცელდა სენსაციური ხმები, რომ შესდგება ახალი მთავრობა სამივე პარტიის მონაწილეობით** (ადს).

## თურქეთ-საბჭოთა ურთიერთობა

### „მილიეთი“-ს წერილი

**სტამბოლი**, 28 აგვისტო. მოწინავე წერილში, რომელიც შეეხება თურქეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკურ ხაზს, ოფიციოზური „მილიეთი“ აღნიშნავს, **რომ ახალი პარტიის შემქმნელთან დაკავშირებით** ზოგიერთი წრეები მოელიან მთავრობის სასწრაფოდ შეცვლას და აგრეთვე თურქეთის პოლიტიკის ახალ ორიენტაციას. **ეს შესაძლებლობა არ არის**, — სწერს „მილიეთი“.

ახალი პარტიის ლიდერმა **ფეხტიბეიმ აშკარად განაცხადა, რომ ეთანხმება მთავრობას საგარეო პოლიტიკის საკითხებში.** მრავალჯერ იყო აღნიშნული, **რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მეგობრობა საბჭოთა კავშირთან. არ მოიპოვება ისეთი თურქი, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ აძლევდეს ამ მეგობრობას.** (ადს).

## ტულის ანტი-საბჭოთა ჭორები

### ტულის წერილისგან „დეილი ჰერალდი“ და კუკიც კი იმიჯნება

**ლონდონი**, 29 აგვისტო. მუშათა პარტიის დეპუტატი ტული, რომელიც საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა, პრესაში ათავსებს ცილისწამებით და ჭორებით სავსე წერილებს.

ლეიბორისტულ „დეილი ჰერალდ“-ში გამოქვეყნებულია მისი წერილი, რომელიც სავსეა სიცრუით საბჭოთა კავშირის ეკონომიურ სიძნელეებზე. ტული ილაშქრებს საბჭოთა წყობილების, ინდუსტრიალიზაციის და ხუთწლიანი გეგმის წინააღმდეგ.

ტულის მტკიცების სიყალბე იმდენად აშკარაა, რომ „დეილი ჰერალდ“-ის რედაქციაც კი იმიჯნება ტულის გამოსვლისაგან, რა თქმა უნდა, ფრთხილი და ორაზროვანი გამოთქმებით.

**ტულის ანტი-საბჭოთა გამოსვლები დიდ აღშფოთებას იწვევს მუშებში. კუკმაც კი საჭიროდ დაინახა უარეყო ტულის ჭორები** და ამ მიზნით მან, „მანჩესტერ გარდიენში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც აცხადებს, **რომ ტულის მიერ მოყვანილი ყველა ფაქტები შეთხზულია. „მე ვიყავი საბჭოთა კავშირში და აგრეთვე პოლონეთში,** — სწერს კუკი, — **და ვამტკიცებ, რომ არას გზით არ შეიძლება საბჭოთა კავშირი შევადაროთ პოლონეთს. მე არსად არასოდეს არ მინახავს ისეთი შიმშილი და გაჭირვება, როგორც პოლონეთში**“.

ინგლისის კომპარტიის **გენერალური** მდივანი **გარრი პოლიტი** „დეილი უორკერ“-ში სასტიკად ააშკარავებს ტულის ცილისწამებას.

**„საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს** სახელოვანი ფურცელი შეაქვთ კაცობრიობის ისტორიაში, — სწერს პოლიტი;— **და საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის მიღწევები ისეთი თავგანწირვის, კოლექტიური ინიციატივის, მასების სიმამაცის და გამარჯვების შედეგია, როგორიც ჯერ არ უნახავს მსოფლიოს.**

**საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის სიამაყის საგანს წარმოადგენს.**

**საბჭოთა კავშირის ამ უმაგალითო მიღწევებს რეფორმისტი ტული უპირისპირებს პოლონეთს, სადაც საპყრობილეებში 7.000 პროლეტარულ მებრძოლზე მეტი იტანჯება“.** (ადს).

## მასების ზეგავლენით

**ვარშავა**, 29 აგვისტო. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ უზენაესმა სასამართლომ ვარშავაში გამოიტანა საკასაციო გადაწყვეტილება იმ სამი კომკავშირელის საქმეზე, რომელთაც **სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისათვის.** ლვოვის სასამართლოს განაჩენი გაუქმებულია (ადს).

## აგრარული კონფერენციის გახსნა

**ვარშავა**, 29 აგვისტო. გაიხსნა აგრარული კონფერენცია რუმინეთის, ჩეხო - სლოვაკიის, სამხრეთ-სლავიის, ბულგარეთის, უნგრეთის, ესტონეთის და ლატვიის დელეგატების და ფინეთის ორი მეთვალყურეს მონაწილეობით. გარდა ამისა, კონფერენციას ერთა ლიგიდან ესწრებიან ლიგის სამდივნოს წარმომადგენლები **სტოპანი და ომონი**.

კონფერენცია გაიხსნა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის **ზალესკის** მოკლე სიტყვით. ზალესკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ კონფერენცია მიდის ერთის მხრივ ერთა ლიგის მიერ უკანასკნელად **დასახული გზით** და მეორეს მხრივ ბრიანის მიერ წამოყენებული პან-ევროპის იდეის მიხედვით.

ზალესკის შემდეგ სიტყვით გამოვიდა პოლონეთის მიწადმოქმედების მინისტრი **პალჩინსკი**, არჩეული კონფერენციის თავმჯდომარედ. პალჩინსკი მოუწოდებდა კონფერენციას — აღმოფხვრან ანარქისტული კონკურენცია აგრარული ქვეყნების ურთიერთობიდან, პალჩინსკიმ ამასთანავე აღნიშნა, რომ ვარშავის კონფერენცია არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ინდუსტრიალური ქვეყნების წინააღმდეგ ბლოკის შექმნის ცდას.

შემდეგ დაიწყო კონფერენციის დელეგატების პროგრამული გამოსვლები (ადს).

## დიქტატურა პოლონეთში

### პილსუდსკი შეუდგა თანამდებობის შესრულებას

**ვარშავა**, 29 აგვისტო. პილსუდსკი უკვე შეუდგა თავისი თანამდებობის შესრულებას.

ოპოზიციის წრეებში ამტკიცებენ, **რომ სეიმი უახლოეს დღეებში იქნება დათხოვნილი**.

გამოქვეყნებულია მემარცხენე ცენტრის ოპოზიციის მიმართვა, რომელიც ყველა პოლონელებს მოუწოდებს მონაწილეობა მიიღონ 14 სექტემბრის მანიფესტაციაში. მანიფესტაცია იმართება დიქტატურის ლიკვიდაციის, სამეურნეო კრიზისთან და პოლონეთის საზღვრების გადასინჯვის მოთხოვნასთან ბრძოლის ლოზუნგებით (ადს).

### ვარშავის კომისარი

**ვარშავა**, 29 აგვისტო. მთავრობის კომისრად ვარშავაში კვლავ დაინიშნა იაროშევსკი, რომელიც წინათ უკვე იყო ამ პოსტზე (ადს).

## ანტი-საბჭოთა მახინაციები

### რას ურჩევს საბერძნეთს კონსერვატიული გაზეთი

**ათინა**, 28 აგვისტო. გაზეთი „პიტარხია“ ეხება ინგლისის კონსერვატიული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ წერილს, რომელშიც წამოყენებულია გეგმა საბერძნეთის, თურქეთის და რუმინეთის შეთანხმებისა დარდანელში თავისუფალი გავლის შესახებ. გაზეთის სიტყვით ნათელია, **რომ ეს გეგმა მიმართულია საბჭოთა კავშირისა და მისი ფლოტის წინააღმდეგ** შავ-ზღვაზე. გაზეთი მიუთითებს, **რომ საბერძნეთისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობა აკავშირებს, არ არის ხელსაყრელი ამგვარ ანტი-საბჭოთა გეგმებთან შეერთების გზით მოახდინოს საბჭოთა კავშირისადმი თავისი მტრობის დემონსტრაცია.** (ადს).

### სამხედრო - საჰაერო ფლოტის მანევრები ვარშავაში

**პრაღა**, 28 აგვისტო. დღეს ვარშავაში იწყება რუმინეთის, სამხრეთ-სლავიის, ჩეხო - სლოვაკიის და პოლონეთის სამხედრო-საჰაერო ფლოტების მანევრები. შეჯიბრებაში მონაწილე მანქანების უმრავლესობაზე დადგმულია ფრანგული მოტორები. (ადს).

## წითელი არმია ჩანშასთან

**პეიპინი**, 28 აგვისტო. **რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჩან-შას უახლოვდება 5.000 კაცისაგან შემდგარი წითელი არმია. უცხოელი მოხელეები პანიკამ შეიპყრო.**

**სააგენტოს ცნობით, ჩან-კაიშიმ მთავრობის ჯარების ორი დივიზია გაგზავნა ძიან-სისა და ხუ-ნანის პროვინციებში. ხე-ძიანის ჯარები უბრძოლველად იხევენ ჩანშასკენ (ადს).**

## ინდოეთში

**ლონდონი**, 28 აგვისტო. რეაქციონური „მორნინგ პოსტ“ იუწყება, **რომ ინგლის - ინდოეთის მთავრობას განზრახვა აქვს ინგლის - ინდოეთის კონფერენციის მოწვევა გადაიტანოს 1931 წლის აპრილში.**

## „გრაფ ცეპელინი“

### მოფრინავს მოსკოვში

**მოსკოვი**, 28 აგვისტო. მოსკოვში მოფრინდება დიდი გერმანული დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინი“, რომელსაც მართავს დოქტორი **ეკენერი**

## საფრანგეთის ფეიქრების ბრძოლა

### რეფორმისტებმა მოატყუეს მუშები

**პარიზი**, 29 აგვისტო. საფეიქრო კონსორციუმმა რუბეში და ტურკუენში გამოუცხადა გაფიცულ ფეიქრებს, რომ უკეთუ ისინი სამუშაოზე არ დაბრუნდებიან, სექტემბრიდან დაჰკარგავენ ეგრეწოდებულ „ოჯახიანთა დახმარების“ მიღების უფლებას. ამ დახმარებას მრეწველები აძლევენ მუშათა ერთ ნაწილს და იგი წარმოადგენს მუშათა მასებზე ზეგავლენის ერთ - ერთ საშუალებას გაფიცვის დროს.

ამჟამად უკვე ირკვევა, რომ მრეწველების [illegible] **სამუშაო ხელფასს**, თავხედური სიცრუე აღმოჩნდა. ამავე დროს ამ დაპირების წყალობით რეფორმისტებმა გაფიცულთა ერთი ნაწილი ლილში და სხვა რაიონებში აიძულეს დაბრუნებოდენ სამუშაოს. მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ ლილში **სამრეწველო კონიუნქტურის გაუმჯობესების ნიშნები „მეტად არახელსაყრელია, და ამიტომ ლაპარაკიც ზედმეტია ხელფასის გადიდებაზე“-ო.** არმანტიერის საფეიქრო მრეწველებმაც მისცეს წინადადება - მუშებს დაბრუნდნენ სამუშაოზე და აღუთქვეს ხელფასის გადიდება, კომისიის მიერ ცხოვრების გაძვირების ინდექსის გამორკვევის მიხედვით. [illegible] არმანტიერის საფეიქრო მუშებმა ერთსულოვნად უარყვეს ეს წინადადება და გაჰყვენ უნიტარული პროფკავშირების მოწოდებას განაგრძონ ბრძოლა. (ადს).

## სამომხმარებლო კოოპერაცია კულტ. ფრონტზე

**მოსკოვი**, 29 აგვისტო. სამომხმარებლო კოოპერაცია 1930—31 წ. ქალაქად და სოფლად კულტურული დაწესებულების ორგანიზაციაზე და შენახვაზე დახარჯავს 22.400.000 მანეთს. გარდა ამისა, სამომხმარებლო კოოპერაცია 13.000.000 მანეთამდე დახარჯავს ახალ კულტურულ საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობაზე.

## პროფკავშირების მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კამპანიებში

**მოსკოვი**, 29 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ადგილობრივ პროფკავშირების უმრავლესობამ შესძლო მასების მობილიზაცია მოსავლის აღებისა და პურის დამზადების კამპანიაში მონაწილეობისათვის. განსაკუთრებით დიდი დახმარება პროფკავშირებმა აღმოუჩინეს სოფელს მოსავლის აღების პერიოდში, როცა სოფლებში გაგზავნილ იქნა 2.000 ბრიგადა 10.000 კაცის შემადგენლობით.

პირველ რიგში სოფლის სოციალისტური სექტორისათვის დახმარების აღმოჩენასთან ერთად, პროფკავშირები აგრეთვე უნდა დახმარებოდნენ ცალკე ღარიბ და საშუალო მეურნეებსაც, მაგრამ პროფკავშირებს ეს არ გაუკეთებიათ.

პროფკავშირებმა აგრეთვე ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი პოლიტიკური მდგომარეობა და მოსავლის აღების წარმატებით მიმდინარეობით შექმნილი განწყობილება პურის დამზადების ივლისის და აგვისტოს გეგმების შესასრულებლად.

მელითონეთა, ფეიქრების, მეტყავეთა და ქიმიკოსთა კავშირებმა არ მიიღეს გადამჭრელი ზომები ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის საწარმოებში. ამის გამო სასოფლო სამეურნეო ინვენტარის, სათადარიგო ნაწილების და ქიმიური სასუქის საწარმოო პროგრამა შესრულებული არ არის.

საკავშირო პროფსაბჭომ მთელ რიგ კავშირებს კონკრეტული დავალებები მისცა.

საკ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მიზანშეწონილად თვლის საუკეთესო რაიონების და კოლმეურნეობათა დაჯილდოებას პურის დამზადების წლიური გეგმისა და შემოდგომის თესვის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის (ადს).

## ამხ. იუშკევიჩის თვითმკვლელობის მიზეზების გამოძიების შედეგები

**მინსკი**, 28 აგვისტო. ბელორუსიის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ბიურომ და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმმა მოისმინეს ც. კ.-ის იმ კომისიის ცნობა, რომელიც გაგზავნილი იყო ორშაში საოლქო სავაჭრო განყოფილების თანამშრომლის— დაწინაურებული მუშის თვითმკვლელობის მიზეზის გამოსარკვევად. ბელორუსიის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ბიურომ და კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმმა აღიარეს, რომ ორშანსკის საოლქო კომიტეტმა, საოლქო საკონტრ. კომისიამ, საოლქო აღმასკომმა და საოლქო პროფბიურომ არ შეასრულეს პარტიის დირექტივა სახელმწიფო აპარატის გამუშურებისა და მუშათა შეფობის დაწესების შესახებ სახ. დაწესებულებებზე და არ უზრუნველყვეს დაწინაურებულებისათვის მუშაობის ხელსაყრელი პირობები. ც. კ.-ის ბიურომ და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინეს: **სასტიკი საყვედური გამოეცხადოს ორშანსკის საოლქო კომიტეტის ბიუროს, საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს, საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმისა და საოლქო პროფბიუროს ფრაქციებს.** სასტიკი საყვედური გამოეცხადოს სავაჭრო-კოოპერატიული უჯრედის ბიუროს და დაიშალოს ის მემარჯვენე—ოპორტუნისტული პრაქტიკისათვის დაწინაურებულთა მიმართ. დადგენილია უჯრედის მდივანი **ნაუმოვი მოხსნილ იქნას საპასუხისმგებლო მუშაობიდან 2 წლის ვადით**, საოლქო სავაჭრო განყოფილების მდივანი **გეიმანი გამორიცხულ იქნას პარტიიდან და აეკრძალოს 3 წლის განმავლობაში საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მუშაობა**. საოლქო კომიტეტის მდივანს ვილენტოვიჩს, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს **ხანდოგის**, საოლქო საკონტრ. კომისიის თავმჯდომარეს **სვირიდოვს**, საოლქო პროფბიუროს თავმჯდომარეს კოხანსა და დანარჩენ ხელმძღვანელ მომუშავეებს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. **ყველა ისინი იგზავნებიან ქვედა საფეხურის სამუშაოებზი.** (ადს)

## პროფინტერნის V კონგრესი

### ამხ. შვერნიკის საბოლოო სიტყვა

**მოსკოვი**, 29 აგვისტო. პროფინტერნის მეხუთე კონგრესზე თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. შვერნიკი შეჩერდა საბჭოთა კავშირის შესახებ ინფორმაციის და ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდის საკითხზე.

**„ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდა,** — სთქვა ამხ. შვერნიკმა, — **საერთაშორისო რევოლიუციონური პროფმოძრაობის ხელმძღვანელების ხელში წარმოადგენს ბრძოლის მძლავრ იარაღს ფართო მუშათა მასების დასაპყრობად.** მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხუთწლიანი გეგმა არ არის რაღაც უძრავი. **ჩვენი ხუთწლიანი გეგმა განუწყვეტლივ იცვლება ტემპების დაჩქარების და გეგმის გაფართოების მხრივ;** ამიტომ, თითეული მუშა არა მარტო უნდა **იყოს გაცნობილი ხუთწლიან გეგმასთან**, არამედ მან ყოველდღიურად უნდა მიიღოს ცნობები ყველა იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც ხუთწლიან გეგმაში ხდება სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარებასთან დაკავშირებით“.

შემდეგ ამხ. შვერნიკი ეხება კაპიტალისტური და **სოციალისტური** რაციონალიზაციის საკითხს; **მუშათა კლასი საბჭოთა კავშირში** მუშაობს თავის საკუთარ საწარმოებში და **რაციონალიზაციის დროს** ამ საწარმოებში **ქმნის მეტ პროდუქტებს და შრომის უკეთეს პირობებს თავისთვის.** კაპიტალისტებიც ატარებენ რაციონალიზაციას, მაგრამ, კაპიტალისტური რაციონალიზაცია, სოციალისტ. რაციონალიზაციისაგან განსხვავებით, ასეულ და მილიონ უმუშევრებს ქუჩაში სტოვებს ულუკმაპუროდ და ამცირებს ხელფასს. ამიტომ უნდა ვამხილოთ რეფორმისტები, რომლებიც სცდილობენ „მოეფარონ“ იმას, რომ რახან საბჭოთა კავშირში თვით მასები იღებენ მონაწილეობას რაციონალიზაციის გატარებაში, არაფერი ცუდი არ იქნება იმაში, თუ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშებიც მიიღებენ მონაწილეობას რაციონალიზაციის განხორციელებაში.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. შვერნიკმა გაილაშქრა იმ მოსაზრების წინააღმდეგ, თითქო კრიზისი, რომელსაც კაპიტალისტური ქვეყნები განიცდიან, ასუსტებს რევოლიუციონურ მოძრაობას. **კრიზისი**, პირიქით, ხელს უწყობს რევოლიუციონური მოძრაობის გაშლას.

**კონგრესმა ერთხმად მიიღო საფუძვლად რეზოლიუცია ამხ. შვერნიკის მოხსენების გამო.** რეზოლიუცია რედაქციისათვის გადაეცა კომისიას.

28 აგვისტოს კონგრესის სხდომა არ შემდგარა. შესდგა მხოლოდ კომისიების და ცალკე დელეგაციების სხდომები. (ადს).

# წითელი ჯარის მანევრები

## მანევრებისათვის

შეუძლებელია განკერძოებულად განვიხილოთ წითელი არმიის ნაწილთა მომზადება იმ საერთო სამეურნეო- პოლიტიკური ცხოვრების პირობებისაგან, რომელშიაც უხდება ცხოვრება და მუშაობა ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას. არ შეიძლება წითელი არმიის ზრდა მთელი საბჭოთა კავშირის ზრდისაგან დამოუკიდებლად იქნას წარმოდგენილი.

სოციალისტური მშენებლობის ტემპები და მეთოდები მთლიანად გადადიოდა და იჭრებოდა უფროსთა შემადგენლობისა და წითელარმიელთა მასების სამხედრო და პოლიტიკური აღზრდის სფეროში. ფაბრიკებსა და ქარხნებში პროლეტარების შრომითი აღტკინება გამოხატულია მოკლე, მაგრამ შინაარსით მდიდარ ლოზუნგში: „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“. ჩვენში, წითელ არმიაში, წითელარმიელის, მეთაურისა და პოლიტმომუშავის შრომითი აღტკინება გამოხატულია არა ნაკლებად მეტყველ მოწოდებაში: „ვიბრძოლოთ თვითეულ წუთისა და წამისათვის“. გასული წლის პრაქტიკამაც დაგვანახა ასეთი მუშაობის საუკეთესო შედეგი: სამხედრო მომზადების გაუმჯობესების მთელ რიგ გადამწყვეტ მომენტებში ჩვენ საგრძნობლად გადავაჭარბეთ საწესდებო ნორმებს.

ამხ. ლენინი ჯერ კიდევ 1921 წელს აღნიშნავდა, რომ „ამჟამად საერთაშორისო რევოლიუციაზე ჩვენ ზეგავლენას ვახდენთ უმთავრესად ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის საშუალებით... ამ ნიადაგზე გადატანილი ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით. თუ გადავჭრით ამ ამოცანას, მაშინ მოვიგებთ ბრძოლას საერთაშორისო მასშტაბით უეჭველად და საბოლოოდ“. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, როგორც ვხედავთ, ლენინური პარტიის გამოცდილი ხელმძღვანელობით წარმატებით სწყვეტს ამ უდიდეს პოლიტიკურ ამოცანას.

წითელი არმიის წინაშედაც სდგას ეს ამოცანა, თუმცა გაცილებით სხვა სახით. პროლეტარული დიქტატურის მტკიცე, დარაზმული, სავსებით მომზადებული, კლასობრივად გამობრძმედილი არმია ახდენს „ზეგავლენას საერთაშორისო რევოლიუციაზე“ თავისი ცოდნით—რომ მედგრად დაიცვას საბჭოთა კავშირი—მთელი ქვეყნის მშრომელთა სოციალისტური სამშობლო. იმის თანამედროვე რთული ომის, წარმოების ცოდნა, ტეხნიკის მოხმარების ცოდნა, ე. ი. ის, რომ წითელი არმია თავისი მომზადებით მაღლა იდგეს, ვიდრე რომელიმე ქვეყნის კაპიტალისტური არმია, ჩვენ მოგვცემს შესაძლებლობას მომავალი ბრძოლები „მოვიგოთ უეჭველად და საბოლოოდ“.

### თავის ამოცანათა უდიდესი შეგნების ნიმუშები

არმიის წარსული წლის სამხედრო სწავლება მიმდინარეობდა გამწვავებულ პირობებში. იმპერიალისტები თანდათანობით აძლიერებდნენ მზადებას ომისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამასთანავე იზრდებოდა რევოლიუციონური ძალებიც. ყველა ეს მომენტები თავის გამოხატულებას პოულობდნენ წ.-არმიელთა და უფრ. შემადგენლობას შორის. ეს მომენტები აძლიერებდა არა მარტო მათ სიფხიზლეს, არამედ აიძულებდა მათ კიდევ უფრო მეტად, კიდევ უფრო უკეთესად დაწინაურებულიყვნენ სწავლებაში და გამოეყენებინათ ამ მიზნისათვის სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, შეედგინათ თავიანთი „სამრეწველო- საფინანსო გეგმები“ და „საკონტროლო ციფრები“.

მორიგ სასროლო- ტაქტიკურ მეცადინეობას ძალიან ხშირად ვუკავშირებდით საერთაშორისო მდგომარეობას. საკმარისია, მაგალითად, მოვიყვანოთ მხოლოდ ორი ფაქტი, რაც მეტად დამახასიათებელია და აშკარავებს, თუ როგორ ღრმად ესმის წითელ არმიელს საერთაშორისო ვითარება და როგორ მაღალია მისი ინტერნაციონალური სოლიდარობა.

როდესაც უკანასკნელ დღეებში რუმინეთის სამხედრო წრეებმა კვლავ აშკარად იწყეს ლაპარაკი საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადების შესახებ, წითელარმიელთა მასებმა ამას დაუყოვნებლივ უპასუხეს: მათ მწყობრად გაიმეორეს პარტიული ორგანიზაციის მოწოდება: „კარგად ჩატარებული შემოდგომო ბრძოლა— ეს იქნება წითელარმიელის პასუხი რუმინეთის სამხედრო წრეების გამოსვლებზე“.

როდესაც ჩინეთის წითელი არმიის გასანადგურებლად დაიძრნენ მტაცებელი იმპერიალისტთა გაერთიანებული ურდოები, წითელარმიელებმა და მეთაურებმა არ დააყოვნეს აღემაღლებიათ თავიანთი პროტესტის ხმა: „შეუძლებელია,— სთქვეს მათ,— ჩინეთის რევოლიუციის გასრესა! დღევანდელი ტაქტიკური მეცადინეობის საუკეთესო შესრულებით გამოვხატავთ ჩვენს სოლიდარობას ჩინეთის წითელ არმიისადმი“.

ეს მაგალითები ჩვენ ნათლად გვეუბნება, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს არმიაში (უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუშაობა განუზომელად გაიზარდა როგორც კონკრეტული შინაარსის, ისე ფორმის მხრივაც), უნდა ჩაითვალოს დაუშრეტელ წყაროდ, რომელიც ასაზრდოებს სამხედრო მომზადებას და აჩქარებს მის ტემპს და ამაღლებს ხარისხს.

თავის პატაკში მე-16 პარტყრილობისადმი კავკასიის წითელდროშოვანმა არმიამ ფიცი დასდო:

„... ისე მოვამზადოთ წითელი არმიელი და მეთაური, რომ ეს მომზადება სავსებით შეეფერებოდეს თანამედროვე ბრძოლას წარმოების მოთხოვნილებებს, რომ ისინი არ იხრიდნენ ქედს სიძნელეთა და გაჭირვების წინაშე“.

მთელის პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ფიცს კავკასიის წ. დრ. არმია დაიცავს სავსებით და მთლიანად. მე-16 ყრილობამ მოგვცა ნაკაზი: განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა, წითელი არმიის ძლევამოსილება და ბრძოლის უნარი. კავკასიის წითელდროშოვანი არმია, რომელსაც თავის მოწინავე რაზმში ეგულვება ბოლშევიკების კოლონა, წარმატებით ასრულებს მე-16 ყრილობის დავალებას. ამას ერთხელ კიდევ დაამტკიცებს მიმდინარე წლის მანევრები, სადაც მთელი სამხედრო და პოლიტიკური მუშაობა ჩატარებული იქნება მე-16 ყრილობის დადგენილებათა შესრულების ნიშანქვეშ.

### სრულ წარმატებას მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ

გასულ წელს დავალება იყო სავსებით შეეთვისებინა წ. არმიას ომის წარმოების რთული ფორმები და ბრძოლის ტეხნიკური საშუალებები. მიუხედავად უდიდესი წარმატებისა ამ საქმეში, ჩვენ მაინც ძირითად ყურადღებას ვაქცევდით და მომავალშიაც დიდ ყურადღებას მივაქცევთ ჩვენს ნაკლოვანებებს. სხვაგვარად შეუძლებელიცაა. წარმატება ჩვენგან არასდ არ გაიქცევა (საჭიროა მხოლოდ მისი განმტკიცება და გაღრმავება). სულ სხვაა ნაკლოვანებანი: თუ მათ დროზე და გადაჭრით არ აღმოფხვრით, შესაძლებელია ამან ხელი შეგვიშალოს სამხედრო მომზადების იმ მაღალ დონის მიღწევაში, ურომლისოდაც თანამედროვე ბრძოლაში შეუძლებელია სრული წარმატება, სრული გამარჯვება.

სწორედ მოიქნენ ნაწილები, საერთოდ, და თვითეული მებრძოლი და მეთაური, კერძოდ, როცა მათ სადივიზიო მანევრებისათვის მზადების დროს მთელი თავიანთი ყურადღება მიაპყრეს ნაკლოვანებებს და მიიღეს ზომები მათი გამოსწორებისა და ლიკვიდაციისათვის. ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოაგვარებს ყველა მექანიზმებს, შეიძლება ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, სრული წარმატების მიღწევა ერთეული მებრძოლის, ჯარის ცალკე ნაწილებისა და მათი გაერთიანებული რაზმების სამხედრო მომზადების საქმეში.

მანევრებზე, სადაც ხდება მიღწევების შემოწმება, ჩვენი ყურადღება კვლავ უნდა მივაპყროთ ყოველგვარ ნაკლსა და დაუმთავრებელ საქმეებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავაალმასებთ ყურადღებას ჩამორჩენილობისადმი და სავსებით გამოვიყენებთ თვითკრიტიკის იარაღს, შევძლებთ გავადიდოთ ჩვენი მიღწევები, განვამტკიცოთ ჩვენი ძალები და დავრაზმოთ წითელ არმიელთა მთელი საზოგადოებრიობა ძლევამოსილი შეტევის მოსამზადებლად ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად ახალ სასწავლო წელში.

აი, რატომ მახარებს ის, რომ ჩემი წერილის საპასუხოდ (იხ. „კრასნი ვოინ“-ის 20 აგვისტოს ნომერი)—წითელი არმიის სამხედრო ძლიერების შემქნელებმა—წით. არმიელებმა და უფროსთა შემადგენლობამ მიპასუხეს არა „гром победы раздавайся“-თი, არამედ მათ საქმიანად და ფხიზლად შეაფასეს ნამდვილი მიღწევები და გულწრფელად პროლეტარულად გააკრიტიკეს სუსტი ადგილები.

— „ამხ. სარდალო, მანევრებისათვის მზად ვართ: მთელ ძალ-ღონეს მოვიკრებთ და ყოველგვარ ამოცანას შევასრულებთ“, სწერენ მსროლელები.

„არმიის სარდლის ნაკაზის საუკეთესო პასუხი იქნება —რევოლიუციონური დისციპლინა, გამძლეობა, ბატარეის საუკეთესო მუშაობა და ინტერნაციონალური მთლიანობა მოძმე დივიზიასა და მოსახლეობასთან“ — გვითვლიან არტილერისტები.

კავკასიის ესკადრონი და კავკასიის პირველი ნაკრები დივიზია ძველი წითელ არმიელებისაგან მოითხოვენ, რომ მათ მაგალითი მისცენ ახალგაზრდებს. საკავშირო გუნდი და აღვითქვამს უზრუნველჰყოს ნაწილები შეუფერხებელი კავშირის გაბმით, გვიჩვენონ სანიმუშო მუშაობა და „ბუქსირზე აიყვანონ“ ჩამორჩენილები. რადიო- სადგურები „უზრუნველყოფენ შეუფერხებელ კავშირს ყოველგვარ პირობებში“. მესანგრეები მუშაობენ თავიანთი სუსტი ადგილების აღმოსაფხვრელად. სამეურნეო მუშაკებმა და სანმუშაკებმა გააჩაღეს მოსამზადებელი მუშაობა მანევრების უზრუნველსაყოფად.

ასეთია კავკასიის წითელდროშოვან არმიის გამობრძმედილი ნაწილების პასუხი ადგილებიდან ჩემს წერილ-ნაკაზზე.

ვღებულობ რა მხედველობაში ყოველ ვალდებულებას და მოცემულ სიტყვას, საჭიროდ მიმაჩნია მანევრების დაწყებისას ერთხელ კიდევ გავამახვილო უფროსთა შემადგენლობისა და მებრძოლთა ყურადღება მნიშვნელოვან მომენტებზე, რომლებთანაც დაკავშირებულია ჩვენი საერთო მომზადება და ბრძოლის უნარის გამოცდის წარმატება.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა მეტი თვით კონტროლი, მოთხოვნა და შემოწმება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამაგალითო მუშაობასთან ერთად ჩვენ ბევრ რამეს ვუშვებთ მხედველობიდან და ბოლომდე არ მიგვყავს საქმე მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეგვიძლია მოცემული დავალების თავის დროზე წარმართვა და შემოწმება. მანევრების მსვლელობის დროს ეს ნაკლი აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას.

მიღწევები და ნაკლოვანებანი (დაფარვა რა საჭიროა) ფართოდ უნდა გაშუქდეს დივიზიის და არმიის პრესაში კონკრეტული მაგალითებით და იმ მიზეზების ანალიზით, რომლებმაც გამოიწვიეს ესა თუ ის შედეგი. ეს საჭიროა იმისათვის, რომ დივიზიის, პოლკის, ასეულის, ესკადრონის, ბატარეის, გუნდის და ყოველი ცალკე მებრძოლის გამოცდილება ყველამ გაიზიაროს.

ჩვენ ბევრ რამეს სწრაფად და კარგად ვაკეთებთ, ვიმუშავებთ ძვირფას ჩვევებს, მაგრამ სხვებს არ ვუზიარებთ მათ. ამიტომ თვითეული ცალკე დამოუკიდებლად ეძებს გზას, იმის ნაცვლად, რომ გამოიყენოს უკვე შემოწმებული გამოცდილება და ეცადოს წინ წაიწიოს.

სამინდვრო სამანევრო მუშაობაში, უწინარეს ყოვლისა საჭიროა იმ საქმის გაკეთება, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო დაუმთავრებელი დარჩა შარშან ზაფხულზე. ერთი საათის სამანევრო მუშაობა სწორი დატვირთვის პირობებში უფრო მეტს მოგვცემს, ვიდრე ერთი დღის მეცადინეობა ყაზარმაში. უნდა ვეცადოთ, რომ ამ ძვირფასი საათების დატვირთვა ზედმიწევნით მოვიფიქროთ, სათანადოთ უზრუნველვყოთ და მთლიანად გამოვიყენოთ. გამარჯვების საწინდარს წარმოადგენს მებრძოლთა და უფროსთა შემადგენლობის ის აქტივობა და ენერგია, რომლის მოწამეც მე ვიყავი არმიის ნაწილების დათვალიერების დროს.

სამანევრო ამოცანის შესრულებაში ყოველგვარი ინიციატივის გამოჩენა რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავავრცელოთ ნაწილებს, რათა მთელმა შემადგენლობამ იცოდეს საუკეთესო მისაბაძი მაგალითები.

ჩვენმა სპეციალისტებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ ამოცანას მარტო საერთო წარმატების უზრუნველყოფა და საკუთარი ცოდნის გაფართოება კი არ შეადგენს. ყოველი მოხერხებული წუთი შესაფერ პირობებში უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ ძირითადი სახეების ჯარის ნაწილებმა გაიგონ სპეციალისტების მუშაობის შინაარსი და თვით განიმტკიცონ ტეხნიკის ცოდნა და მისი გამოყენების ხერხები.

ეხლანდელ მანევრებში გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ ზედმეტი პირობითი მომენტები და მოჩვენებითი ნიშნები. ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ მანევრები აკმაყოფილებდეს ბრძოლის ველის პირობებს. როცა ყუმბარა სკდება, ეს ხდება არა ეფექტისათვის, არამედ იმისათვის, რომ ნაწილები დაუყოვნებლივ დაირაზმონ შესაფერისად და ყოველმა მებრძოლმა ნათლად წარმოიდგინოს —საიდან რა ცეცხლი ემუქრება მას.

საშუამავლო აპარატმა ეს უნდა უზრუნველყოს. ამოცანის თამამად შესრულებასთან ერთად საჭიროა მდგომარეობის და მოწინააღმდეგის მოქმედების ფხიზლად შეფასება. თუ შუამავლების აზრით ნაწილი მარცხდება, საჭიროა დამარცხების მიზეზების სწრაფი ანალიზი და იმის გამორკვევა, თუ რა უნდა შესრულებულიყო, რათა შემდეგში აცილებულ იქნას შეცდომის დაშვება.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კერძო განხილვას. არ კმარა იმის აღნიშვნა, რა არ შესრულდა წაგებულ ეტაპში და რა შეცდომები იქნა დაშვებული. უნდა შევჩერდეთ შეცდომების მიზეზების გამოაშკარავებაზე და გამოვარკვიოთ, რა ამოცანები და სასწავლო მიზნები შევითვისეთ დასახულ ამოცანებიდან და მიზნებიდან.

* * *

დღეს სამანევრო მინდვრებზე გამოცდას აბარებს კავკასიის წითელდროშოვანი არმია. მან უკვე ჩააბარა გამოცდა ერთ-ერთ სასწავლო ფრონტზე— საკავშირო სასროლო-სასპორტო შეჯიბრებაში. ჩვენ, კავკასიელებმა, დავიკავეთ პირველი ადგილი ტყვიამფრქვევებით სროლაში, მეორე ადგილი თოფით სროლაში, პოლიტბრძოლაში და სამხედრო-სასპორტო ვარჯიშობაში. ეს მიღწევები შედეგია იმ უსაზღვრო დაინტერესების და იმ უანგარო კოლექტიური შემოქმედებითი მუშაობის, რომელსაც იჩენდა ჩვენი მებრძოლი ოჯახი— კავკასიის წითელდროშოვანი არმია მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსაჯულები იქნებიან ყველა წითელარმიელები, უფროსთა მთელი შემადგენლობა, და არა მარტო უმაღლესი სარდლობა. ამიტომ საჭიროა ყოველმა შემსრულებელმა მტკიცედ იცოდეს თავისი ამოცანა ყველა ეტაპზე და გამოიჩინოს აქტივობა და ინიციატივა მოქმედებაში, რომ ყოველი მებრძოლი გრძნობდეს მაქსიმალურ პასუხისმგებლობას მანევრების ნაყოფიერად და ეფექტიანად ჩატარებისათვის.

მანევრებზე ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ წითელდროშოვანი არმიის სიძლიერე, კიდევ უფრო განმტკიცდა, რომ ჩვენი არმია მრისხანე ძალაა სოციალისტური მშენებლობის ყველა მტრებისათვის, რომ მას მაღლა უჭირავს მებრძოლი ინტერნაციონალიზმის დროშა და რომ ძმობის განუწყვეტელი ძაფებით არის დაკავშირებული საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელებთან.

კ. ავქსენტიევსკი.

## მანევრების რაიონში

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

**სამტრედია**, 29 აგვისტო. მანევრების პირველი ეტაპი დამთავრდა. სტალინის სახელობის დივიზიის ნაწილები ჩამოვიდნენ მანევრების რაიონში, მგზავრობა რკინის გზით ჩატარდა ფრიად დამაკმაყოფილებლად. რკინის გზა კარგად მუშაობდა. კოოპერაციამ გამოცდა ჩინებულად ჩააბარა. ჯარის ნაწილების გაჩერების ადგილას მოწყობილია საველე მოძრავი სავაჭროები, საკმაო სურსათ-სანოვაგით. სამტრედიის მუშა-მოსამსახურენი ჯარის ნაწილებს ზეიმით შეხვდნენ, სადგურზე გაიმართა სახელდახელო მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს მუშების და წითელი ჯარის წარმომადგენლებმა. სადგური მორთულია პლაკატებით და წითელი დროშებით.

ე. ხუციშვილი.

## წითელ მებრძოლთა განწყობილება საუკეთესოა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

**სამტრედია**, 29 აგვისტო. განწყობილება მებრძოლთა შორის საუკეთესოა. ყველანი მოუთმენლად მოელიან ოპერაციების დაწყებას. სწარმოებს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მანევრების ირგვლივ იმართება საუბრები პოლიტიკურ საკითხებზე. არც ერთი საათი არ არის გაცდენილი ტყუილუბრალოდ. დასვენების დროს იმართება ჯგუფური კრებები და საუბრები. გურიის მშრომელი გლეხობა გულთბილად ხვდება ჯარის ნაწილებს. სოფლებში გამოკრულია პლაკატები მისალმებებით.

ე. ხუციშვილი.

## „საომარი მოქმედების“ დაწყების წინ

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

**სამტრედია**, 29 აგვისტო. მდგომარეობა მანევრების რაიონში 29 აგვისტოს დღის 12 საათისათვის ასეთი იყო: მიღებულია ცნობები, რომ „მოწინააღმდეგე“ აპირებს დესანტის გადმოსხმას შავი ზღვის ნაპირებზე, 29 აგვისტოს დილით უკვე გამოჩნდნენ „მტრის“ აეროპლანები. წითლებმა მიიღეს საჭირო თავდაცვის ზომები. „წითლების“ მიზანია ხელი შეუშალონ „მტრის“ დესანტის გადმოსხმას.

იმ შემთხვევაში, თუ დესანტი მაინც გადმოვა ნაპირზე, მიღებული იქნება ზომები მათი უკუგდებისათვის. წითლების მეორე დივიზია მოქმედებს ახალ-სენაკი-ფოთის მიმართულებით.

პირველი დივიზია, რომელსაც მეთაურობს ამხ. შავდია, ეწყობა ქვიანი ჯაპანა-ნოლას ხაზზე და ემზადება ოპერაციების საწარმოებლად. ჯარის ნაწილების გადასაყვანად მდინარე რიონზე ერთი ღამის განმავლობაში აღდგენილი იქნა ძველი რკინის გზის ხიდი სადგურ საჯევახოს და სამტრედიის შუა. მეხანძრეებმა ხიდის აღდგენის დროს გამოიჩინეს უდიდესი ენერგია და სიმამაცე.

ე. ხუციშვილი.

## ჩვენი ხე-ტყის ექსპორტის გარშემო

**მოსკოვი**, 28 აგვისტო. გაზ. „ზა ინდუსტრიალიზაციუ“-ში მოთავსებულია წერილი, რომელიც იძლევა ჩვენი ტყის ექსპორტის, (კერძოდ ამერიკაში) საინტერესო ციფრებს. 1928-29 წელს ჩვენ საზღვარ-გარეთ გავიტანეთ 7,9 მილ. კუბომეტრი ხე-ტყე. 1913 წელს, საბჭოთა კავშირის ეხლანდელი ტერიტორიიდან, გატანილია 10,5 მილ. კუბომეტრი და მხოლოდ 1929-30 წელს ჩვენი ექსპორტი 14 პროცენტით აჭარბებს ომის წინადროინდელ დონეს, იმ დროს, როცა სამრეწველო პროდუქცია — 100 პროცენტით სჭარბობს ომის წინადროინდელ დონეს. ჩვენი ტყის ექსპორტის ისეთი ძირითადი საქონლის გატანაში, როგორიც არის დახერხილი მასალა, 1929-30 წელს ჩვენ ომის წინადროინდელი დონის 97 პროცენტს მივაღწიეთ. ეს ციფრები კომენტარიებს არ საჭიროებენ. მთელი ჩვენი საბჭოთა ტყის ექსპორტიდან 1927-28 წელს ჩრდილოეთ ამერიკაზე მოდის 965.600 მან. ხე-ტყე, რაც 1 პროცენტს შეადგენს, 1928-29 წელს გავიტანეთ— 1.786.000 მან., ანუ 1,3 პროც., 1929-30 წელს ეს პროცენტი იქნება არა უმეტეს მთელი ჩვენი ტყის ექსპორტის 3-4 მეასედისა. ამავე დროს, ჩრდილოეთ ამერიკამ 1928 წელს შეიტანა სულ 96.297.000 დოლარის ხე-ტყე, აქედან საბჭოთა კავშირიდან დაახლოებით 483.000 დოლარის, ანუ 0,5 პროც., 1929 წელს ამერიკამ შეიტანა 97.197.000 დოლარის ხე-ტყე, ხოლო იმპორტი საბჭოთა კავშირიდან შეადგენდა 893.000 დოლარს, ანუ 0,9 პროც. აი როგორი ციფრების გამო ასტეხა განგაში ამერიკულმა ბურჟუაზიამ, ამერიკელმა ტყის მრეწველებმა და ფიშის კომისიამ.

წერილის მეორე ნაწილში ავტორი ჩერდება ჩვენი ტყის ექსპორტის ნაკლოვანებებზე: კერძოდ, ერთ მთავარ არანორმალობას წარმოადგენს ის, რომ დღემდე ჩვენ საკმაო ყურადღებას არ ვაქცევთ ახლო აღმოსავლეთის ბაზრებს. ჩვენს წინ ჯერ კიდევ სრულიად გამოუკვლეველი ბაზრებია შორეულ აღმოსავლეთში და წყნარი ოკეანეს მთელი რაიონი. დღემდე ჩვენ წარმოდგენაც კი არა გვაქვს იმ მოთხოვნილებაზე, რომელსაც ხე-ტყეზე გვიყენებს წყნარ ოკეანეს სანაპიროების ბაზრები, სადაც შეგვიძლია გავასაღოთ ასეული ათასი, თუ მილიონები არა, საბჭოთა ტყის სტანდარტი.

იაპონია, ჩინეთი, ავსტრალია, ინდოეთი, მთელი ინდონეზია და მთელი რიგი სხვა ბაზრები, რომლებიც ჩვენ შეგვეძლო დაგვეკმაყოფილებია ჩვენი შორეული აღმოსავლეთის ტყით, ელიან ჩვენს მუშაობას. საკმარისია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ფინეთს და შვეციას ავსტრალიაში გააქვთ თავიანთი ხე-ტყე 200.000 სტანდარტის რაოდენობით, იმ დროს, როდესაც ჩვენ შეგვეძლო 2-3-ჯერ უფრო ახლო მანძილიდან შეგვეზიდა იგივე ხე-ტყე ჩვენი შორეული აღმოსავლეთიდან. იგივე ითქმის ჩინეთის და წყნარ ოკეანეს მთელ რიგ სხვა ბაზრების შესახებ. ცნობილია, რომ წყნარ ოკეანეს ბაზრები ხმარობენ 100 მილიონამდე საყუთე კომპლექტს ხილისათვის, კვერცხისათვის, კაუჩუკისათვის და სხვა საქონლისათვის. ისეთი ნედლეული ბაზის არსებობის დროს, როგორიც შორეული აღმოსავლეთია, ჩვენ ამ საყუთე კომპლექტებს თითქმის არ ვგზავნით. იაპონია, რომელიც ჩვენგან ყიდულობს ხე-ტყეს ნედლეულის სახით, თვითონ აწარმოებს ამ ხე-ტყის ექსპორტს უკვე დამზადებული სახით, კერძოდ, იმავე საყუთე კომპლექტების სახით — ცელულოზისათვის, ქაღალდისათვის, ხელოვნური აბრეშუმისათვის და სხვ.

იგივე ითქმის ახლო აღმოსავლეთის ბაზრების შესახებ (ხმელთაშუა ზღვის რაიონი). ახლო აღმოსავლეთის ბაზრების მოთხოვნილება ხე-ტყეზე დაახლოებით უდრის ერთ მილიონ სტანდარტს, ჩვენ კი მიმდინარე წელს იქ შეგვაქვს უმნიშვნელო რაოდენობა. ახლო აღმოსავლეთის ბაზრებისათვის ხე-ტყის მიწოდება ჩვენ შეგვიძლია კავკასიიდან შავი ზღვის ნავთსადგურების საშუალებით და ჩრდილოეთის ტყეებიდან. შავი ზღვის ნავთსადგურებიდან ტყის შეზიდვის დროს ჩვენ შეგვეძლო მარტო ფრახტზე მიგვეღო 30-40 შილინგის ეკონომია თითო სტანდარტზე, (თუ შევადარებთ ფრახტის ღირებულებას ბალტიისა და თეთრი ზღვის რაიონებიდან გატანის დროს). შავი ზღვის რაიონებიდან დატვირთვა კიდევ იმ უპირატესობას გვაძლევს, რომ ეს ნავთსადგურები ღიაა მთელი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ფინეთის და შვეციის ექსპორტი თავის სტრუქტურით ძალზე განსხვავდება ჩვენი ექსპორტის სტრუქტურისაგან. სტრუქტურების ეს განსხვავება ჩვენს ექსპორტსა და ჩვენი კონკურენტების ექსპორტს შორის წარმოადგენს იმ უდიდეს სიძნელეთა საფუძველს, რომლებსაც ჩვენ ამჟამად განვიცდით ჩვენი ხე-ტყის ექსპორტის განაწილების დროს საგარეო ბაზარზე. ჩვენი ხე-ტყის ექსპორტის სტრუქტურა არსებითად იმავე დონეზე იმყოფება, როგორზედაც 1913 წელს იყო — შეინარჩუნა ნახევრად ნედლეულის ხასიათი. ჩვენი კონკურენტების ექსპორტის სტრუქტურა ღრმად განსხვავდება ჩვენისაგან. მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ფინები, შვედები და ნორვეგიელები ამუშავებენ და გააქვთ ქაღალდის ნახევარ ფაბრიკატები და ქაღალდი. ასეთი სახით გააქვთ ფინებს მთელი ექსპორტის 34,69 პროცენტი, შვედებს— 55,9 პროც. და ნორვეგიელებს—85,3 პროც.

სიძნელეები, რომლებიც ჩვენ გვაქვს საგარეო ბაზარზე, და რომლებიც, მართალია, გამწვავდნენ მსოფლიო კრიზისის საერთო სიტუაციასთან უშუალოდ დაკავშირებით, იმას გვიკარნახებენ, რომ ხე-ტყის მრეწველობის იმ ნაწილის მთელი კაპიტალური მშენებლობა, რომელიც ხე-ტყის ექსპორტს ემსახურება, უნდა მიემართოთ ფაბრიკატების და ნახევარფაბრიკატების, პირველ რიგში ქაღალდისათვის საჭირო ხის მასის, გადამუშავების გაძლიერების ხაზით. საერთოდ მთელი ჩვენი შემდგომი მუშაობა ხე-ტყის ექსპორტის დარგში უნდა მიმართულ იქნეს როგორც ახლო და შორეულ აღმოსავლეთში ექსპანსიის გაძლიერებისაკენ, ისე ჩვენი ტყის ექსპორტის ხარისხობრივი გაუმჯობესებისაკენ და მისი სტრუქტურის რადიკალურად შეცვლისაკენ.

დასასრულ, წერილში აღნიშნულია ის სიძნელეები, რომლებსაც ინგლისში უქმნიან ჩვენი ტყის ექსპორტს. უკანასკნელი წლის განმავლობაში ბრიტანეთის სატყეო ბაზარზე რამოდენიმედ არაჩვეულებრივი მდგომარეობა შეიქმნა იმის გამო, რომ იქ მოეწყო სინდიკატი („ცენტრალ რონა სოვიეტ იმპორტ-ლიმიტედ“), რომელიც მიზნად ისახავს დიდი მოგების მიღებას ბრიტანეთის ბაზარზე ჩვენი ტყით სპეკულიაციის გაწევის საშუალებით. სინდიკატი მიზნად ისახავს მთელი საბჭოთა ტყის ექსპორტის მოწესრიგებას ლონდონიდან არა მარტო ბრიტანეთის ბაზრებისათვის, არამედ სხვა საგარეო ბაზრებისათვისაც. სინდიკატის სათავეში ისეთი პირები დგანან, რომლებიც ფართო სპეკულიაციას ეწევიან და აჟიოტაჟს ქმნიან ბაზარზე. ეს ფირმები არ კმაყოფილდებიან მოგების იმ ჩვეულებრივი „ნორმალური“ პროცენტით, რომელსაც ისინი მიიღებდნენ ჩვენი ხე-ტყის გადაყიდვისაგან. სინდიკატი ყოველგვარ ზომებს ხმარობს იმისათვის, რომ ხელოვნური ღონისძიებებით შეაჩეროს ჩვენი ვაჭრობა, რათა წლის ბოლოს შესყიდოს ჩვენი ხე-ტყე დაბალ ფასებში, მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ. ჩვენ უნდა გავანაწილოთ ჩვენი ხე-ტყე ინგლისის ბაზარზე და მივსცეთ ის მომხმარებელს სინდიკატის ნებასურვილის გარეშე. ჩვენი ბოლშევიკური დაჟინებით, ინგლისის ბაზრისა და ძველი სავაჭრო ურთიერთობის დახმარებით ჩვენ ამას აუცილებლად მივაღწევთ (ადს).

## 5.800.000 ცხვარი საბჭოთა მეურნეობებში

**მოსკოვი**, 29 აგვისტო. 1930 წ. დამდეგისათვის „ოვცევოდ“-ის 63 საბჭოთა მეურნეობაში იყო 1.097.000 ცხვარი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყველაზე უფრო გამრავლდა მერინოსების ფარა. ამჟამად „ოვცევოდ“-ს უკვე მოწყობილი აქვს 122 საბჭოთა მეურნეობა, რომლებშიც თავმოყრილია 2 ნახ. მილიონი ცხვარი. 1931 წლის დამლევისათვის ცხვრების რიცხვი ამ მეურნეობებში მიაღწევს 5.800.000 დე. (ადს).

## გადაფრენა ახლო-აღმოსავლეთის ქვეყნებში

**მოსკოვი**, 28 აგვისტო. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის სამი საფოსტო-სამგზავრო ჰაეროპლანი 2 სექტემბერს გათენებისას გაემართება მოსკოვ—სევასტოპოლ— ანკარა— თბილის— თეირან— თერმეზ—ქაბულ— ტაშკენტ — კაზანლინსკ — ორენბურგ-მოსკოვის მარშრუტით. 9.000 კილომეტრის მანძილი გავლილი იქნება 50 საათის განმავლობაში. გადაფრენას მეთაურობს მფრინავი ინგაუნისი. ჰაეროპლანებზე დადგმულია 5000 ცხენის ძალიანი მოტორები. გადაფრენის მიზანია მახლობელ აღმოსავლეთის მეგობრულ სახელმწიფოების სტუმრობა და მანქანების გამოცდა იმ მიზნით, რომ დამყარდეს უფრო სწრაფი საფოსტო მიმოსვლა თურქეთ-სპარსეთ - ავღანისტანსა და საბჭოთა კავშირს შორის. (ადს)

## რაიონული ელსადგურების მშენებლობა

**მოსკოვი**, 29 აგვისტო. რაიონული ელექტრო-სადგურების მშენებლობა 1929—30 წ. საგრძნობათ სჭარბობს ხუთწლიანი გეგმის ვარაუდს.

მიმდინარე წელს მზადდება ახალი დადგმულობანი, რომელთა ძალოვნობა 8.000.000 კილოვატამდე მიაღწევს. ამუშავებული იქნება ახალი სადგურები—422.500 კილოვატი ძალოვნებით, მომქმედ სადგურების საერთო სიმძლავრე კი 1930 წ. ოქტომბრისათვის მიაღწევს 1.162.000 კილოვატამდე.

საბჭ. კავშირის ს. მ. უ. საბჭო თავის მოხსენებაში საბჭ. კავშირის მთავრობისადმი აღნიშნავს, რომ 1932—33 წ. ექსპლოატაციაში იქნება 62 სადგური, 6.000.000 კილოვატი სიმძლავრით. ოქტომბრის რევოლიუციამდე სადგურების სიმძლავრე მხოლოდ 245.000 კილოვატს უდრიდა. ამრიგად, რაიონული ელექტრო- სადგურების ენერგეტიული რესურსები 1933 წელს 1913 წელთან შედარებით 25-ჯერ გაიზრდება. (ადს)

„პურისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლაა“ (ლენინი)

# ვაიძულოთ კულაკობა ჩააბაროს პური

## განვდევნოთ სპეკულიანტები პურის ბაზრიდან

„გაჩაღდეს გადამწყვეტი ბრძოლა პურის გადამყიდველების და სპეკულიანტების წინააღმდეგ, დაპატიმრებული იქნან ის პირები, რომლებიც ადიდებენ პურის ფასებს და დამზადების ბაზრის დეზორგანიზაციას ახდენენ.“

(საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას ა/წ. 26 ივლისის დადგენილებ იდან)

## ისევ კულაკების და სპეკულიანტების შესახებ

პურის დამამზადებელი რაიონებიდან და სოფლებიდან კვლავ მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ კულაკები და სპეკულიანტები აძლიერებენ სპეკულიაციას და პურის გადაყიდვის საშუალებით სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიან დამზადების საქმეს. გარდა ამისა კულაკობა დღემდე არ აბარებს თავის სასაქონლო პურს სახელმწიფოს: თელავის, გორის, ყვარელის, ახალციხის და სხვა რაიონებში კულაკობამ უარი განაცხადა პურის ჩაბარებაზე. ს. დირბში (სტალინისის რაიონი) კულაკებს უნდა ჩაებარებინათ 507 ფუთი პური, დღემდე კი ერთი გირვანქაც არაა ჩაბარებული, ახალციხის რაიონში კი აშკარა კულაკ ექსპლოატატორები განთავისუფლეს სასაქონლო პურის ჩაბარებისაგან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რელიგიური კულტის მსახურნი არიან.

ამავე დროს არა ჩვეულებრივად ძლიერდება ეგრედ წოდებული „მეშოჩნიკობა“. კულაკები და ყველა ჯურის სპეკულიანტები ხელიხელ ჩაკიდებული აწარმოებენ პურით სპეკულიაციას. ისინი პურის გადაყიდვისათვის ათასგვარ ქსელს აბამენ: გარე-კახეთის და თბილისის ოლქის სოფლებში აღმოჩენილია მთელი რიგი ფაქტები, როდესაც კულაკები თავიანთ პურს ღარიბ გლეხებს აძლევენ კერძო ბაზარზე გასასყიდად. არის ისეთი მაგალითებიც, როდესაც კულაკებს და სპეკულიანტებს სოფლებში მოაქვთ „მოწმობები“ იმის შესახებ, რომ ისინი „საწყალი (!) და უღარიბესი“ გლეხებია. ამ მოწმობებით კულაკობა და სპეკულიანტები აუარაბელ პურის გამოტანას ახერხებენ სოფლებიდან. არის ასეთი მაგალითებიც: კულაკებს და სპეკულიანტებს სოფლებში დააქვთ კვერები, ვითომ პურის გასალეწად. კულაკებს მოაქვთ სოფლებიდან პური, — როდესაც მათ ეკითხებიან თუ საიდან იშოვეს პური. ისინი უპასუხებენ „კვერის ქირაში ავიღეთო“. ნამდვილად კი კვერი მხოლოდ მახინაციაა და სპეკულიანტები პურს გადიდებულ ფასებში ყიდულობენ.

ამრიგად პურის სპეკულიაცია და კულაკების მიერ თავიანთი სასაქონლო პურის სახელმწიფოსათვის ჩაუბარებლობა პურის დამზადების ფრონტზე სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას ა. წ. 26 აგვისტოს დადგენილებაში ნათქვამია: **„გაჩაღდეს გადამწყვეტი ბრძოლა პურის გადამყიდველების და სპეკულიანტების წინააღმდეგ და დაპატიმრებულნი იქნან ყველა ის პირები, რომლებიც ადიდებენ პურის ფასებს და პურის დამზადების ბაზრის დეზორგანიზაციას ახდენენ“.** გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ რაიონებში ეს დადგენილება არ ტარდება ცხოვრებაში. საჭიროა რათა პურის გადამმალავი სპეკულიანტი და კულაკი გამოაშკარავებულ იქნას და დაუყოვნებლივ მიეცეს პასუხისგებაში. კულაკთა და სპეკულიანტთა გამოაშკარავებაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ პურის დამზადებისათვის ხელის შემწყობ კომისიებმა.

გარდა ამისა ყოველმხრივ უნდა დაჩქარდეს პურის დამზადების გეგმის კულაკურ მეურნეობამდე მიყვანა. პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული ის კულაკები, რომელნიც მალავენ თავიანთ ზედმეტ პურს, აგვიანებენ გალეწვას და საერთოდ თავს არიდებენ პურის სახელმწიფოსათვის ჩაბარებას. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ დარგში არ უნდა დაუშვან არავითარი დაგვიანება და ლმობიერება. ცეკას ზემოხსენებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ „პურის დამზადების გეგმა **განსაკუთრებით** მიყვანილი უნდა იქნას კულაკურ მეურნეობამდე არა უგვიანეს 30 აგვისტოსი. „ამ დირექტივების შეუსრულებლობას—ნათქვამია ცეკას დადგენილებაში, ცენტრალური კომიტეტი განიხილავს, როგორც პარტიის ხაზიდან გადახვევას, ხოლო კულაკურ მეურნეობისადმი სისუსტის გამოჩენას—როგორც მემარჯვენე გადახრის მკაფიო გამოაშკარავებას პრაქტიკაში და როგორც კულაკისათვის პირდაპირი დახმარების გაწევას“. აქედან გამომდინარე ცხადია სასტიკად უნდა დაისაჯონ ის პირნი და ორგანიზაციები, რომელნიც არ გამოიჩენენ გამბედაობას და საკმაო კლასობრივ სიმტკიცეს კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყველა ამ დაბრკოლებების გადასალახავად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღარიბ-საშუალო გლეხთა და მოჯამაგირეთა დარაზმვას: ჩვენ გვაქვს ფაქტები, როდესაც ადვილად მოახერხეს კულაკების საგრძნობი იზოლიაცია პურის დამზადების კამპანიაში. მაგალითად **სოფ. ტყვიავში (გორის რაიონი) იმ კულაკებს, რომელთაც სახელმწიფოს პური არ ჩააბარეს ღარიბ-საშუალო გლეხკაცობამ ბოიკოტი გამოუცხადა.** საზოგადოებრივი ზეგავლენის ასეთი ზომებით კულაკობა აიძულეს პური ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის. იმავე სოფელში კულაკები, რომელთაც პური არ ჩააბარეს, გასამართლებულნი და დასჯილნი იქნენ სასამართლოს წესით. ასეთი ზომები უნდა იქნას მიღებული ყველგან იმ კულაკების წინააღმდეგ, რომელნიც ბოროტი განზრახვით მალავენ პურს და არევდარევას ამეფებენ ბაზარზე. გარდა ამისა უნდა გამოაშკარავდეს და სასტიკად უნდა დაისაჯოს ის პირი, ვინც კულაკობას უადვილებს „სიღარიბის“ მოწმობის მიღებას.

არ უნდა დავერიდოთ უმკაცრესი ზომების მიღებას კულაკების, მათი დამქაშების და გადამყიდავების წინააღმდეგ. კულაკებმა, მთელი თავიანთი სასაქონლო პური სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ და სპეკულიანტები კი დაუყოვნებლივ ალაგმული უნდა იქნან.

ა.—ა.

## ღირსეული პასუხი კულაკებს

(ტყვიავი, გორის რაიონი)

ს. ტყვიავის კულაკებმა ჯერ კიდევ პირველ აგვისტოს მიიღეს დავალება მთელი თავისი სასაქონლო პურის სახელმწიფოსათვის ჩაბარების შესახებ. პირველ ხანებში კულაკებმა კატეგორიული უარი განაცხადეს პურის ჩაბარებაზე. ადგილობრივ საბჭოთა და დამამზადებელ ორგანიზაციებმა წინადადება მისცეს მათ პურის დაუყოვნებლივ ჩაბარების შესახებ. კულაკებმა დაიწყეს იმის მტკიცება, რომ მოსავალი არ მოსვლიათ და ზედმეტი პური არა აქვთ. ნამდვილად კი კულაკებს სასაქონლო პური საკმაოდ ქონდა და ისინი აწარმოებდნენ პურით სპეკულიაციას.

ეს საკითხი დაისვა სოფელ ტყვიავის ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა კრებაზე. აღნიშნულ კრებამ სცნო, რომ ადგილობრივი კულაკები ბოროტი და შეურიგებელნი არიან და გადასწყვიტა მათ წინააღმდეგ მიიღოს სასტიკი და გადამჭრელი ზომები: ს. ტყვიავის მთელი ღარიბ-საშუალო გლეხობის და მოჯამაგირეების მოთხოვნით ბოიკოტი გამოეცხადა ადგილობრივ კულაკებს ბაშარულს და ხაბაზიშვილს.

ღარიბი გლეხების და მოჯამაგირეების მოთხოვნითვე აღნიშნული კულაკების საქმე გადაეცათ სახალხო სასამართლოს. ამ დღეებში მოხდება იმ კულაკების საჯარო გასამართლება, რომლებიც არ აბარებდნენ პურს, ადიდებდნენ პურის ფასებს და დეზორგანიზაცია შექონდათ დამზადების საქმეში.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

## რას უნდა მიექცეს ყურადღება

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ 25 აგვისტოსთვის საქართველოში შესრულებული იყო პურეულის დამზადების მთლიანი გეგმის 37,5 პროც. გეგმის შესრულების ეს პროც. საერთოდ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მთლიანად დამზადების ხარისხის შესახებ. თითქმის ყველა რაიონებიდან მოდის ცნობები, რომ პურეულის მიღების დროს საკმაო ყურადღება არ ექცევა მისაღებ პურეულის სისუფთავეს. ზოგან (თელავის რაიონი) ღებულობენ სრულიად გაუსუფთავებელ და ნაგვიან პურეულს. დამზადების მთავარ ამოცანას რაოდენობასთან ერთად შეადგენს დამზადებული პურეულის ხარისხი. რა ფასი აქვს პურეულის დიდ რაოდენობას, რომელიც ხარისხის მიხედვით მიუღებელია. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პურეულის მიმღებმა პუნქტებმა და დამზადებისათვის ხელის შემწყობ კომისიებმა.

გარდა ამისა მოიპოვება რაიონები, სადაც დამზადების გეგმა ჯერაც არ არის დაყვანილი კოლმეურნეობამდე და განსაკუთრებით კულაკურ მეურნეობამდე (ზაშურის რაიონი). სოფლის საბჭოში, რომელიც თავის რაიონში უშუალოდ უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველგვარ მასიურ სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიებს, ზოგან არავითარ აქტივობას არ იჩენენ პურის დამზადებაში. მთელ რიგ ადგილებში დამზადების საქმე მიმდინარეობს საბჭოების და ღარიბ გლეხობის მონაწილეობის გარეშე.

სათანადო სიმაღლეზე ვერა დგას სამრეწველო საქონლის განაწილება. მოიპოვება რაიონები, სადაც პურეულის საფასურში ჩამბარებელ გლეხებს სამრეწველო საქონელს აძლევენ რაღაც „მტკიცე ასორტიმენტით“.

პურის ჩამბარებელ გლეხებს საშუალება უნდა მიეცეს კუთვნილ სამრეწველო საქონლიდან შეარჩიოს მისთვის საჭირო საგნები და არამც და არამც არ უნდა ქონდეს ადგილი ამ დარგში ჩინოვნიკურ უმსგავსოებებს.

## მეტი ყურადღება დაშორებულ რაიონებს

(კახეთი, ყვარელის რაიონი)

ყვარელის რაიონში პურის დამზადებას აწარმოებს სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელსაც რვა ადგილას აქვს გახსნილი პურის დამამზადებელი პუნქტები. კოოპერაცია დამზადებულ პურს აბარებს „სოიუზხლებ“-ის მიმღებ პუნქტს — თელავში და მუკუზანში.

უნდა აღინიშნოს, რომ პურის დამზადების აჩქარებას, ე. ი. გეგმის ვადაზე შესრულებას, ხელს უშლის სამრეწველო საქონლის სიმცირე. უმთავრესად, ყვარელის რაიონს ფართლეულის სიმცირე ძალიან აწუხებს. პურის ჩამბარებლებს ეძლევათ — 30 პროც. სამრეწველო საქონელი, ამათში 15 პროცენტი ეძლევათ ფართლეული, რომლის ხარისხი და ერთფეროვნობა გლეხებს არ აკმაყოფილებს. მაგალითად, ფართლის 60 პროცენტს „ბიაზი“ შეადგენს.

ცეკავშირი, როგორც ეტყობა, დაშორებულ რაიონს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს. ფართლეულის საკითხი მოგვარებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ და უზრუნველყოფილი უნდა იქნას რაიონების განკარგულებაში მყოფი ფართლის საჭიროებისამებრ განაწილება.

კოოპერაცია ტომრებით უზრუნველყოფილია. პურის დამზადებისათვის საწყობი საკმარისად მოიპოვება, მაგრამ გადასაზიდი საშუალებების უქონლობა ძალიან აფერხებს პურით გადმოზიდვას „სოიუზხლები“-ს მიმღებ პუნქტებზე. კოლექტივებმა თავიანთი მუშა - საქონელი და გადასაზიდი საშუალებანი უნდა დაახმარონ პურის ჩამბარებელ პუნქტებს და კოოპერაციას.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

## საჭიროა დაჩქარება

(კახეთი, ყვარელის რაიონი)

ყვარელის რაიონმა საკონტროლო ციფრების მიხედვით უნდა დაამზადოს 70 ათასი ფუთი პური. ეს რიცხვი განაწილებულია რაიონში შემავალ 5 სასოფლო საბჭოებზე შემდეგნაირად: ყვარელის საბჭომ უნდა დაამზადოს 15 ათასი ფუთი პური, ახალგავაზის საბჭომ — 20 ათასი, შილდის საბჭომ — 14 ათასი და ენისლის 6 ათასი. თვითეულ საბჭოზე, მიწერილ დასამზადებელ პურის რაოდენობა თავის მხრივ განაწილებულია საბჭოებში შემავალ ცალკე სოფლებზე.

**პირველ აგვისტოს გეგმები უკვე დაყვანილი იყო, როგორც სასოფლო საბჭოებამდე, ისე სოფლებამდე.** 20 აგვისტოს ყვარელის რაიონში უკვე დამზადებული იყო — 20.969 ფუთი პური და 300 ფუთი ქერი. **გეგმა შესრულდა**—30 პროცენტით.

პურის აღნიშნული რაოდენობა მიღებულია უღარიბეს და საშუალო გლეხთა მეურნეობისაგან. კოლექტივებმა პურის საგრძნობი რაოდენობა ჩააბარეს; დამამზადებელ ორგანიზაციებს კოლექტივებისაგან პურის ჩაბარება გრძელდება.

**კულაკურ მეურნეობებს, რომლის რიცხვიც დიდია ყვარელის რაიონში პური ჯერ არ ჩაუბარებიათ. ეს იმიტომ, რომ პურის დამზადების გეგმები მათთან დაგვიანებით მივიდა.** კულაკები მიღებულ გეგმებს ძალიან „უხალისო“ შეხვდნენ, ისინი ცდილობდენ სხვადასხვა ხრიკებით, როგორმე გადამალონ ან გაყიდონ თავიანთ პურის ნაწილი, მაგრამ მიღებულია ზომები კულაკთა მახინაციების გამოსამჟღავნებლად და სპეკულიანტ — კულაკების დასასჯელად.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

## კულაკების ოინები

(ქვ. მაჩხაანი)

მთელი ქიზიყის კულაკობამ სოფლის საბჭოსაგან ერთი თვეა, რაც მიიღო დავალება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების შესახებ. ეს დავალება დღემდე ქაღალდზეა დარჩენილი და კულაკობა ყურსაც არ იბერტყავს პურის ჩასაბარებლად. ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მიღებული ზომების წყალობით ზოგიერთმა კულაკებმა შემოიტანეს პური.

**ზოგიერთი კულაკები კი პურს აძლევენ თავიანთ მეზობელ ღარიბ გლეხებს, — ღარიბს კულაკის პური მიაქვს ადგილობრივ იარმუკაზე და ყიდის, როგორც „საკუთარ“ პურს.** კულაკებმა ჩამორჩენილი ღარიბი გლეხები გადაიბირეს და მათ თავიანთი სპეკულიანტური მიზნებისათვის იყენებენ.

ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ და ღარიბთა ჯგუფებმა ამ გარემოებას უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება. საბჭოებმა უნდა გამოარკვიონ კულაკების ნამდვილი მოსავლიანობა და მათ უნდა მიეცეთ წინადადება რათა ზედმეტი პური სახელმწიფოს ჩააბარონ.

პურის გადამალვაში კულაკებს ხელს უწყობენ ზოგიერთი საბჭოს წევრები და კომკავშირელები. ეს ფაქტი კომუჯრედმა უნდა გამოაშკარაოს და ისინი უნდა გაირიცხონ კომკავშირიდან და საბჭოდან.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა

## 25 აგვისტოსათვის ა.-კ. დამზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 24 პროცენტით

„სოიუზხლებ“-ის ცნობით 25 აგვისტოსთვის ამიერ-კავკასიაში დამზადებული იყო სულ 18.619 ტონა პურეული, რაც დამზადების მთლიანი გეგმის 23—24 პროცენტს შეადგენს. აქედან სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით დამზადებულია 18.344,6 ტონა, ხოლო „სოიუზხლებ“-ის ხაზით 174,4 ტონა.

რესპუბლიკების მიხედვით დამზადება შემდეგ სურათს იძლევა: აზერბეიჯანში დამზადებულია 11.828 ტონა ანუ მთლიანი გეგმის 22,5 პროც., სომხეთში დამზადებულია 541,1 ტონა ანუ მთლიანი გეგმის 5,6 პროც., საქართველოში დამზადებულია 6.149,9 ტონა ანუ დამზადების მთლიანი გეგმის 37,5 პროც. საქართველოში სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით დამზადებულია 5.975,5 ტონა და უშუალოთ „სოიუზხლების“ მიერ 174,4 ტონა, მათ შორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ დამზადებულია 59,5 ტონა, საბჭოთა მეურნეობების მიერ—100,8 ტონა, კოლმეურნეობების მიერ 6,3 ტონა, ხოლო კულაკების მიერ 7,7 ტონა პურეული.

ამ რიგად აგვისტოს 25-სთვის **პურის დამზადების საქმეში ამიერ-კავკასიაში საგრძნობი გარღვევა მომხდარი არ იყო** (შესრულებული იყო დამზადების მთლიანი გეგმის მხოლოდ 23—24 პროც.). აგვისტოს დარჩენილ დღეებში და სექტემბრის პირველ ნახევარში დამზადების ტემპი მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს.

დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, დამზადების ხელისშემწყობმა კომისიებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა ეხლავე უნდა გაითვალისწინონ, რომ პურეულის დამზადების საქმეში სექტემბერს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ პერიოდში ყველა ორგანიზაციების უმთავრეს ამოცანას პურეულის დამზადება წარმოადგენს.

ამ საქმეში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყოველი ცოცხალი ძალა. **უნდა ავლაგმოთ ოპორტუნისტულად განწყობილი ელემენტები, რომლებიც თავისი გაუბედაობით, მერყეობით და ზოგჯერ მავნებლური ზრახვებითაც აფერხებენ პურის დამზადების საქმეს.**

## საგზაო კომიტეტის პლენუმი

### მეტი ყურადღება კადრების მომზადებას

29 აპრილის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ა.-კ. რკინის გზათა დირექციის კადრების განყოფილების წარმომადგენელ ამხ. ვოლსკის მოხსენება, რკინის გზის კადრების მომზადების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დირექციის კადრების განყოფილება ახალგაზრდა ორგანიზაციაა. უნდა ითქვას, რომ ამ ორგანიზაციას ვერ ახასიათებს ენერგიული საქმიანობა. რკინის გზას აქამდე არა აქვს კადრების მომზადების ხუთწლიანი გეგმა. კადრების საკითხი აქამდე არ გამხდარა ფართო მასების განხილვის საგნად. კადრების განყოფილება საერთოდ მეტად სუსტად მუშაობს, რაც იმითი უნდა აიხსნას, რომ კადრების მომზადების საკითხი აქამდე არ არის სათანადოთ დამუშავებული. თუ განყოფილების შექმნამდე ზეინკლების ნაკლებობა ათეულებით ამოიწურებოდა, განყოფილების ჩამოყალიბების შემდეგ ეს რიცხვი 100-მდე გაიზარდა. კადრების მომზადების მთავარ შემაფერხებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს სათანადო შენობების უქონლობა. განზრახულია რამოდენიმე საქარხნო -საფაბრიკო სკოლის მოწყობა, მაგრამ ეს საქმე ფერხდება უმთავრესად ფინანსების გამო. არსებული საქ.-საფ. სკოლებიც ჯერ კიდევ იჯარით აღებულ კერძო სახლებში არიან მოთავსებული და იძულებული არიან ორ ცვლად იმეცადინონ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ კადრების საკითხს არც ადგილებზე ჰქონდა მიქცეული სათანადო ყურადღება. არავითარი ყურადღება არ ექცევა წარმოებებში ჩაბმულ მუშაკების შესწავლას; ხშირად საპასუხისმგებლო სამუშაოზე აწინაურებენ მოუმზადებელ და შეუფერებელ ხალხს. არავითარი ყურადღება არ ექცევა ტეხნიკურ ძალების განაწილებას, რის გამოც სამმართველოში თავი მოიყარა სპეციალისტების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ. ადგილები კი, რომლებიც ამ სპეციალისტებს საჭიროებენ, უსპეციალისტებოდ არიან მიტოვებული. კადრების განყოფილება არავითარ ყურადღებას არ აქცევს მემანქანეებისა და მათ მოსამზადებელ კურსებს, სადაც მასწავლებლები საკმაო რაოდენობით არ არიან მოწვეული. სათანადო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე სტუდენტების საწარმოო პრაქტიკას. პრაქტიკაზე მოსულ სტუდენტებს თითქმის არავინ არ ხელმძღვანელობს, სტუდენტები უქმად კარგავენ დროს და ვერავითარ გამოცდილებას ვერ ღებულობენ, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

დასასრულ, რეზოლიუციების განხილვის და დამტკიცების შემდეგ, პლენუმმა საგზაო კომიტეტის შემადგენლობაში შეიტანა ცვლილებები, რის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

## მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

# მასების კონტროლის გზით

## როგორ „მუშაობს" სუფსის კოოპერატივი

(ოზურგეთის მაზრა)

ჩოჩხათის თემის მომხმარებელი მოსახლეობა გაერთიანებულია სუფსის კოოპერატივის გარშემო. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა კოოპერატივის გამგეობა დეფიციტიან საქონელს მხოლოდ სუფსის მოსახლეობაზე ანაწილებს და თემებიდან ჩასულთ კი უარით ისტუმრებს.

გასულ წელს ვაჭარმა ისონ ჯაშმა 30.000 ფუთი სიმინდი დაამზადა, მაშინ, როცა გამგეობას ეძინა. ამის გამო თავის დროზე გამგეობის თავმჯდომარემ თოდრიამ სამართლიანი შენიშვნაც კი მიიღო, მაგრამ ის დღესაც ამ ადგილზე იმყოფება. წელს კოლმეურნე გლეხობა ჩარჩებს უვარდება ხელში სიმინდს 8—9 მანეთად ყიდულობს, კოოპერატივის გამგეობა კი თავს ასე იმართლებს: ჩრდილოეთ- კავკასიიდან სიმინდი რომ გამოგვეწერა, სულერთია—ღარიბები ერთბაშად ვერ შეისყიდდნენ და კოოპერატივის თანხები თვეობით უნდა გაგვეჩერებინაო.

მოჯამაგირე და ღარიბ გლეხობას არ ეწევა დახმარება, რომ გაერთიანდეს კოოპერატივში. საპაიოს აქ ღარიბები იხდიან 21 მანეთს, საშუალო გლეხობა კი 50 მანეთს. ეს მაშინ, როდესაც მახლობელი კოოპერატივები ღარიბებს ახდევინებენ 11 მანეთს და საშუალოებს 21 მანეთამდე.

სარევიზიო კომისია არ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. მისი წევრები მხოლოდ „კაზიონურად" ჩამოივლიან 8 თვეში ერთხელ, რომ დღიურები მიიღონ. მათ ოქმებში და საქმეებში არაფერიც არ არის თქმული იმაზე, რომ მომხმარებელი საზოგადოება უკმაყოფილოა გამგეობის მოქმედებით.

ა. წ. 31 ივლისს ჩოჩხათის გან-ში, როგორც იქნა, ჩაიტანეს საინები და სხვა ჭურჭლეულა. ეხლა დახეთ უბედურებას,— თურმე გამგეობას ჭურჭლეულზე ფასების გაწერა დავიწყნია, რის გამო 30 კაპ. საინები გაყიდეს 45 კაპ. და სხვ. ერთი ქვრივი ზეგდ ნოქარი აცხადებს: ჭურჭლეული შეცდომით ძვირად გავყიდეთ, ჩემი რა ბრალია, სამაგიეროდ მომავალში ამას აღარ გავიმეორებთ და დარჩენილ ჭურჭლეულსაც დაკლებულ ფასებში მოგყიდითო.

მოდის კოოპ. განყოფილებაში, ვთქვათ, თევზი, შაქარი და სხვა. ნოქარი იწვევს სადუქნო კომისიას და მასთან ერთად ანაწილებს საქონელს. სადუქნო კომისია ეძახის სას.-ამ. არტელის (ჩოჩხათი მთლიანი კოლექტივიზაციის თემია) ათეულების თავმჯდომარეებს, იმართება კვირაობით თათბირები. იბნევიან მომხმარებლები,— არ იციან რომ ორგანიზაციასთან, ან რამდენ ნოქართან აქვთ საქმე. უამრავი არის ასეთი ფაქტები: არტელის ათეულის თავმჯდომარე ეუბნება კოოპ. წევრ ღარიბ გლეხს: შენ ტარანი და ჩითი არ გეკუთვნის, რადგან ამას წინად კოლექტივში არ გიმუშავიაო, მეორეს ეუბნება: შენ წუღას ვერ მიიღებ, რადგან არტელის წევრი არა ხარ, ან გვიან გახდიო.

ყოველივე ამან ჩოჩხათის მომხმარებლებში სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ერთიანდებიან იანეთში (ჩოჩხათიდან 6 კილომეტრის მანძილზე). ჩოჩხათის თემის გლეხობას არ შეუძლია 6 კილომეტრის მანძილზე ისარგებლოს სოფ. იანეთის კოოპერატიული განყოფილებით, მაგრამ სხვა გზა არ დარჩენიათ. ასეთი მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ამასთან, ბოლო უნდა მოეღოს საქონლის განაწილების ისეთ წესს, როცა იგი ერთი ნოქრისა და სადუქნო კომისიის მაგიერ გადადის 70 ნოქრის ხელში. უნდა აღიკვეთოს გლეხობის დაშინება — თუ კოლმეურნეობაში არ გაერთიანდი, არაფერს მიიღებო.

ადგილი აქვს საქმის ძლიერ გაჭიანურებას, პროტექციონიზმს და ეცემა მოსახლეობის თვალში კოოპერაციის ავტორიტეტი, რის შედეგად 10 დღის განმავლობაში 150 წევრი გავიდა კოოპერატივიდან.

უნდა მოხდეს სუფსის კოოპერატივის გამგეობის გადახალისება, რასაც ზემდგომმა ორგანოებმა სასწრაფოდ უნდა მოკიდონ ხელი.

ჯგუფი.

## ონის კოოპერატივის დეფექტები

3 აგვისტოს მსუბუქმა კავალერიამ მოაწყო თავდასხმა ონის კოოპერატივზე და აღმოაჩინა შემდეგი:

კოოპერატივის კანტორაში ადგილი აქვს თანამშრომელთა დაგვიანებებს, მაგ., 3 აგვისტოს სამუშაო საათის დასაწყისში არ იყო არც ერთი თანამშრომელი. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე კერესელიძე გამოცხადდა 1 საათის დაგვიანებით, დანარჩენმა თანამშრომლებმა კი დაიგვიანეს ნახევარი საათი. სხვადასხვა საქმეებზე მოსული 13 გლეხი უცდიდა გამგეობის თავმჯდომარეს. მაღაზიის გაღებას დაიგვიანდა 10 წუთით. ასეთ დაგვიანებას თითქმის სისტემატიური ხასიათი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ გამგეობის თავმჯდომარეს დაუმატეს გამგეობის ორი ფასიანი აქტიური წევრი—მუშაობა თავის სიმაღლეზე მაინც არ არის დაყენებული.— გამგეობის თავმჯდომარე არ იმყოფება მუდამ სამუშაო ადგილას. სათანადოდ ყურადღება არ ექცევა სამომხმარებლო საგნების მომარაგებას, მაგ. სიმინდი 30 წლის დასაწყისში შემოტანილი იქნა 80 ვაგონამდე და „იმის შიშით, რომ სიმინდი დროზე არ გაიყიდებოდა და კოოპერატივი იზარალებდა", ის გაცემული იქნა ყოველგვარ კონტროლის და ვექსის გარეშე. ეს სიმინდი შეიძინეს შეძლებულებმა, რომელნიც მას დღეს ფარულად ორმაგ ფასებში ყიდიან, აგრეთვე ნაკლებად ხდება პირველ მოთხოვნილების სხვა საგნების მომარაგებაც.

ხელფასი მოუმატებიათ გამგეობის აქტიურ წევრებისა და მთავარ ბუხჰალტერისათვის, ხოლო დაბალ ტეხნიკურ თანამშრომლებზე, რომელთაც ხელფასი მცირეა, მომატება არ გაუვრცელებიათ. აგრეთვე აღსანიშნავია მოჯამაგირის მდგომარეობა, რომელიც განუსაზღვრელ დროის განმავლობაში მუშაობს. მოჯამაგირე აყვანილ იქნა მუშა-საქონლის მომვლელად, მაგრამ მას ამუშავებენ ყოველგვარ შავ სამუშაოზე. ამას პროფკავშირი ყურადღებას არ აქცევს.

ადგილი აქვს მიზანშეუწონელ ხარჯებს. მაგ., კოოპერატივმა შეიძინა 2 ცხენი ეტლით („კალიასკით"), რაც დაუჯდა 1300 მან., მაგრამ ეტლი არაა მთლიანად გამოყენებული. არის შეძენილი აგრეთვე 2 ულელი ხარი და აყვანილია მეურმე, რომლის საშუალებითაც სოფლად განყოფილებებში უნდა იგზავნებოდეს საქონელი. სინამდვილეში ეს ასე არ ხდება და ქირავობენ კერძო მეურმეს. აღნიშნული ხარჯების და მეურმის შენახვა იძლევა დეფიციტს.

დებიტორთა საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია, სულ სესხად გაცემულია დაწესებულებებსა და კერძო პირებზე 8.700 მანეთი საერთო საბრუნავი თანხიდან.

კავალერისტები.

## უთავბოლობა ბათომის მუშკოოპში

ბათომის მუშკოოპში რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ამის შესახებ არა ერთხელ დაიწერა გაზეთებში, მაგრამ დაწერილს ყურადღებას არავინ აქცევს. კანცელარიაში, საქმეთა მმართველის და სხვა მუშაკების სუსტი კვალიფიკაციის გამო, საქმეები არეულია. სავაჭრო განყოფილების გამგედ ერთი წელი იყო ისეთი პირი, რომელსაც ვაჭრობის არაფერი გაეგებოდა (ვინმე შაფერსკი). მართალია, ეს უკანასკნელი უკვე გადაყენებული იქნა, მაგრამ მაგიერი არავინ მოუწვევიათ და სავაჭრო საქმეები არანორმალურ მდგომარეობაშია. სრულიად არაფრის გამკეთებელია რაციონალიზატორი და ახლად დანიშნული მეგეგმე; მათ ჯამაგირი ტყუილ - უბრალოდ ეძლევათ. აპარატის წმენდის შემდეგ გაწმენდილების ნაცვლად მიღებულთა შორის მოიპოვებიან ისეთები, რომლებსაც კოოპერაციასთან არაფერი აქვთ საერთო, სისხლის სამართლის დამნაშავე და ყოფილი ვაჭრები.

მუშათა დაწინაურებას ყურადღება არ ექცევა; არ სწარმოებს კვალიფიკაციის შემოწმება. დაწინაურება ხდება მექანიკურად. მაგ., მუშკოოპის № 9 სავაჭრო სექციის გამგედ დააწინაურეს მოქ. ისკანდერ მოწყობილი, რომელიც არამც თუ კოოპერატივში არ უნდა იყოს, არამედ თავისუფლადაც არ უნდა დადიოდეს—ყოფ. კომკავშირელი და უზნეობისათვის კომკავშირიდან გარიცხული, სამსახურში პროტექციით მიღებული, ქურდობისათვის ორჯერ სამსახურიდან მოხსნილი და პროტექციითვე დაბრუნებული; უნდა აღინიშნოს, რომ მოწყობილი გამწმენდ კომისიამ მოხსნა სხვ. და სხვ. ბოროტმოქმედებისათვის, მაგრამ პროკურატურამ, სადაც მას ნათესაური კავშირი აქვს, მისი საქმე მიჩქმალა.

აგრეთვე აღსანიშნავია ის არანორმალობა, რომ ერთ და იმავე საქმის გამკეთებელს და კვალიფიკაციის მქონეს სხვადასხვა ჯამაგირი ეძლევა. უყურადღებოდაა დატოვებული მოწაფეობის საკითხი, ადგილი აქვს მლიქვნელობას.

იძაური.

## თბილისის მუშკოოპის აპარატის წმენდა

### წმენდამ, მიუხედავად მოსამზადებელი მუშაობის სუსტად ჩატარებისა, მუშკოოპის აპარატში ბლომად გამოააშკარავა ყოფ. ვაჭრები, გამფლანგველები, ბიუროკრატები, მავნებლები

საჭიროა მუშკოოპის აპარატის უფრო საფუძვლიანად გაცხრილვა. — გაწმენდილთა ადგილზე ფართოდ და გაბედულად დავაწინაუროთ მუშები.

### 26 კომუნარის რაიონში

გამწმენდმა კომისიამ აღნიშნულ რაიონში მომუშავე მუშკოოპის თანამშრომელთა წმენდა დაამთავრა. წმენდა გაიარა 304 კაცმა. უნდა აღინიშნოს, რომ მოსამზადებელი მუშაობა და ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობა წმენდაში ძლიერ სუსტი იყო. არ იყო წმენდის მნიშვნელობა სათანადოთ განმარტებული მეპაიეთა და მუშკოოპის თანამშრომელთა შორის, რის შედეგად კომისიას რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ადგილი ჰქონდა გასაწმენდ თანამშრომლების არ გამოცხადების გამო წმენდის გადადებას.

მიუხედავად ამისა კომისიამ მაინც შესძლო, სხვა გაწმენდილ დაწესებულებებთან შედარებით, მოეხსნა შეუფერებელი და მავნე ელემენტების საგრძნობი რიცხვი. 304 კაციდან კომისიამ სასჯელი გამოუტანა 74 კაცს, რაც უდრის 22 პროც. აქედან პირველი კატეგორიით მოხსნილია 4 კაცი, მეორე კატ. 31 კაცი, მესამე კატეგორ. 5 კაცი, უკატეგორიოთ 3 კაცი, სულ 43 კაცი. მოიხსნა, საყვედური გამოეცხადა 12 კაცს, სასტიკი საყვედური 16 კაცს, სხვადასხვა სასჯელი კი 3 კაცს.

მოხსნის უმთავრესი მოტივები იყო: უხეში მოპყრობა მომხმარებლებისადმი, საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის არ მიღება, კავშირი გადამყიდველებთან, საქონლის გადამალვა, ნაცნობობით გაცემა, ზედმეტ ფასში გაყიდვა, სამსახურისადმი გულგრილობა, გაფლანგვა და სისტემატიური დანაკლისი. აქ აღსანიშნავია ის, რომ მუშკოოპის გამგეობა ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა იმ თანამშრომლებს, რომლებსაც ჰქონდათ და აქვთ სისტემატიურათ დანაკლისი საქონლისა. გამგეობა კმაყოფილდებოდა მხოლოდ დანაკლისის დაფარვის მოთხოვნის წარდგენით და მუშათა ქონების გამძარცველი ისევ თავის ადგილზე რჩებოდა.

წმენდამ გამოარკვია, რომ მუშკოოპის აპარატში თავი მოუყრია მუშკოოპისათვის მავნე, ხელის შემშლელ ელემენტებს, ყოფილ ვაჭრებს, რომლებსაც მუშკოოპში ზიროვის გარეშე ღებულობენ როგორც „სპეცებს", საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულებს, გამფლანგველებს და სისხლის სამართლის დამნაშავეებს. კომისიამ ყველა მათ საკადრისი სასჯელი მიუზღო. გაწმენდილთა ადგილზე წამოყენებული იქნენ მუშები.

მ. ყურაშვილი.

### ვინ გაიწმინდა

26 კომუნარის რაიონის მუშკოოპის აპარატის გამწმენდმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა. კომისიის დადგენილებით პირველი კატეგორიით მოხსნილი არიან სამსახურიდან: № 158 მაღაზიის პასუხისმგებელი გამყიდველი დ. ზეუტაშვილი, საარჩევნო ხმის უფლება ჩამორთმეული აქვს როგორც მას, ისე მის მშობლებს; სამუშაოთ გამოდის მთვრალი, წმენდის დროს დაჰფარა თავისი წარსული. № 42 მაღაზიის პასუხისმგებელი გამყიდველი ქურჩიშვილი—ყოფილი ვაჭარი და სახლის პატრონი, ავიწროებდა ღდმურებს, მიცემული იყო პასუხისგებაში სპეკულაციისათვის, ძვირფასი ნივთების საზღვარ-გარეთ გატანისათვის და კონტრაბანდისტობისათვის. № 442 მაღაზიის გამგე პავლე ბაგრატუქმელიქოვი — მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, დაშნაკელების არმიის როტმისტრი, იბრძოდა წითელი ჯარის წინააღმდეგ, მოსამსახურეებს უხეშად ეპყრობოდა, კავშირი აქვს გადამყიდველებთან, აქვს საკუთარი სახლი, გამორიცხულია პროფკავშირიდან. № 24 მაღაზიის გამგე მიხეილ კანანოვი, — ყოფილი გამფლანგველი, სისტემატიურად აკლდება საქონელი, მალავს სასურსათო საგნებს, აქვს კავშირი გადამყიდველებთან.

მეორე კატეგორიით მოხსნილი არიან: № 7 მაღაზიის ნოქარი ხ. ანანიევი, რომელიც უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს, მონაწილეობას არ ღებულობდა საზოგადოებრივ მუშაობაში და საქონელს აძლევდა ნაცნობებს. ამავე მაღაზიის სექციის გამგე ხტ. ოხიკანოვი, რომელიც უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს, მალავდა საქონელს ნაცნობებისათვის, არღვევდა შინაგან განაწესს, არ ღებულობდა მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში და წმენდის დროს დაფარა, რომ იგი ყოფილი შავსიელია. № 527 მაღაზიის სექციის გამგე ა. კოსტანოვი — ყოფილი ვაჭარი, დაფარა თავისი წარსული, მუშკოოპში მიღებულია პროტექციით, არ ღებულობს მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში. № 7 მაღაზიის სექციის გამგე ხ. ჩილინგაროვი, რომელიც მომხმარებლებს უხეშად ეპყრობოდა, მალავდა საქონელს და შემდეგ აძლევდა ნაცნობებს, დაფარა თავისი წარსული, არ ღებულობდა მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში. ამავე მაღაზიის გამყიდველი ა. აგარონოვი, რომელიც სამსახურში მიღებულია პროტექციით, დააკლდა საქონელი, ზედმეტ აღმოაჩნდა 280 მანეთი, არ ღებულობს მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში.

წითელ ბაზარში მომუშავე გამყიდველი ვ. შანიშვილი, რომელსაც სავაჭროში დააკლდა 300 მანეთი. მე-5 მაღაზიის გამყიდველი ზ. აივაზოვი, რომელმაც შაქარი გასცა გადამყიდველებზე. № 527 მაღაზიის გამყიდველი ა. ბალდინოვი, კავშირი აქვს კერძო ვაჭრებთან. მე-7 მაღაზიის სექციის გამგე ხ. ანდღულაძე, უხეშად ეპყრობა მომხმარებლებს, ბოროტად იყენებს თანამდებობას და ინტრიგანობს. ორჯერ აღმოაჩნდა დანაკლისი. წითელ ბაზარში მომუშავე გამყიდველი ო. კალახოვია, რომელმაც დაფარა თავისი წარსული, ყოფილი ვაჭარია და ამჟამად სოფლად ამუშავებს ეტლ. № 465 მაღაზიის სექციის გამგე ალ. ნინიევი, რომელიც გულგრილად ეპყრობა სამსახურს, თანამშრომლებს საქონელი მისცა ნისიად, საქონელს ყიდდა ზედმეტ ფასებში. მოლარე ეთერი ვარსმაშვილი — არ არის პროფკავშირის წევრი, შრომის ბირჟის მიერ გადმოგზავნილია სამსახურში პროტექციით, არ მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაში. № 46 მაღაზიის გამყიდველი ზ. ბაბასიანი, რომელიც უხეშად ეპყრობოდა გამყიდველებს, ზედმეტ ფასებში ყიდდა საქონელს, გულგრილად ეპყრობოდა მუშაობას. № 41 მაღაზიის გამყიდველი ხ. დავიდოვი—უხეშად ეპყრობოდა გამყიდველებს, ხორცს ყიდდა ზედმეტ ფასებში, ჯამაგირი გამოუწერა თანამშრომელს, რომელიც სამსახურში არ იყო. იმავე მაღაზიის გამყიდველი მ. მნაცაკანოვი, ყოფილი ვაჭარი, წმენდის დროს დაფარა თავისი წარსული, შემოსავლიდან თავისი ნებით აიღო 64 მანეთი და დღიური შემოსავალი ამ თანხით ნაკლები ჩააბარა. № 42 მაღაზიის სექციის გამგე ა. თოფლიშვილი, უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს, ყოფილი კონტრაბანდისტი, საქმისადმი გულგრილი, მომხმარებლებს ატყუებდა წონაში. ამავე მაღაზიის გამყიდველი ი. პავლოვი, უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს; სამსახურში მთვრალი ცხადდებოდა; ნისიათ წაიღო საქონელი მაღაზიიდან; ქონდა დანაკლისი; საზოგადოებრივ მუშაობაში არ მონაწილეობდა. № 63 მაღაზიის გამყიდველი ს. ხაჩატუროვი, რომელსაც კავშირი ჰქონდა კერძო ვაჭრებთან და უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს. № 467 მაღაზიის სექციის გამგე ს. აბაშიძე, უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს; დეფიციტიან საქონელს აძლევდა ნაცნობებს; დაფარა თავისი წარსული. № 158 მაღაზიის მოლარე ელენე აბაშიძე, რომელიც უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს; სალაროდან თავისი ნებით მიჰქონდა ფული; არ მონაწილეობდა საზოგადოებრივ მუშაობაში. № 442 მაღაზიის გამყიდველი ფ. პაპაშვილი, რომელიც სამსახურში მთვრალი ცხადდებოდა სისტემატიურად; საქმეს ეპყრობოდა გულგრილად და არ მონაწილეობდა საზოგადოებრივ მუშაობაში. № 158 მაღაზიის გამყიდველი შ. გურგენიძე, ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავე, აქვს 160 მან. დანაკლისი. № 90 მაღაზიის გამყიდველი ბ. ნათენაძე, რომელიც საქმისადმი გულგრილობისათვის იყო დაპატიმრებული. № 24 მაღაზიის გამგე ს. ჩიქოვანი, საქმისადმი გულგრილი, აქვს 600 მანეთის დანაკლისი, სუსტი ადმინისტრატორი, არ იცის ადმინისტრაციის ფუნქციები. № 24 მაღაზიის გამყიდველი ი. თევდორაშვილი, რომელსაც კავშირი აქვს გადამყიდველებთან; აღმოაჩნდა 600 მანეთის დანაკლისი. № 24 მაღაზიის პასუხისმგებელი გამყიდველი ნიკ. კუხალეიშვილი, კავშირი ჰქონდა გადამყიდველებთან და საქმისადმი გულგრილობას იჩენდა. მისი საქმე გადაეცა ცეკას საკონფლიქტო კომისიას. № 592 მაღაზიის გამყიდველი მ. შატბეროვი, რომელმაც კომისიას დაუმალა, რომ მას გამოცხადებული აქვს საყვედური; საქონელს ყიდდა ზედმეტ ფასებში და უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს. № 431 მაღაზიის გამგე მ. ბარამიძე, ყოფილი ვაჭარი, დაფარა თავისი წარსული. № 93 მაღაზიის გამგე ი. ესაიანი, კავშირი აქვს შავსიელ ოჯახთან; 1928 წლამდე ვაჭრობდა მამასთან ერთად; დაფარა თავისი წარსული. № 75 მაღაზიის გამგე ნ. მელიქსეტოვი, ავადმყოფობის დროს ფული მიიღო მუშკოოპიდანაც და დაზღვევის სალაროდანაც; აღმოაჩნდა 300 მან. დანაკლისი; მომხმარებლებს უხეშად ეპყრობოდა. № 27 მაღაზიის გამყიდველი ზ. მაჭავარიანი, რომელმაც დაფარა თავისი წარსული.

მესამე კატეგორიით მოხსნილი არიან: წითელი ბაზრის გასტრონომიული განყოფილების გამგე მირონ ტამლიაშვილი, რომელიც უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს, აბუჩად იგდებდა სადუქნო კომისიას და არ მონაწილეობდა საზოგადოებრივ მუშაობაში. მე-5 მაღაზიის გამგე ა. ლლონტი — უხეშობისათვის, სამსახურისადმი გულგრილობისათვის — მისი მაღაზიის თანამშრომლებში გამეფებული იყო ინტრიგა. კომისიამ საჭიროდ სცნო ა. ლლონტის მესამე კატეგორიით მოხსნა და მისი სხვა სავაჭროში დაბალ სამუშაოზე გადაყვანა. გარდა ამისა კომისიამ საჭიროდ სცნო მაღაზიის თანამშრომელთა მთელი შემადგენლობის დაშლა. მე-7 მაღაზიის სექციის გამგე ქ. ლაზარევი — ყოფილი მეფის არმიის ოფიცერი, უხეში მომხმარებლებისადმი და გულგრილი სამსახურისადმი. № 486 მაღაზიის გამგე ე. შარაშიძე, რომელმაც დაუმალა კომისიას, რომ მას გამოცხადებული ქონდა საყვედური, სამსახურისადმი იჩენდა გულგრილობას. № 381 მაღაზიის გამგე ა. დონსკოი-ბოტაევი, ყოფილი გამფლანგველი, უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს.

უკატეგორიოთ მოხსნილი არიან: № 71 მაღაზიის გამყიდველი ცოლაკ მხითარიანი, რომელმაც გადამალა ერბო და სხვ. საქონელი, უხეშად ეპყრობოდა მომხმარებლებს, საქონელს ინახავდა უსუფთაოდ და სამსახურისადმი იჩენდა გულგრილობას. მე-7 მაღაზიის გამყიდველი მ. კოზიკაძე, რომელსაც აღმოაჩნდა 1.000 მანეთის დანაკლისი და მიითვისა ნავაჭრი ფული. № 42 მაღაზიის გამგე ი. მაღალაშვილი, უხეში მოპყრობისათვის მომხმარებლებისა და თანამშრომლებისადმი, ამაყი, თანამდებობისათვის შეუფერებელი, სუსტი ადმინისტრატორი; დეფიციტიან საქონელს აძლევდა ნაცნობებს. კომისიამ ამასთან ერთად საჭირო სცნო № 42 მაღაზიის თანამშრომელთა მთელი შემადგენლობის დაშლა.

კომისიის დადგენილებით თანამშრომლები დაქვეითებულ უნდა იქნან სხვა სავაჭროებში, უფრო დაბალ თანამდებობაზე. მთელ რიგ თანამშრომლებს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, გაფრთხილება და სხვ.

კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ წითელ ბაზარში მომუშავე გამყიდველი ვ. კაპანაკოვი, როგორც სამაგალითო მუშაკი, დაწინაურებულ იქნეს შესაფერ თანამდებობაზე.

## ვინ ზრდის ახალგაზრდობას

(ზესტაფონის ათწლედი)

ზესტაფონის ათწლედში გამგის მოადგილის თანამდებობაზე იმყოფება „კომუნისტი" დავით ყიფშიძე. ამ სკოლაში მოსვლისთანავე მან პირველ ყოვლისა სახელი გაითქვა იმით, რომ ყოფ. მასწავლებელ პენსიონერ ღიბრაძეს საანგარიშო ჩოთქი ესროლა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მას განცხადებით მიმართა საჭირო საქმეზე. მასწ. ძიძიშვილს მან შეურაცხყოფა მიაყენა, —რადგან ძიძიშვილმა მას შეცდომა გაუსწორა.

ყიფშიძემ ხელი მიჰყო სკოლის ქონების ფლანგვასაც. იმ დროს, როდესაც მოწაფეები სკოლაში სიცივით კანკალებდნენ, ყიფშიძეს შინ სახლში მიჰქონდა, კერძოდ მან წაიღო 2 ურემი შეშა და ამ შეშის დაჩეხვაზე ამუშავა სკოლის დარაჯი არაბიძე.

ყიფშიძეს სრულიად არ აინტერესებდა სწავლის მოწესრიგება. მის საგანში თითქმის ერთი მოწაფე სუსტი არ ყოფილა, ნამდვილად კი ის ზერელედ ეკიდებოდა თავის საქმეს. ატესტატებიც ძმა-ბიჭურათ გასცა: 10 ჯგუფის მოწაფეს ვასილ ბიბილაშვილს ჰქონდა ხუთი—2, პავლე დუგლაძეს ოთხი—2, გრიგოლ ყანჩაველს 7 ორი, რომან ჩუბინიძეს 7 ორი. პედსაბჭოს სხდომაზე აღნიშნულ მოწაფეების შესახებ მიღებული იქნა დადგენილება, რომ მათ ჩაებარებიათ გამოცდები შემოდგომაზე. მიუხედავად ამისა, ყოველგვარი სხდომის გარეშე, ყიფშიძის განკარგულებით ამ მოწაფეებმა ატესტატები მიიღეს. სხვათა შორის, ატესტატების გაცემას ყიფშიძე, თავის მომხრე მასწავლებლებთან ერთად, წერილებითაც აწერინებს. აქვე მოგვყავს მათ მიერ მიწერილი წერილი სკოლის გამგისადმი ამხ. ისიდორე კოსტავასადმი:

„ამხ. ისიდორე. დამატებით იმ მოწაფეებთან, რომლებმაც დამატებით მიიღეს მოწმობები, მიეცით ვლადიმერ ცერცვაძესაც:

დ. ყიფშიძე, თ. ზვიადაძე და ქ. კაპანაძე".

აღნიშნულ ცერცვაძეს 14 საგნიდან ერთ საგანში ჰქონდა ერთი, დანარჩენ 13 საგანში ნიშანი სრულებით არ ჰქონია, ვინაიდან მთელი წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია.

ყიფშიძე მოწაფეთა მიღების საკითხში თავისებურ პოლიტიკას ატარებს. ზესტაფონის 10 წლედი წელს გადაკეთებული იქნა აგროტეხნიკუმად. შესდგა მიმღები კომისია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა ყიფშიძეც. მოწაფეთა შორის მიღებული იქნა დაწინაურებული მუშის გარშკოვის შვილი. მაგრამ ყიფშიძემ ის ამოშალა და მის ადგილზე მიიღო სხვა, სახელდობრ ორთაშვილი, რადგან უკანასკნელი ამავე სკოლის „მასწავლებლის" თამარ ზვიადაძის დეიდაშვილია.

ყიფშიძეს ავანსებიც უყვარს: 23 ივნისს 10 წლედის გამგისაგან მიიღო ივნისის და ივლისის ხელფასი 241 მან. და 50 კაპ., რაიაღმასკომის საფინანსო განყოფილებიდან 21 ივლისს კი აიღო იმავე ივნისის და ივლისის თვის ჯამაგირები 284 მან. 50 კაპ., ასე, რომ ხელფასი ყიფშიძემ მიიღო 10 წლედიდანაც და საფინანსო განყოფილებიდანაც.

ყიფშიძემ ფორმალურად ხელი მოაწერა ობლიგაციის შეძენაზე, მაგრამ არც ივნისის და არც ივლისის ხელფასიდან ერთი კაპეიკიც არ დაუტოვებია.

სკოლას გამოწერილი აქვს 200 მანეთის გაზეთები. ამ გაზეთებით ვერც მასწავლებლობა და ვერც მოწაფეობა ვერ სარგებლობს, ვინაიდან ყველა ესენი ყიფშიძის „ესაჭიროება". სკოლამ წელს შეიძინა მოწაფეთა ბიბლიოთეკისათვის 1400 მანეთის წიგნები. აქედან ნახევარზე მეტი ყიფშიძისა და ზვიადაძის აქვთ და არ აბრუნებენ.

ყიფშიძე ყოველთვის ცდილობდა გამხდარიყო 10 წლედის გამგედ. სარაიონო აღმასკომმა ის მართლაც დანიშნა ამ თანამდებობაზე, მაგრამ საოლქო აღმასკომმა არ დაადასტურა.

დავით გაბრიაძე.

## შეუფერებელი ინსტრუქტორი

(ახალ-სენაკი)

მიხა ლაბარტყავა საკმაოდ ცნობილია, როგორც ბნელი წარსულის მქონე. ძველ დროში ის ინსპექტორად იყო მარტვილის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში. ლაბარტყავა მეფის ყურმოჭრილ აგენტს წარმოადგენდა. რეაქციის წლებში ის ყოველმხრივ ავიწროებდა ღარიბ მოწაფეებს, თუ ისინი მეფის „დღესასწაულებზე" არ დაესწრებოდნენ, ფორმის ტანისამოსს არ ატარებდნენ და სხვ. მოსწავლე ახალგაზრდობაში და ინტელიგენციაში ის ახშობდა ყოველგვარ რევოლუციონურ განწყობილებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, მარტვილის 10 წლედის გამგის თანამდებობაზე, ლაბარტყავა არსებითად არ გამოცვლილა. მოწაფეთა ინიციატივის ჩაკვლა და ბიუროკრატიზმი შეადგენდა მისი „მოღვაწეობის" შინაარსს. ამიტომ იგი შარშან მოხსნილ იქნა სამსახურიდან.

მაგრამ პროტექციის წყალობით ლაბარტყავა წამოსკუპდა სენაკის მაზრის განათლების განყოფილებაში რაისკოლების ინსტრუქტორად. ეს გაკვირვებას და უკმაყოფილებას იწვევს მასწავლებელთა მასაში. საჭიროა სათანადო ორგანოები დაახლოებით გაეცნონ მ. ლაბარტყავას ვინაობას და გამოარკვიონ—ღირსია თუ არა იგი იყოს საბჭოთა სკოლების ხელმძღვანელად.

დ—ძე.

## უმაღლეს სასწავლებლებში მიღება უნდა მოწესრიგდეს

### თბილისის აღმასკომთან არსებული კომისია დაშლილია

ა.-კ. და საქ. მუშგლეხინის დადგენილება

უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში შემსვლელთა მიმღები თბილისის კომისიის მუშაობა სრულიად არადამაკმაყოფილებლად იქნას ცნობილი.

კომისიის წევრებს მუშაობისადმი დაუდევარი მოპყრობისა და საქმის უსისტემოდ წარმოებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და მათი საქმე გადაეცეს განსახილველად საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკანტროლო კომისიას. თვით კომისია დაშლილად იქნას გამოცხადებული.

2. დაევალოს სპეციალურ კომისიას— შეიმუშაოს 8 სექტემბრამდე წესი, რომლითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას იმ პირთა განცხადებების დროზე განხილვა, რომლებსაც სურვილი აქვთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, და დოკუმენტების დაბრუნება იმათთვის, ვინც ჩარიცხული არ არის უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. კომისიის მიერ შემუშავებული წესი გამოქვეყნებულ იქნას ბეჭდვითი ორგანოებში.

3. უმაღლეს სასწავლებლებისა და უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების მიმღებმა კომისიებმა შესწყვიტონ განცხადებათა მიღება 8 სექტემბრამდე.

4. წინადადება მიეცეს უმაღლეს სასწავლებლებთან და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებთან არსებულ მიმღებ კომისიებს— შესწყვიტონ ახალ განცხადებათა მიღება.

5 დაევალოს საქართველოს მუშგლეხინს სისტემატიურად ადევნოს თვალყური უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლ. ტეხნიკურ სასწავლებლებთან არსებულ მიმღები კომისიების მუშაობის მსვლელობას.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

## ოთხი ათასი კაცის მოწმობები უპატრონოდ იბნევა

### დამნაშავეებმა სასტიკი პასუხი უნდა აგონ

თბილისის საოლქო აღმასკომთან არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიმღებ კომისიამ დაამთავრა მუშაობა. უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა რიცხვმა თბილისის ოლქში ექვსი ათასს გადაამეტა. თბილისის ოლქს კი ყველა ინსტიტუტებში დათმობილი ჰქონდა მხოლოდ 800 ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტებში მიმღებ კომისიამ თავიდანვე უგეგმოთ დაიწყო მუშაობა. ტეხნიკურად არ იყო მოწესრიგებული განცხადების მიღების საქმე; არ იყო შერჩეული ტეხნიკურ მომუშავეთა პერსონალი. მოსწავლეს დიდი გმირობა უნდა გამოეჩინა, რომ განცხადება დანიშნულებისამებრ ჩაებარებია. ყოველ დღე იდგა რიგები; ჩხუბი, ლანძღვა-გინება, ფანჯრების დამტვრევა—ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო განცხადებების მიღების დროს.

წელს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის წესი არსებითად განსხვავდებოდა გასული წლების პირობებისაგან. ინსტიტუტებში წელს თვითეულ ოლქს და მაზრას განსაზღვრული ადგილები ჰქონდათ დათმობილი. ამიტომ ამა თუ იმ ოლქის მცხოვრებ მოსწავლეს განცხადება და საბუთები თავის ოლქის თუ მაზრის აღმასკომებთან არსებულ ინსტიტუტებში მიმღებ კომისიაში უნდა შეეტანა. ეს გარემოება დაივიწყა თბილისის საოლქო აღმასკომთან არსებულ ინსტიტუტებში მიმღებ კომისიამ, მან თავიდანვე დაუშვა შეცდომა, როდესაც განცხადებებს ღებულობდა ყველა ოლქებისა და მაზრების მცხოვრებ მოსწავლეებისაგან. ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ შეგროვდა ექვსი ათასზე მეტი განცხადება, რომელთა გარჩევა მეტად ძნელი იყო.

კომისიამ მუშაობის დამთავრებისთანავე ინსტიტუტებში მისაღები კანდიდატთა სიები გამოაკრა მე-72 შრომის სკოლის კედლებზე. აუარებელი ხალხი მოაწყდა სასწავლებელს. განმეორდა განცხადებების მიღების დროის ისტორია. კვლავ ჩხუბი, ლანძღვა-გინება და სხვ. ეს კიდევ არაფერი. მეტი აურ-ზაური და უკმაყოფილება გამოიწვია საბუთების უკან დაბრუნებამ. კომისიამ მუშაობის დამთავრებისთანავე ინსტიტუტებში არ მიღებულთა საბუთები უპატრონოდ დასტოვა. ისინი, ვინც სიებში არ მოხვდნენ, კატეგორიულად და სამართლიანად მოითხოვდნენ,—საბუთების უკან დაბრუნებას, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ იყო. მოზღვავებულ ხალხმა გასტეხა ოთახის კარები და დაუწყო საბუთებს ძებნა. ყველა თავისას ეძებდა. ფეხქვეშ ითელებოდა ასობით საბუთები. გამოძახებული მილიცია უძლური შეიქნა წესრიგი დაემყარებია. კვლავ ჩხუბი, ლანძღვა-გინება, დანების ტრიალი, ფანჯრების მტვრევა და სხვა. საეჭვოა, რომ ინსტიტუტში არ მიღებულებმა საბუთები მიიღონ, ისე აწეწილ-დაწეწილია ყველაფერი. გარდა ამისა არც სხვა საქმეებია მოწესრიგებული: მოსწავლე, რომელიც თხოულობდა პედაგოგიურ ინსტიტუტში მიღებას (მას მასწავლებლობის საკმაო სტაჟი ჰქონდა), კომისიამ საექიმო ფაკულტეტზე მიიღო, წინააღმდეგ მოსწავლის სურვილისა; ასეთი ფაქტების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. გარდა ამისა სიებში არეულია გვარები და სახელები, ინსტიტუტებში უწესრიგოდ არის გადაგზავნილი ჩასარიცხ კანდიდატების მოწმობები.

ბევრი მოსწავლე უკმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ მათი საბუთები კომისიას არ განუხილავს.

— მე ვარ მუშა, 4 წლის საწარმოო სტაჟი მაქვს, ვარ საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ვაკმაყოფილებ ინსტიტუტში მისაღებ ყველა პირობებს, მაგრამ სიაში არა ვარ; ჩემი მოწმობები, რომ კომისიას ენახა უსათუოდ მიმიღებდენ"-ო. ასეთ პრეტენზიას აცხადებენ ბევრნი. მიღებულთა შორის კი არიან ისეთები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მიღების პირობებს. მისაღებ კანდიდატების შერჩევის დროს ადგილი ჰქონდა პროტექციას, ნაცნობობას, ძმა-ბიჭობას და სხვა.

ამნაირად დაასრულა მუშაობა აღმასკომთან არსებულ ინსტიტუტებში მიმღებ კომისიამ. დღეს ოთხი ათას კაცზე მეტის საბუთები ერთმანეთშია არეული.

ვინ უნდა აგოს პასუხი ამისათვის?

აშკარაა, იმ კომისიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ მუშაობას, რომელმაც უპატრონოდ დასტოვა 4 ათასი კაცის საბუთი.

ა. კ. და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეამოწმა თბილისის აღმასკომთან არსებული უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიმღებ კომისიის მუშაობა და გამოტანა სათანადო დადგენილება, რომელიც იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.

ა. ქ.

## რკინის ცოცხით

(სტალინისი)

მიუხედავად თვითკრიტიკის გაშლისა, სტალინისის ზოგიერთ დაწესებულებებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მთელ რიგ უარყოფით მხარეებს. მაგალითისათვის ავიღოთ:

1. **სამომხმარებლო კოოპერატივი.** რადგან მუშათა ორგანიზაციებმა კოოპერატივში შენიშნეს მთელი რიგი ნაკლი, გამოიყო მუშათა ბრიგადები, რომელთაც შეისწავლეს კოოპერატივის მდგომარეობა და გამოააშკარავეს შემდეგი: საქონლის განაწილებაზე არავითარი კონტროლი არ არსებობდა სადუქნო კომისიის მხრით. კოოპერატივის გამგეობა „პრინციპიალურად" უარჰყოფს სადუქნო კომისიის ასეთ კონტროლს.

ბრიგადამ აღმოაჩინა გამგეობის წევრის ზახაროვის მთელი რიგი ხელწერილები, სადაც ნათქვამია: ნოქარს. გაეცით ამდენი და ამდენიო. ამ ხელწერილებით ვის რა მიეცა და კანონიერად თუ არა,—ბრიგადამ ვერ გამოარკვია, რადგან ხელწერილები უსახელო იყო.

არის შემთხვევები, როდესაც საქონელი რიგ გარეშე და უკანონოდ ეძლევათ ზოგიერთ „დიდ კაცებს". მაგალითად, რაიკომის ყოფ. საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ამხ. გ. ნოზაძეს გამგეობისათვის დაუვალებია — პლაშები მოგვიტანე პასუხისმგებელ მუშაკებსო. შემდეგ, კოოპერატივმა მიიღო სახალათეები. მეორე დღეს მაღაზია გაეტეხათ და მათი ნაწილი წაეღოთ, ვიდრე ეს საქმე გამოირკვეოდა, ბანკის დირექტორს ხარიძეს კერძო ბარათით წაიღო სახალათე. რა თქმა უნდა, ასეთი პირები მუშათა ორგანიზაციებს ავტორიტეტს უტეხენ და ჩირქს სცხებენ ნამდვილ პასუხისმგებელ მუშაკებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოოპერატივს დებიტორები უამრავი ჰყავს. დებიტორთა სია შემდეგია: შალიკო ზურაბოვი—108 მან. 81 კ., მოსე დარჩია—106 მან. 20 კაპ., ალექსი ვართანოვი—455 მ. 99 კაპ., ზურაბოვი და კარტასიანი—554 მან. 99 კაპ., ალექსანდრე ქებაძე—100 მან., ილიკო სიდროპულოვი—146 მან. 72 კაპ., ცხაკაია—302 მან. 2 კაპ., სიდროპულოვი—200 მან., კილოზერაძე—165 მან. 73 კაპ., ზაზიკაშვილი—200 მან., გოცირიძე და კალმახელიძე—532 მან. 50 კაპ., კახეთელიძე—157 მან. მან. 80 კაპ., ჩიქვალაძე—199 მან. 77 კაპ., გიორგი საიანოვი—190 მან. 76 კაპ., მარგალიტა ჩოლოუშკინა—114 მან. 85 კაპ., არშაკა მელიქოვი—164 მან., პეტრე ლითანოვი—201 მან. 22 კაპ., მელენტი დარჩია—243 მან. 84 კაპ., იაკობაშვილი—982 მან. 91 კაპ., ერმილე პარკაძე—889 მან. 45 კაპ., საშა ჭუჯაია—104 მან., აბდუშელიშვილი და მდივანი—141 მან.

გარდა ამ ჩამოთვლილ ამხანაგებისა არიან კიდევ სხვებიც, რომელთაც აქვთ კოოპერატივის ვალი. ასე, რომ დებიტორებზე ირიცხება 9.246 მან. 65 კაპ., რომელიც ხუთი წლის განმავლობაში გაუნაღდებელი რჩება. მუშათა ბრიგადამ გამოარკვია, რომ არც წარსულ და არც ეხლანდელ გამგეობას არავითარი ზომები არ მიუღია ვალის აკრეფად, არც კი აქვთ გამორკვეული, თუ ვინ არიან დებიტორები. გარდა ამ დებიტორებისა, თვით კოოპერატივის თანამშრომლებზე ირიცხება 733 მან. 45 კაპ. ასე, რომ კოოპერატივს დაკარგული აქვს 9.980 მან. 11 კაპ.

ცოტა რამ სტალინისის რაიფინგანზე. რაიფინგანის აპარატი ბიუროკრატიულია. მრავალია შემთხვევები, როდესაც ხელფასისათვის მისულ ამხანაგებს უხეშად ეპყრობიან. არის შემთხვევები, რომ მოსამსახურეებს 5 თვით უგვიანებენ ხელფასს, ეს იმ დროს, როდესაც ზოგიერთებს მომავალი თვეების ავანსებსაც აძლევენ. რაიფინგანში ადგილი აქვს შინაურულად და ძმა-ბიჭურად ფულის გაცემას.

გ. ლალუაშვილი.

## გაფრთხილება გაკრიტიკებისათვის

(ამხ. კამოს სახელობის საქ.-საფ. სკოლა)

ამხ. კამოს სახელობის საქ.-საფ. სკოლასთან არსებულ უჯრედებს ჰქონდათ მრავალი ნაკლი მუშაობაში,— ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ სოციალისტურ შეჯიბრების გაშლას, საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებას და სხვ. ყოველივე ამას ამხელდა ახკორი ამხ. ალ. ჩიქოვანი როგორც ადგილობრივი კედლის გაზეთის, ისე ცენტრალური პრესის საშუალებით. 26 კომუნარების სახელობის რაიკომის მე-17 კონფერენციაზეც გამოვიდა ჩიქოვანი და აღნიშნა ხსენებულ უჯრედების მუშაობის უარყოფითი მხარეები. კოლექტივის ბიუროს მდივანმა ამხ. დავთიანმა ჩიქოვანს დაუწყო დამუქრება—ვინ გაძლევს შენ უფლებას ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი გამოამჟღავნო და ჩვენი ავტორიტეტი დასცეო, და ამხ. ჩიქოვანს მიეცა გაფრთხილება.

ნუ თუ დასაშვებია პარტიული ამხანაგის მიერ თვითკრიტიკის ასე უხეშად ჩახშობა? ამისათვის ამხ. დავთიანმა სათანადო ორგანოების წინაშე პასუხი უნდა აგოს.

ადგილობრივი

## აქვს თუ არა ადგილი ბოროტმოქმედებას

1929 წლის 1-ლ ოქტომბრიდან მანგლისში გახსნილია კოოპერატიული სასადილო, რომლის გამგედ თავი ამოჰყო მენშევიკების გვარდიის შტაბის წევრმა, 1924 წლის გამოსვლების აქტიურმა მონაწილემ და 1927-28 წლის მანგლისის კოოპერატივის ქონების გამფლანგველმა შაქრო მუჯრიშვილმა. მას სასადილო თავის საკუთრებად მიაჩნია და დღე და ღამეს სულ ქეიფში ატარებს. არა ერთხელ იყო დაპატიმრებული ადგილობრივ მილიციის მიერ ლოთობის და ხულიგნობისათვის, მაგრამ ძმა-ბიჭების მეოხებით ყოველთვის თავს იძვრენს.

სასადილოში არ არის არავითარი ანგარიშწარმოება. მუჯრიშვილი ყოველდღიურ ნავაჭარს, რომელიც 300-400 მანეთამდე იქნება, თვითონ ღებულობს და სად მიაქვს ეს თანხა არავინ იცის. მე-11 თვეა, რაც სასადილო არსებობს და არც ერთი ნავაჭრი და ანგარიში არსად ჩანს გატარებული. ეს კარგად იციან ადგილობრივ ხელისუფლებამ და თბილისის ოლქის სავადასახადო განყოფილების გამგემ ამხ. რაჟდენ ყუფარაძემ, მაგრამ რატომღაც გაჩუმებული არიან.

მუჯრიშვილი თვიურ ხელფასს ღებულობს 100 მან. ეს ფული, ცხადია, არ ეყოფა ისეთ ხელგაშლილი ცხოვრებისათვის, რომელსაც ის თავისი ოჯახით ეწევა. საჭიროა სასადილოს მდგომარეობის და მის გამგის მოქმედების გამორკვევა.

ადგილობრივი

## გამოძახილი წერილებზე

გაზ. „კომუნისტი"-ს № 36-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სათაურით: „დახმარება ყოფილ ვაჭარს". წერილის ავტორი ბრალს სდებდა მოქ. ისონ ჯღირბენაძეს, რომ ის არის ყოფ. ვაჭარი, მემამულე, კომბინატორი და სხვ... ოზურგეთის მაზრის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია წერილში წამოყენებული ბრალდებები და სცნო, რომ არც ერთი ისინი არ შეეფერება სინამდვილეს.

## კავშირგაბმულობის ამიერ-კავკასიის სამმართველოს აპარატის წმენდის შედეგები

### გამწმენდ კომისიის დასკვნები და წინადადებები

(დამტკიცებულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმისა და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის მიერ 1930 წლის 20 აგვისტოს).

კავშირგაბმულობის ამიერ - კავკასიის სამმართველოს აპარატის შემოწმების და წმენდის შედეგები ააშკარავებენ კავშირგაბმულობის ამიერ - კავკასიის სამმართველოს მთელ რიგ მიღწევებს ფოსტა - ტელეგრაფის და რადიო-კავშირის მშენებლობის ორგანიზაციისა და განვითარების დარგში (ქსელების და რადიომშენებლობის განვითარება), რასაც ხელს უშლის მატერიალური რესურსების სისტემატიური ნაკლებობა და მთელი ქვედა საფეხურის აპარატის სისუსტე.

ქვედა საფეხურის კავშირგაბმულობის ქსელის მშენებლობა დღემდე სწარმოებს უმთავრესად ადგილობრივ ორგანოების ხარჯზე, რომლებიც თავის მხრივ სუსტ ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს; ისინი საკმაო თანხებს არ იღებენ ქვედა საფეხურის ქსელის განსავითარებლად.

ამავე დროს 1929-30 წელში ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა ვერ შესძლო ადგილებზე კავშირგაბმულობის მომარაგება მასალებით ამ შემთხვევაშიაც კი როდესაც თანხები გადადებული იყო ადგილობრივი ორგანოების მიერ.

კავშირგაბმულობის მშენებლობის ტემპი ამიერ - კავკასიაში საგრძნობლად ჩამორჩება სოციალისტური მშენებლობის საერთო ტემპს და ასეთ პირობებში შეიძლება ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების შემაფერხებელ მიზეზად გახდეს.

ამასთანავე აპარატის არსებული სტრუქტურა ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც მას უყენებს კავშირ-გაბმულობის განვითარების და ორგანიზაციის ამოცანები, და აუცილებელს ხდის ქვედა საფეხურის ფოსტა - ტელეგრაფის დაწესებულებათა ხელმძღვანელობის მეთოდების საფუძვლიანად გარდაქმნას.

კერძოდ კომისია აღნიშნავს:

1. თანამშრომლების არადამაკმაყოფილებელ სოციალურ შემადგენლობას (22 პროცენტი აზნაურები და 4 პროც. მუშები), კომუნისტური ფენის სიმცირეს (12 პროც.) დაწინაურებულთა სრული უყოლობა (1 კაცი) და აპარატის არასაკმაოდ გამუშურებას (15 დაწინაურებული მუშა ამიერ - კავკასიაში).

2. საკმარისი არ არის ადგილობრივ ეროვნებათაგან (თურქები) გამოსულ მუშაკების პროცენტი: აზერბეიჯანში—23,8 პროც. მუშაკების საერთო რაოდენობასთან შედარებით და ამიერ - კავკასიაში 9,4 პროც.; ამასთანავე სამმართველოში მხოლოდ ერთია ასეთი მუშაკი.

3. საკმარისი არ არის ტეხნიკური კადრები; თითქმის სრულებით არ მოიპოვება მუშაკები, რომლებსაც დამთავრებული ქონდეთ სპეციალური ტეხნიკური განათლება.

4. სამავთულო და საფოსტო კავშირის კადრების მომზადების გეგმა არ არის შესრულებული; საგრძნობია ასეთი კადრების ნაკლებობა, რისი მიზეზიცაა კადრების მომზადების გეგმის დაგვიანებით შედგენა ხელახლა მისი გადიდების თვალსაზრისით.

5. სუსტია კავშირგაბმულობის ამიერ-კავკასიის სამმართველოს მუშაობა როგორც ცენტრალურ აპარატის, ისე ადგილობრივ ორგანოების მუშაობის რაციონალიზაციის დარგში.

6. ადგილი აქვს თანამშრომლების ხელფასის არანორმალურად გადიდებას სხვადასხვაგვარი გასამრჯელოს გაცემის გზით ჯამაგირს ზევით: ზედმეტი ნამუშევარი, სანარდო მუშაობა, კომპენსაცია გამოუყენებელი შვებულებისათვის და სხვა (10.000 მან.).

7. არ სწარმოებს კავშირგაბმულობის მასალების და ქონების აღრიცხვა, სათანადოდ შენახული არ არის ეს ქონება და არ სრულდება არალიკვიდურ ქონების რეალიზაციის დირექტივა.

8. ცენტრი სისტემატიურად არ აწვდიდა 1929-30 წელში ადგილებს მოთხოვნილ მასალების 15 პროცენტს; ამავე დროს კავშირგაბმულობის ამიერ - კავკასიის სამმართველო სათანადო მუშაობას არ აწარმოებდა შინაური რესურსების გამოსარკვევად.

9. მექანიკური და ცხენის ტრანსპორტი არ არის დამაკმაყოფილებლად მოწყობილი; წერილების დამტარებლებს სოფლებში არანორმალურ პირობებში უხდებათ მუშაობა.

10. სამავთულო კავშირის ქვედა საფეხურის ქსელის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი; კავშირგაბმულობის ამიერკავკასიის სამმართველო დამაკმაყოფილებლად ვერ აწარმოებს ტეხნიკური რესურსების აღრიცხვას ადგილებზე.

11. საკმაოდ შესწავლილი არ არის ტელეგრაფის და ტელეფონის ხაზების გამტარუნარიანობა; მიღებული არ ყოფილა დროზე ზომები ძირითადი კვანძების გასაძლიერებლად აპარატურითა და მუშა-ხელით.

12. საოქალაქო ნაგებობათა მშენებლობის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები არ არის მტკიცე; სამუშაოების წარმოებას არ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას.

13. კაპიტალური მშენებლობის გეგმა არ არის შესრულებული იმის გამო, რომ ცენტრიდან სისტემატიურად არ იგზავნება საკმაო მასალები და ადგილობრივი დამზადებაც სუსტია.

14. რადიოფიკაციის ტემპი ჩამორჩება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ტემპებს; 1928-29 წელში შესრულებულია გეგმის ერთი პროცენტი. სრულიად საკმარისი არ არის სოფლის რადიოფიკაცია, განსაკუთრებით აზერბეიჯანში და სომხეთში იმის გამო, რომ ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა ჩაშალა ცენტრალიზაციაქმნილი მომარაგების გეგმა.

15. მნიშვნელოვან მიღწევებს აქვს ადგილი რადიომშენებლობაში როგორც ტემპების, ისე ღირსებისა და მისი ღირებულების მხრივ.

16. აღსანიშნავია დიდი დეფექტები პერიოდული პრესის ხელის მოწერისა, გავრცელებისა და ხელის მომწერთათვის ბინაზე მიტანის საქმეში, რის გამოც ხელის მოწერის ზრდა სწარმოებს უმთავრესად სტიქიურად და არა როგორც შედეგი საგაზეთო ბიუროს ორგანიზაციული მუშაობისა; მოგვარებული არ არის ურთიერთობა ზოგიერთ გამომცემლობებთან; ზოგჯერ ადგილი აქვს დაუშვებელ კონკურენციას.

17. ადგილებს არ ეწევა საკმაო ინსტრუქტაჟი, კავშირგაბმულობის ამიერ - კავკასიის სამმართველოს ინსპექციამ ვერ ჩააბა ქვედა საფეხურის მუშაკების ფართო ფენები დაწესებულებების მუშაობის შემოწმებაში; საკმაო კონტროლი არ ეწევა ინსპექციის წინადადებათა შესრულებას.

18. კავშირგაბმულობის ამიერ - კავკასიის სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების სამრეწველო - საფინანსო გეგმა არ არის დაყვანილი კავშირგაბმულობის ქვედა საფეხურის მუშაკებამდე.

19. წარმოებებს და წერილების დამტარებლებს სოფლად ინსტრუქციები, ცირკულიარები და განკარგულებები ეგზავნება მხოლოდ რუსულ ენაზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ფოსტა - ტელეგრაფის მუშაობაზე, რადგან ქვედა საფეხურის მუშაკებმა არ იციან რუსული ენა.

20. ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს და კავშირგაბმულობის ამიერკავკასიის სამმართველოს ადმინისტრაციას არ დაუმუშავებია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დირექტივა ერთმმართველობის შესახებ და ეს დირექტივა გატარებული არ არის ადგილებზე; პროფესიონალური ორგანოები არ აწარმოებენ სათანადო ახსნა-განმარტებით მუშაობას ამ დირექტივის გარშემო.

21. კავშირგაბმულობის ამიერ - კავკასიის სამმართველოს მუშაკები სუსტად არიან ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ შორის სუსტად სწარმოებს პოლიტმუშაობა, რის გამო თანამშრომლების ნაწილში შემჩნეულია ჩინოვნიკური მოპყრობა საქმისადმი, მტაცებლობა, კარჩაკეტილობა მუშაობაში და ინიციატივის უქონლობა წარმოების რაციონალიზაციის დარგში.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით წინადადება მიეცეს კავშირგაბმულობის ამიერ - კავკასიის სამმართველოს ქვედა საფეხურის ქსელის მართველობის სისტემის საერთო რეორგანიზაციასთან ერთად, რომელიც ამჟამად ტარდება, ცხოვრებაში გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

1. სასწრაფოდ გადასინჯულ იქნეს კავშირგაბმულობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და მხედველობაში მიღებული იქნეს ქვედა საფეხურის ქსელის რაიონების მიხედვით მოწყობის აუცილებლობა.

მუშაობის დამთავრების ვადაა 1930 წლის 1-ლი ნოემბერი.

2. დაუყოვნებლივ დაწყებული იქნეს მუშათა ბრიგადების მიერ აღნიშნულ დეფექტების ლიკვიდაცია და იმ პრაქტიკულ წინადადებათა რეალიზაცია, რომლებიც დამუშავებული იქნა ცალკე ჯგუფების მუშაობის სისტემის შემოწმების დროს (ეს წინადადებები დამტკიცებულია შემმოწმებელ კომისიის მიერ).

3. გადიდებულ იქნეს კომუნისტური ფენა სამმართველოში და ადგილებზე, ამავე დროს გადიდებული იქნეს დაწინაურებულთა რიცხვი; შეძლების დაგვარად ყველა ქვედა საფეხურის დაწესებულებათა (რაიონულ კანტორების) სათავეში დაყენებული იქნეს დაწინაურებული მუშები. ამავე დროს დაწინაურებული უნდა იქნეს არა ნაკლებ ათი მუშისა კავშირგაბმულობის ამიერ - კავკასიის სამმართველოს აპარატში, რისთვისაც ეს საკითხი შეთანხმებული იქნეს სათანადო ორგანოებთან.

4. გადასინჯულ იქნეს კავშირთან ერთად კადრების მომზადების ხუთწლიანი გეგმა, რათა რეალურად უზრუნველყოფილი იქნეს კავშირგაბმულობის აპარატი კვალიფიციური მუშაკებით.

მუშაობის დამთავრების ვადაა 1930 წლის 1-ლი ნოემბერი.

5. 100 პროცენტით იქნეს შესრულებული 30-31 წლისათვის მიღებული კადრების მომზადების გეგმა; მიღებული იქნეს აგრეთვე ზომები ხელფასის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით ჩამორჩენილი კატეგორიის მუშაკების ხელფასის გასადიდებლად.

6. დამუშავებული იქნეს კონკრეტული ღონისძიებები კავშირგაბმულობის ამიერკავკასიის სამმართველოს აპარატის და მისი ადგილობრივ ორგანოების მუშაობის რაციონალიზაციისათვის. ამავე დროს განხორციელებული იქნეს კავშირგაბმულობის ყველა დაწესებულებათა გადასვლა აღრიცხვისა და საქმის წარმოების ახალ სისტემაზე. ამ მხრივ სახელმძღვანელოდ მიღებული უნდა იქნეს ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დირექტივები.

7. მიღებული იქნეს სასტიკი ზომები ანგარიშვალდებულ პირების რიცხვის მაქსიმალურად შემცირებისათვის; ამავე დროს მტკიცედ დაცული იქნეს წესი ავანსების გაცემის შეწყვეტისა საავანსო ანგარიშების დაგვიანების შემთხვევაში.

მუშაობის შესრულების ვადაა 1930 წლის 1-ლი ოქტომბერი.

8. შეწყვეტილ იქნას დამატებითი თანხების გაცემის პრაქტიკა, განსაკუთრებით იმ პირებისათვის, რომელთა სამუშაო დღე არ არის მოწესრიგებული.

9. გატარებული იქნეს არა უგვიანეს 1930 წლის 1-ლ დეკემბრისა მთელი იმ ქონების და მასალების სრული ინვენტარიზაცია, რომელიც ინახება როგორც მთავარ საწყობში, ისე ადგილებზე; ამავე დროს შესრულებული იქნეს დირექტივა არალიკვიდურ ქონების რეალიზაციის შესახებ.

10. დამუშავებული იქნეს 1930 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ნორმალური ქვედა საფეხურის კავშირის ორგანიზაციის საკითხები; გადასინჯული იქნეს კავშირთან ერთად სოფლის წერილების დამტარებლების მუშაობის არსებული პირობები და მათი ხელფასი.

11. დაუყოვნებლივ მიღებული იქნეს ზომები ურთიერთობის მოსაგვარებლად „სოიუზტრანს"-თან, რათა გამოყენებული იქნეს მექანიკური ტრანსპორტი კავშირგაბმულობის საჭიროებისათვის. ამავე დროს გაუმჯობესებული უნდა იქნეს სამსახურის გაწევა იმ რაიონებისათვის, სადაც ცხენის ფოსტა მუშაობს.

12. მიღებული იქნეს გადამწყვეტი ზომები, რათა აღმოიფხვრას ქვედა საფეხურის მუშაკების გულგრილი დამოკიდებულება კორესპონდენციებისა და პერიოდული პრესის დამუშავებისა და გაგზავნისადმი, სამოსამართლო ორგანოების წინაშე დაისვას საკითხი, რომ მოეწყოს იმ თანამშრომლების საჩვენებელი გასამართლება, რომლებიც სისტემატიურად აგვიანებენ კორესპონდენციების გაგზავნას.

13. გაძლიერდეს კონტროლი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე მათი ღირსების გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების მხრივ; ამავე დროს მიღებული იქნეს ზომები წარმოების რაციონალიზაციისათვის, რისთვისაც გადადოს საჭირო თანხები.

14. შეწყვეტილი იქნეს პროექტების და ხარჯთაღრიცხვების ხშირად შეცვლის შემთხვევები, დამნაშავენი კი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული.

15. სასწრაფოდ შესწავლილ იქნეს ძირითად კვანძების გამტარუნარიანობის საკითხები, მიღებული იქნეს რეალური და საკმაო ზომები მათი აპარატურით და მუშა ხელით გასაძლიერებლად, მავთულების გასასწორებლად და შუამავალ გადამცემ პუნქტების რიცხვის შესამცირებლად.

მუშაობის დამთავრების ვადაა 1931 წლის 1-ლი იანვარი.

16. გაძლიერებული იქნეს ინსპექტორების დაგზავნა და ინსტრუქტაჟის გაწევა ადგილებისათვის, რისთვისაც ძირითადი მუშაობა გადატანილი იქნეს პერიფერიაზე, ინსპექციის მუშაობაში ჩაბმული იქნეს ქვედა საფეხურის მუშაკების ფართო ფენები, უნდა გაუმჯობესდეს ინსპექციის წინადადებათა შესრულების კონტროლი და გადასინჯული იქნეს ინსპექციის არსებული შემადგენლობა მისი გაძლიერებისა და გამუშურების მხრივ.

17. უზრუნველყოფილ იქნას რეალური კონტროლი და თვალყურის დევნება ზელიმიტურ მშენებლობაზე, რომელსაც ახორციელებს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი ამიერ- კავკასიაში.

ამავე დროს დასმული იქნეს ცენტრალური ორგანოების წინაშე საკითხი დამოუკიდებელი მშენებლობის ლიმიტების გაძლიერებისა და სამუშაოების ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაციის შესახებ.

18. უზრუნველყოფილ იქნას ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები და მუშაკები ცირკულიარებით, ინსტრუქციებით და განკარგულებებით ეროვნულ ენებზე.

19. გადასინჯული იქნას რადიოფიკაციის განვითარების ხუთწლიანი გეგმა იმ მხრივ, რომ გაძლიერებული იქნეს მუშაობა სოფლად; კავშირგაბმულობის ამიერ-კავკასიის სამმართველოს მუშაობის გეგმები შეთანხმებული უნდა იქნეს იმ კოოპერატიულ ორგანიზაციების გეგმებთან, რომლებიც ახორციელებენ უმავთულო რაიონების რადიოფიკაციას.

მუშაობის დამთავრების ვადაა 30 წლის 1-ლი ნოემბერი.

კავშირგაბმულობის ამიერ-კავკასიის სამმართველოს წინადადება ეძლევა:

1. არა უგვიანეს 30 წლის 1-ლ ნოემბრისა ჩაატაროს სოციალისტურ შეჯიბრების შემოწმება, დაამუშაოს ამავე დროს ერთმმართველობის გატარების საკითხები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებას ერთმმართველობის შესახებ რაიონულ კანტორების ორგანიზაციის დროს.

2. მიღებული იქნეს ზომები კავშირგაბმულობის ამიერ-კავკასიის სამმართველოს საფინანსო- სამრეწველო გეგმის ქვედა საფეხურის მუშაკებამდე მისაყვანად, მხედველობაში მიღებული იქნეს მათი სურვილები და შესწორებები.

3. გაძლიერებული იქნეს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა კავშირგაბმულობის ამიერ-კავკასიის სამმართველოს თანამშრომელთა შორის და ჩაბმული იქნენ ისინი იმ მუშაობაში, რომელსაც ატარებს სამმართველო. (ადს)

## ვინ მოიხსნა სამსახურიდან

### საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილება

1. მოიხსნან სამუშაოდან მეორე კატეგორიით კავშირგაბმულობის ორგანოებში მუშაობის უფლების აღკვეთით: კონსტანტინე თუმანოვი, გერასიმე მალანია, რაჟდენ კუჭუხიძე და მატინოვი.

2. მოიხსნან სამუშაოდან მესამე კატეგორიით: ვლადიმერ იანოვიჩი, აშოტ კარაკაში და ლევ პოზამენტიროვი.

3. მოიხსნან აპარატიდან (კატეგორიის გარეშე) მირზა იბრაგიმოვი, სერაპიონ ხოხიაშვილი, თომა ნასიძე, კლასონ ტაბატაძე და სანებლიძე.

4. საყვედური გამოეცხადოს შარელიძეს, აბდალაძეს, კოგიევს, ლვამიჩავას, საპარინსკის, სტეფანოვს, ხოშსარიას და როკუტოვს.

5. შენიშვნა მიეცეს კარაპენქიას და ყარალაშოვს. (ადს)

# „ხუთწლიანი გეგმა—ოთხ წელიწადში"

## სესხის რეალიზაცია სოფლად ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გაშლილი

### სტალინისის რაიონის პროფორგანოები დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ სესხის გავრცელების საქმეში

### განაწილეს საკ. ციფრები და მიანებეს თავი

(სტალინისის რაიონი)

მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიურ ხელის მოწერის ვადა უკვე დამთავრდა და სოფლად უკვე უნდა გაცხოველებულიყო სესხის რეალიზაციის კამპანია, სტალინისის რაიონში ამ დარგში მუშაობა ძალზე მოისუს[illegible]. მართალია რაიდამხმარე კომისიის სხდომა ჩატარდა ერთხელ, თათბირიც იყო მოწვეული დამხმარე კომისიების თავმჯდომარეებისა, სადაც გამუქებული იქნა სესხის მნიშვნელობა და განაწილდა გლეხურ სექტორში გასავრცელებლად საკონტროლო ციფრები, მაგრამ მას შემდეგ, ამ დარგში მუშაობა განაწილებას არ გასცილებია. წარმოება - დაწესებულებებში ყველგან ჩატარდა ხელის მოწერა სესხზე, მაგრამ ეს მოხდა ფართო მასიური კამპანიის გაუტარებლად, ამიტომ არის, რომ ბევრ ადგილას ხელის მოწერა ჯერ გაფორმებულიც არ არის. 15 აგვისტოდან კი პირველი ნაწილის შეტანა უნდა დაწყებულიყო.

სოფლებში გავრცელების კამპანია ჯერაც არ დაწყებულა, რაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს და სასწრაფოდ უნდა გაცხოველდეს ამ დარგში მუშაობა. დამხმარე კომისიები ადგილებზე არაფერს აკეთებენ და რაიონულ კომისიის ხელმძღვანელობაც მოისუსტებს, თუ სასწრაფოდ და ძლიერი ტემპით არ იქნა ნაწარმოები მუშაობა, სესხის გავრცელებას რაიონში ჩაშლა მოელის.

**ხაშურელი**

### კამპანია ფართოდ გაიშალა

(ქ. ფოთი)

„5 წლედი 4 წელიწადში" სესხის რეალიზაციისათვის მუშაობა ფოთში წარმატებით მიმდინარეობს. ჩატარებულ იქნა ინდუსტრიალიზაციისა მესამე სესხის დამხმარე კომისიების შემოწმება, რომელთა მუშაობა ცნობილ იქნა სუსტად და მოხდა მათი შემადგენლობის სრულიად გადახალისება. ახალ კომისიებს მიეცათ საჭირო სახელმძღვანელოები. განზრახულია ახლო მომავალში მოწვეულ იქნეს ამ კომისიების კონფერენცია.

სესხის მნიშვნელობის პოპულარიზაციისათვის ფოთის ყველა წარმოება - დაწესებულებებში ჩატარებულ იქნა მოხსენებები. მუშა - მოსამსახურეები დიდის ინტერესით შეხვდნენ სესხის გამოშვებას. ფოთის წარმოება დაწესებულებებში სესხზე ხელი მოაწერეს 125 პროცენტით. 21 ივლისიდან 1-ლ აგვისტომდე სესხზე ხელი მოაწერა 39 კოლექტივმა.

დამხმარე კომისიებს და დაწესებულებებს შორის გაშლილია სოცშეჯიბრება ახალი სესხის რეალიზაციის, ამ საქმეში მუშა - მოსამსახურეთა 100 პროც. ჩაბმის და ძველი სესხების შენარჩუნების შესახებ. შეჯიბრებაში გამარჯვებულთ მიეცემათ გარდამავალი ჯილდო — დროშა.

ფოთის ყველა წარმოება - დაწესებულებებში მოწყობილია „5-წ. 4-წ." სესხის კუთხეები, სადაც გამოფენილია სესხთან დაკავშირებული ლიტერატურა. აგრეთვე ტარდება საუბრები და სწარმოებს პასუხის გაცემა სესხთან დაკავშირებულ საკითხებზე, გამოიცა სპეციალური კედლის გაზეთები და სისტემატიურად შუქდება ადგილობრივ პრესაში სესხის საკითხები. სესხის გავრცელებაში ჩაბმულია აგრეთვე ცალკე მშრომელი მოსახლეობაც.

ფინგანის დადგენილებით დაწესებულებანი მიმაგრებულ იქნენ შემნახველ სალაროებზე, რომლებიც აწარმოებენ ხელის მოწერას და მასთან დაკავშირებულ ყველა საფონდო ოპერაციებს.

მუშა - მოსამსახურეთა კრებების დადგენილებით სესხის პირველი შეტანა მოხდა აგვისტოს პირველ ნახევარის ხელფასიდან.

**გ. ჟღენტი**

### სესხის გავრცელება წარმატებით მიმდინარეობს

(ზუგდიდი)

ზუგდიდის მაზრაში უკვე დაიწყო სესხზე ხელის მოწერა. ჩატარდა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა, რომელმაც დიდი ნაყოფი გამოიღო სესხის რეალიზაციის საქმეში. დამხმარე კომისიები ყველგან აქტიურად მუშაობენ და ასრულებენ დავალებებს. დღემდე ზუგდიდში პროფკავშირების ხაზით გავრცელებულია 1.500 მანეთის ობლიგაცია. ხშირია შემთხვევები, როდესაც კავშირის წევრები ხელს აწერენ თვიურ ხელფასზე.

მაგ. ზუგდიდის მ.-კოოპერატივის თანამშრომელთა კრებამ დაადგინა, რათა 5 თვის განმავლობაში რეალიზაცია უყონ სესხს 2.501 მანეთის რაოდენობით.

### სესხის რეალიზაცია

#### ოზურგეთის მაზრაში

სესხის „ხუთწლედი ოთხ წელიწადში" პოპულარიზაციის კამპანია ოზურგეთის მაზრაში დაიწყო ივლისიდან. საკითხი დამუშავებული იქნა სამაზრო და სარაიონო კრედიტების ხელისშემწყობ კომისიების სხდომებზე. რაიაღმასკომებთან ჩამოყალიბებულია სავალიუტო უჯრედები. ადგილებზე უკვე ჩატარდა ორდღიანი კურსკონფერენციები. თემებზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი ამხანაგები და სხვ.

სამფინგანს შედგენილი აქვს კალენდარული გეგმები, რომლის მიხედვით სესხის რეალიზაცია უნდა დაწყებულიყო 24 ივლისიდან, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო კოლექტიურ ხელისმომწერთათვის ის გადადებული იქნა 10 აგვისტომდე.

ნავარაუდევია მაზრაში 277.000 მანეთის ობლიგაციების გავრცელება. აქედან კოლექტიურ ხელისმომწერლებზე 220.000 მან. ხელის მოწერა დიდი ენტუზიაზმით მიმდინარეობს. მთელ რიგ საწარმოებში და კოლექტივებში გამოაქვთ დადგენილება ერთი თვის ხელფასზე ხელის მოწერის შესახებ.

ოზურგეთის მიწა-ტყის კავშირის მუშაკებმა და საკრედიტო ამხ-ბის თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს ერთი თვის ხელფასზე.

ნატანების მთლიან კოლექტივის წევრებმა გამოიტანეს დადგენილება იმის შესახებ, რომ შეიძინონ 5.000 მანეთის ობლიგაცია.

სამფინგანის ცნობით, ჯერ კიდევ არაა მიღებული სესხის ობლიგაციები ნაღდზე სარეალიზაციოთ, რაც აფერხებს მუშაობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სესხის რეალიზაციის საქმეში სამპროფბიუროს, გარდა ცირკულიარების წერისა, არაფერი გაუკეთებია, რასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

**აგანელი**

### ბაღდათის რაიონში

ამ დღეებში შესდგა ბაღდათის ყველა კავშირის წევრ მუშა - მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, სადაც რაიაღმასკომის ინსტრუქტორმა მ. ბურჯანაძემ გააკეთა მოხსენება სახალხო მეურნეობის მდგომარეობისა და პერსპექტივებზე და ახალი სესხის მნიშვნელობაზე სოციალისტურ მშენებლობაში.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა ძველ ობლიგაციების ახალზე გადაცვლა და დამატებით ნახევარი თვის ხელფასის გადადება ახალი სესხის შესაძენად. კრებამ აირჩია სესხის გამავრცელებელი კომისია 5 კაცის შემადგენლობით, რომელიც იმუშავებს სარაიონო კომისიასთან ერთად.

კრებაზე დაწინაურებულმა მოჯამაგირე [illegible]შოვმა განაცხადა სურვილი ერთი თვის ხელფასის ობლიგაციის შეძენისა და ამ მიზნით გამოიწვია რამდენიმე ამხანაგი.

რაიპარტკომის მიერ გამოყოფილი აგიტატორები უკვე გაემგზავრენ რაიონის სოფლებში სესხის რეალიზაციის კამპანიის ხელის შესაწყობად. რაიონში საკმაოდ არ მოიპოვება შესაფერი პლაკატები.

**ი. იზორია**

—:—

სადგურ სურამის რკინის გზის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელმაც მოისმინა მოხსენება ახალი სესხის მნიშვნელობის შესახებ, დაადგინა მოაწერონ ხელი სესხზე ორი კვირის ხელფასის რაოდენობით.

# ცვლილებანი საქ. განსახკომში

## დადგენილება

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

1. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. დავით კანდელაკი განთავისუფლებულ იქნეს თანამდებობიდან მისი სხვა სამუშაოზე დანიშვნის გამო.

2. ამხ. მარიამ ორახელაშვილი განთავისუფლებულ იქნეს, თანახმად მისი თხოვნისა, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან, სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

3. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრად დაინიშნოს ამხ. გაიოზ დევდარიანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **თენგიზ ჟღენტი.**
1930 წ. აგვისტოს 29.
თბილისი — სასახლე.

# ფიზიკოსთა საკ. კონგრესის დელეგატები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ფიზიკოსთა სრ. საკავშირო 1-ლი კონგრესის მონაწილეთა ერთი ჯგუფი, რომელშიაც შედიან, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის სამეცნიერო ძალები.

ჩამოსულ ჯგუფში არიან: ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ფიზიკოსი **პ. ლუკირსკი,** ხარკოვის ფიზიკო-ტეხნიკური ინსტიტუტის პროფესორი ფიზიკოსი **ლ. შებნიკოვი,** ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი **ბ. პეირისი,** ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი **დებაი** და გამოჩენილი ლეიპციგელი ფიზიკოსის **პაულისის** ასისტენტები.

ფიზიკოსთა სრ. საკავშირო 1-ლი კონგრესი გაიხსნა ქ. ოდესაში 19 აგვისტოს. კონგრესს დაესწრო 300-მდე მეცნიერი საბჭოთა კავშირის საუნივერსიტეტო ქალაქებიდან და უცხოეთიდან. სულ უცხოეთიდან კონგრესზე დასასწრებლად მოპატიჟებული იყო 50-მდე ფიზიკოსი.

პროფ. ლუკირსკიმ აღნიშნა, რომ კონგრესის მუშაობას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან კონგრესმა განიხილა არა განყენებული, არამედ უმთავრესად ფიზიკის პრაქტიკულად გამოყენების საკითხებიც. კონგრესმა მუშაობა ჩაატარა სექციების საშუალებით. სულ კონგრესზე გამოყოფილი იყო შვიდი სექცია.

საქართველოში კონგრესის წევრები დარჩებიან ორი დღე და ამ დროის განმავლობაში გაეცნობიან ახალი მშენებლობის მიმდინარეობას.

კონგრესის დადგენილებით, ფიზიკოსთა სრულიად საკავშირო მეორე კონგრესი მოწვეული იქნება 1932 წლის აპრილში—თბილისში.

# საშუალო კვალიფიკაციის ტეხნიკოსების მომზადება

სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ყველა 10 წლედები გადაკეთებული იქნება სპეცტეხნიკუმებად.

ტეხნიკუმების პირველ კურსად აღიარებულია 10 წლედის მერვე ჯგუფი.

პედაგოგიურის გარდა, ყველა ტეხნიკუმები გადაეცა სათანადო სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ფინანსიური დახმარებით. ტეხნიკუმებად უკვე გადაკეთდა საქართველოში არსებული 64 ათწლედი. ავტონომიურ რესპუბლიკებში 10-წლედები ტეხნიკუმებად გადაკეთებული იქნება 1931-32 წლიდან.

ვინაიდან ახლად გადაკეთებული და არსებული ტეხნიკუმები ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნილებას საშუალო კვალიფიკაციის კადრებზე, განათლების კომისარიატი მომავალ სასწავლო წლიდან ხსნის დამატებით ახალ ტეხნიკუმებს რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში.

ყველა ტეხნიკუმში 1930-31 წლიდან სასწავლო ვადა შემოკლებულია 4 წლ. მაგიერ შესდება 3 წლ. კურსი. სამაგიეროთ შემოღებული იქნება განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკა და მჭიდრო კავშირი დამყარდება წარმოებებთან.

ტეხნიკუმების გამუშურების მიზნით, ტეხნიკუმებთან მოეწყობა ტეხნიკუმებში შესვლის მსურველ მუშების მოსამზადებელი კურსები. ადიდებული იქნება სტიპენდიების რიცხვი და უღარიბეს მოწაფეებისათვის გაფართოებული იქნება ინტერნატების ქსელი.

ინდუსტრიალურ განათლებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. წელს საქართველოში არსებობს 17 ინდუსტრ. ტეხნიკუმი, მომავალ წლიდან გაიხსნება კიდევ 21 ახალი ტეხნიკუმი, ხოლო 5 წლედის ბოლოს ე. ი. 1932-33 წლისათვის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმების რიცხვი აყვანილი იქნება 42-დე. ინდუსტრ. დარგში საშუალო კვალიფიკაციის ტეხნიკოსების მომზადება აგრეთვე იწარმოებს პროფკურსების საშუალებით. მომავალ წლიდან ასეთი კურსები სულ გაიხსნება 10. ამ კურსებზე უმთავრესად იწარმოებს უკვე წარმოებებში ჩაბმულ მუშაკების გადამზადება. 5 წლედის დამლევისათვის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმებში მომზადებული იქნება სულ 3170 ტეხნიკოსი.

აღსანიშნავია აგრეთვე სატრანსპორტო ტეხნიკუმების რიცხვის ზრდა. წელს არსებობს 4 სატრანსპორტო ტეხნიკუმი, მომავალ წლიდან კი იქნება 10. გარდა ამისა გაიხსნება 3 პროფკურსები. ტრანსპორტის დარგში 5 წლედის ბოლოს მომზადებული იქნება სულ 935 კაცი.

ფართოვდება საამშენებლო ტეხნიკუმების ქსელიც; მომავალ წლიდან დამატებით გაიხსნება 5 ახალი ტეხნიკუმი, სულ იქნება 7. ეს ტეხნიკუმები გამოუშვებენ 523 ტეხნიკოსს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სასოფლო მეურნეობის დარგში მომუშავე ტეხნიკოსების მომზადებას. მომავალ წლიდან სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმების რიცხვი 25-დან აყვანილი იქნება 52-მდე, ეს ტეხნიკუმები 5 წლედის ბოლოსათვის გამოუშვებენ 4.242 ტეხნიკოსს, საჭირო კი იქნება 5386, ასე, რომ დეფიციტი უდრის 1.144. სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით, ეს დეფიციტი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

განზრახული სასოფლო-სამეურნეო დარგის ტეხნიკოსებზე მოთხოვნილობა დაკმაყოფილებულ იქნება პროფკურსების საშუალებით. ასეთი კურსები 1930-31 წლიდან გაიხსნება 15.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით არაჩვეულებრივად ფართოვდება მოთხოვნილება მასწავლებლებზე. ამიტომ მომავალ სასწავლო წლიდან იხსნება მთელი რიგი პედაგოგიური ტეხნიკუმები—კომბინატები. ამ ტეხნიკუმ-კომბინატებს ექნებათ განყოფილებები: სასკოლო, სკოლის ჰასაკამდე აღზრდის, ფიზკულტურის, პიონერ-მოძრაობის და კულტმუშაობის. მომავალ წლიდან სულ იარსებებს 30 პედტეხნიკუმი. გარდა ამისა გაიხსნება 7 პედკურსები.

მედიკური ტეხნიკუმი გაიხსნება მხოლოდ ერთი. გარდა ამისა, მედპერსონალის, განსაკუთრებით ფარმაცევტების, მოსამზადებლად მოეწყობა სპეცკურსები.

სამრეწველო - ეკონომიური ტეხნიკუმები, მიუხედავად მათი ქსელის გაფართოებისა, მაინც ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. განსაკუთრებით გაიზრდება საკოლმეურნეო ანგარიშ-მცოდნეობის და კოოპერატიული ტეხნიკუმების რიცხვი.

მომავალ წლიდან ნაცვლად 6-სა, იარსებებს 17 სამრეწველო - ეკონომიური ტეხნიკუმი, შემდეგ წელში კი დამატებით გაიხსნება 5. 3 წლის განმავლობაში ეს ტეხნიკუმები სულ მოამზადებენ 1431 კაცს, მოთხოვნილება კი უდრის 4181. დეფიციტის დასაფარავად გაიხსნება კურსები. პროფკურსების საშუალებით 5 წლედის დამლევისათვის სულ მომზადებული იქნება 9.000 კაცზე მეტი, რომელთა დიდი ნაწილი გადაიგზავნება კოლექტივებში სამუშაოდ.

შინა-მრეწველობის ტეხნიკუმი მომავალ წლიდან გაიხსნება 3.

სამხატვრო-მუსიკალური ტეხნიკუმები მომავალ წელს იქნება 10. შემდეგ წელში კიდევ გაიხსნება 2. ეს ტეხნიკუმები 1932-33 წლის დამლევს გამოუშვებენ სულ 564 კაცს, აქედან 469-ს მუსიკალურ განათლებით და 195 სათეატრო ხელოვნების მუშაკს.

ჩამოთვლილ ტეხნიკუმების გარდა, მომავალ წლიდან გაიხსნება კიდევ შემდეგი ტეხნიკუმები: სახალხო კვების ტეხნიკუმი 2 (თბილისში და ქუთაისში), კომუნალური მეურნეობის 1 (თბილისში), პოლიგრაფიული (თბილისში) და ფოტო-ტეხნიკუმი (თბილისში).

უმაღლეს სასწავლებლების და ტეხნიკუმების გამუშურების მიზნით ყოველ ინსტიტუტთან ექნება მუშფაკი. მომავალ წლიდან სულ გაიხსნება 14 მუშფაკი. განსაკუთრებით გაფართოებული იქნება ინდუსტრიალური მუშფაკების ქსელი. თბილისში გაიხსნება 7 მუშფაკი, აქედან 3 ინდუსტრიალური, 1 მედიკური, პედაგოგიური, სოც.-ეკონომიური და სამხატვრო. ინდუსტრიალური მუშფაკები აგრეთვე გაიხსნება ქუთაისში, ჭიათურაში, სტალინისში, სამტრედიაში და სოხუმში; ბათომში კი მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო მუშფაკი.

მუშფაკის კურსდამთავრებულნი უმაღლესი ცოდნის მისაღებათ გაიგზავნებიან ინსტიტუტებში.

# ქრონიკა

### ინდუსტრიალური მუშფაკები

მომავალ სასწავლო წლიდან საქართველოში გაიხსნება 8 ინდუსტრიალური მუშფაკი, რომლებიც მოამზადებენ კვალიფიციურ მუშებს.

### მეღვინეობის მოკლევადიანი კურსები

1—15 სექტემბრამდე „საქართველოს ღვინო" მევენახეობის და მეღვინეობის სპეციალისტის კ. ბერეკაშვილის ხელმძღვანელობით ჩაატარებს მოკლევადიან კურსებს მეღვინეობაში შემდეგ სოფლებში: კარდანახში, გურჯაანში, ყვარელში და კურდღელაურში (კახეთში), ხარაგოულში, ზესტაფონში, თერჯოლაში, ბაღდათში და ხვანჭკარაში (დასავლეთ საქართვ.) და სოფ. ბოლნის-ხაჩინში (ბორჩალოს რაიონი). კურსებს ჩაატარებენ ადგილობრივი აგრონომები, რომლებსაც დაეხმარებიან ცენტრიდან დაგზავნილი სპეციალისტები. მსმენელები დაათვალიერებენ კახეთის და საქარის საცდელ სადგურებს. თითო კურსზე ჩაწერილია 25-30 მსმენელი.

### პროსტიტუციასთან ბრძოლა

პროსტიტუციასთან ბრძოლის გასაძლიერებლად სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა გადასდო 10.000 მანეთი.

### პელაგრის გაძლიერება

სიცხეების დაწყებამდე დასავლეთ საქართველოში პელაგრით დაავადებული იყო მოსახლეობის 10 პროცენტი, ამჟამად კი დაავადებულთა რაოდენობა გაიზარდა 15 პროცენტამდე. პელაგრის გაძლიერებას ხელი შეუწყო ძლიერმა სიცხეებმა. პელაგრის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად ჯანმრთელობის კომისარიატმა ადგილებს დაუგზავნა წამლეულობის ახალი პარტია და გააფართოვა საექიმო პუნქტები.

პელაგრასთან საბრძოლველად გუშინ გურიაში გაიგზავნა ახალი ექსპედიცია ექ. კანდელაკის მეთაურობით.

### „პროლეტარული მწერლობა"

დაიბეჭდა და გამოვიდა ჟურ. „პროლეტარული მწერლობა" № 7-8 (ივლისი-აგვისტო). შინაარსი: **ბ. ჩხეიძე** — მახლობელი (მოთხრობა), **პ. მ. საყვარელიძე**—დღენი და წლები (წიგნი პირველი), **გ. კაჭახიძე**—სალომო ტილოს კარავში (ლექსი), **პ. ჩხიკვაძე**—სართულები (რომანი), **მ. ჩიქოვანი**—ორი თვე (ნარკვევი), **ა. სულავა** — ახალი ეპოპეის გზები, **ვ. მაიაკოვსკი** — კლასი და პოეტი, **დ. ბენაშვილი** — ბრძოლა ახალი სტილისათვის, **გ. ნატროშვილი** — იმერეთის სერჟანტესი (დ. კლდიაშვილი), **დ. აბაშიძე**—პროლეტარული საბავშო ლიტერატურისათვის, **ბიბლიოგრაფია.**

# რადიო-გადაცემა

### შაბათი, 30 აგვისტო

**დილით** 8 ს. 30 წ.—10 საათამდე ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე". პროგრამაში ახალი ამბები და კონცერტი.

**საღამოთი** 10 კილოვატიანი რადიო-სადგურიდან გადაცემული იქნება: 19 ს.—19 ს. 25 წუთამდე გადაცემა ბავშთათვის, ქართულ ენაზე; 19 ს. 25 წ.—20 ს. 05 წუთამდე —რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; 20 ს. 05 წ.—20 ს. 45 წუთამდე გადაცემა სოფლისათვის: ლიტერატურული და მუსიკალური საათი, დროის შემოწმება, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; 20 ს. 45 წ.—21 ს. 15 წუთამდე ამხ. მახარაძის მოხსენება თემაზე „კომკავშირელთა და პიონერთა მონაწილეობა მოსავლის აღების კამპანიაში"—ქართულ ენაზე; 21 ს. 15 წ.—21 ს.—35 წ. ჟურნალი „წითელი ფიზკულტურელი"— რადიოთი ქართულ ენაზე; 21 ს. 40 წ.—24 საათამდე კონცერტი, უკანასკნელი ცნობები.

# შემთხვევები

### დაჯახება

იაყის ქუჩაზე ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი მიხეილ ტარასოვი, დაეჯახა ლევან ივანეს ძე ასიევს და მსუბუქად დაშავა.

### ტყის ხანძარი

სოფ. თელეთის გორაზე ტყეს გაუჩნდა ხანძარი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა. ზარალი უმნიშვნელოა.

### დაჭრა

იუნგურის ქუჩაზე ჩხუბის დროს უცნობმა პირებმა მსუბუქად დასჭრეს: კატო ჯორჯიშვილი, საშა ჩიკვაიძე და ძმები ივანე და პეტრე კირკუზაშვილები. კვლევა-ძიება სწარმოებს.

### ჯიბგირობა

იოსებ მჭედლიშვილს პუშკინის ქუჩაზე ჯიბიდან ამოაცალეს 80 მან.

### ქურდობა

გაქურდეს, მანია ზაქარიას ასული ქართველაძის ბინა, საიდანაც მოიპარეს 1.500 მან. ნივთები;—ივანე მირონოვს მოპარეს 120 მან. ნივთები.

# ნარევი

### მტრედები—მზვერავები

ავიაციის, რადიოს, ტელეფონის და ტელეგრაფის არაჩვეულებრივი განვითარების მიუხედავად, მტრედის ფოსტას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სამხედრო ნაწილებში. განსაკუთრებითი დიდი ყურადღება ექცევა მტრედის ფოსტას გერმანიის არმიაში. გაფრენის სიშორის რეკორდი დაამყარა გერმანიის სამხედრო უწყების მტრედმა, რომელმაც 1500 კილომეტრი გაიარა. ფრენის საშუალო დისტანცია კი საგრძნობათ ნაკლებია—100—300 კილომეტრი. ფრენის სისწრაფე საშუალოდ აღწევს 50—60 კილომეტრს საათში.

ახალ ნაბიჯს სამხედრო საქმეში მტრედების გამოყენების მხრივ წარმოადგენს გამოგონება პატარა ფოტო-აპარატის, რომელსაც ამაგრებენ საფოსტო ფრინველზე და რომელიც დროის განსაზღვრულ შუალედებში იღებს იმ ადგილმდებარეობის სურათს, რომელზედაც მტრედი მიფრინავს. ამ სურათების მიხედვით შემდეგ ადგენენ ადგილის რუკას. ეს აპარატი მტრედს აქცევს საჰაერო დაზვერვის იარაღად.

### ხორცის დაცვა გაფუჭებისაგან

ამერიკაში აღმოაჩინეს ხორცის გაფუჭებისგან დაცვის ახალი საშუალება. ეს საშუალება მდგომარეობს ხორცის ერთბაშად გაცივებაში (თხიად ნახშირმჟავაში) რამდენიმე ათეული გრადუსით ნოლს ქვევით. ასეთი გაცივების წყალობით ხორცი არა თუ დაცულია გაფუჭებისაგან, არამედ მთლიანად ინარჩუნებს თავის გემოს და ნოყიერებას.

# ოფიციალური განყოფილება

## დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### საბინაო - საიჯარო კოოპერაციის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

საბინაო-საიჯარო კოოპერატიული მოძრაობის განსამტკიცებლად და მშრომელთა საბინაო და ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს, საქართველოს სსრ საბინაო კოოპერაციის კავშირის მონაწილეობით, უზრუნველჰყონ, რათა საბინაო-საიჯარო კოოპერატიულმა ამხანაგობებმა განახორციელონ „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ" გამოცემული ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა-კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების (ა-კფსრ კას. კრ 1928 წ. 21 №-ი, მუხ. 252) მე-6 მუხლის „ვ" ლიტერით მათთვის მინიჭებული უფლება—მათ მიერ იჯარით აღებული სახლების საერთო შემოსავლის 5 პროცენტის ამ სახლებში მობინადრეთა ყოფა-ცხოვრების კოლექტიური მომსახურეობის მოწყობაზე მიქცევისა.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის საჭირო ხარჯები შეტანილ უნდა იქნეს ნორმირებულ ბიუჯეტით გათვალისწინებული სახლთმფლობელობის საექსპლოატაციო ხარჯებში კანონით დადგენილი ბინის ქირის გაუდიდებლად.

2. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს—იმ სადგომებზე, რასაც საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი იჯარით აიღებენ კულტურული და ყოფა-ცხოვრების ხასიათის დაწესებულებათა მოსაწყობად, ქირა დააწესონ არა უმეტეს, ვიდრე სადგომების ქირის არსებული ტარიფის 50 პროცენტის რაოდენობით.

3. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს — გაითვალისწინონ საბინაო ფონდის კაპიტალების გამოყენების გეგმებში, გრძელვადიანი დაკრედიტების პრინციპის საფუძველზე, იმ თანხების გამოყოფა, რაც საჭიროა საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის იჯარით გადაცემული სახლების კაპიტალური რემონტის გასაკეთებლად.

სესხი საბინაო ფონდის ადგილობრივი სპეციალური კაპიტალების სახსარიდან გაიცემა ვადით 2-დან 8 წლამდე სესხის რაოდენობისა და საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის ბიუჯეტის მდგომარეობის მიხედვით. ასეთი სესხის საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 3 პროცენტს წლიურად.

4. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს მოახდინონ 1930 წ. ოქტომბრის 1-თვის ლიკვიდაცია კომუნალური ორგანოების მიერ სახლების უშუალო ექსპლოატაციისა (სამანევრო ფონდში შემავალი სახლების გამოკლებით) საბინაო-საიჯარო კოოპერაციის შემდგომი განვითარებისა და სახლთა ტრესტების მოწყობის საშუალებით, აგრეთვე საწარმოთა საბინაო საჭიროებისათვის და სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის იჯარად გადაცემით.

5. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობებისათვის საიჯარო ქირის დაწესების დროს და საბინაო კოოპერაციის მიერ იჯარით აღებული სავაჭრო-საწარმოო სადგომების შემოსავლის ანარიცხების განსაზღვრის დროს მიიღონ მხედველობაში, რომ საჭიროა საბინაო კოოპერაციისათვის შეიქმნას ისეთი პირობები, რაც ხელს შეუწყობს საცხოვრებელი სადგომების ნორმალურ ექსპლოატაციას; ყოველ შემთხვევაში, ეს პირობები სახლთა ტრესტებისათვის შექმნილ პირობებზე ნაკლებ ხელსაყრელი არ უნდა იყოს, კერძოდ საბინაო-საიჯარო კოოპერაცია გადასახადებით დაბეგვრის მხრით გათანაბრებულ უნდა იქნეს სახლთა ტრესტებთან.

საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა შორის რემონტისათვის კრედიტების განაწილების დროს კომუნალურმა ბანკებმა მხედველობაში უნდა მიიღონ: ა) რამდენად დაძველებულია სახლი, ბ) რა სოციალური შედგენილობისა არიან იმ სახლში მობინადრენი, რომელსაც რემონტი უნდა გაუკეთდეს და გ) რა მდგომარეობაშია სახლის ბიუჯეტი.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: —**
**გ. მგალობლიშვილი.**
**საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—**
**პ. მეგრელიშვილი.**

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**დღეს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ. კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში** შესდგება თათბირი **საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შესახებ.** დღის წესრიგში სდგას **განათლების კომისარიატის მოხსენება.**

თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებმაც თან უნდა იქონიონ პრაქტიკული წინადადებები სავალდებულო სწავლების შესახებ; საქართველოს კომკავშირის ცენტრალ. კომიტეტის, სახელგამის, საბჭინვესტის, რადიოცენტრის, პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს, საზ. „წერა-კითხვა"-ს, სარეწაო კოოპერაციის კავშირის, რედაქციების, განათლების კომისარიატის, ფინანსთა კომისარიატის, სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, განათლების მუშაკთა კავშირის, კოლმეურნეობათა ცენტრის, ცეკავშირის, მუშკოოპის, თბილისის განათლების განყოფილების და საქართვ. ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციების ცენტრალურ ბიუროს წარმომადგენლები.

—:—

**საქ. ს.პ. ი.-ს** ხის დამუშავების სპეციალობის ყველა კომკავშირელი და უპარტიო სტუდენტები ვალდებული არიან 1-დან 5 სექტემბრამდე გამოცხადდნენ ამხ. ტ. ყუფუნიასთან სას.-სამეურნეო ინსტიტუტში (მე-2 სართული, ოთახი № 17).

აღნიშნულ ვადაში ვინც არ გამოცხადდება—მექანიკურად დარჩება ინსტიტუტის გარეშე.

—:—

ამიერ-კავკ. საგზაო ინჟენრების ინსტიტუტის მიმღები კომისია სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს: ვას. ნანუაშვილს, კონსტ. ჩარგეიშვილს, ვას. მოტილინს, ირაკლი მარსაგიშვილს, ივანე პავლიაშვილს და ელენა სალუქვაძეს 30 აგვისტოს დილის 10 საათისათვის გამოცხადდნენ ინსტიტუტის კანცელარიაში.

**კვირას 31 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე** საქ. კ.პ. (ბ)ც.კ. პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში შესდგება კონსულტაცია შემდეგ თემაზე: „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის მნიშვნელობა". კონსულტანტი ამხ. კოლიუხი.

—:—

**დღეს, დილის 12 საათზე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის შენობაში** შესდგება გაფართოებული თათბირი საქართველოში მეღორეობის განვითარების შესახებ. თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ ქვემოჩამოთვლილი ამხანაგები: შუაულოვი (მიწსახკომი), ნიჟარაძე (მესაქონლეთა კავშირი), დოლონაძე, მესხიძე (კოლმეურნეობათა ცენტრი), ციმაკურიძე (საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), ცერონი („სოიუზმიასო"), „ვსინეკოდ"-ის, მიწა-ტყის მუშათა კავშირის, „ზაკსელსოიუზ"-ის, გაზ. „კოლექტივიზაცია"-ს, „პროლეტარი"-ს, „კომუნისტი"-ს და „ახ. კომუნისტი"-ს პ.მგ. წარმომადგენლები.

**საქ. ა.ლ.კ.კ. ცეკა** ატარებს 50 კომკავშირელის მობილიზაციას სოფლებში გასაგზავნად პედაგოგიურ დარგში სამუშაოდ. ყველა კომკავშირელი, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება ან დაამთავრეს სპეც. პედტეხნიკუმები, 1-ლ სექტემბრამდე უნდა გამოცხადდნენ სათანადო რაიკომებში ან განათლების და ყოფა-ცხოვრების განყოფილებაში (ს.ა.ლ.კ.კ. ცეკა) ამხ. შახბატიანთან.

—:—

**საქ. კ. პ. (ბ) 26 კომ. სახ. რაიკომის** შენობაში (კახეთის ქ. 1, მე-2 სართული) 30 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, შესდგება თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ ტრესტების, ქარხნების და ფაბრიკების დირექტორები, კომუჯრედთა მდივნები, ფაბქარხკომების ფრაქციები და ტრესტების და დაწესებულებების კადრების განყოფილებათა გამგეები.

დღის წესრიგი: პარტიის დირექტივების შესრულების შესახებ კადრების მომზადების საქმეში.

# კოოპერაციის მუშაობა უნდა გარდაიქმნას

კოოპერაციის ამოცანაა, რაც შეიძლება დარაზმულათ გადალახოს ის სიძნელენი, რომლებიც ჩვენ გვაქვს ამჟამად საქონლით მომარაგების საქმეში.

მართალია, ჩვენ ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება საკმარისი სურსათ-სანოვაგე (ეს მოვლენა დროებითია და მას, როგორც განაცხადა ამხ. მიქოიანმა, მსუბუქი მრეწველობის განვითარებასთან ერთად თანდათანობით ბოლო მოეღება), მაგრამ ეს არ ხსნის პასუხისმგებლობას მუშკოოპს იმ არევ-დარევისათვის, რომელსაც ადგილი აქვს არსებულ სურსათ-სანოვაგის განაწილების საქმეში. უნდა ითქვას, რომ ის პროდუქცია, რომელსაც ღებულობს მუშკოოპი დამამზადებელ ორგანიზაციებიდან, წესიერად არ ნაწილდება. საქონელი, რომელსაც ღებულობს მუშკოოპი, მოუვლელობით ხშირად ფუჭდება და, მომხმარებლის ხელში მისვლამდე, კარგავს თავის წინანდელ ხარისხს. მუშკოოპის ზოგიერთი თანამშრომლები (დუქნების გამგეები და გამყიდველები) სრულებით ვერ ერკვევიან ვაჭრობის საქმეში. მათ არ იციან საქონლის მოვლა. მუშკოოპის დუქნებში უთავბოლოდ ყრია ხილი და ბოსტნეული, კომბოსტო და კარტოფილი თაროებზე აწყვია, მაშინ, როდესაც ის ცივ ადგილზე უნდა ინახებოდეს. საქონლის გაცემა ხდება უწესრიგოდ.

ამხ. ერისთავმა საქართველოს კომპარტიის მე-7-ე ყრილობაზე, ამხ. ლოლობერიძის სამართლიან მითითების საპასუხოდ განაცხადა: ბრალი ქალაქის ცუდ მომარაგებაში მიუძღვის უმთავრესად დამამზადებელ ორგანოებსო. ნაწილობრივ ეს განცხადება, რა თქმა უნდა, სიმართლეს შეეფერება. მაგრამ უკვე დამზადებულ საქონლის განაწილებაში, მის ცუდ შენახვაში, სავაჭროების მუშაკთა სათანადო კადრების უყოლობაში დამამზადებელ ორგანოები ნაკლებად არიან დამნაშავე. როგორც ვიცით, ზოგიერთი სურსათ-სანოვაგის დამზადების საქმე გადაცემული აქვს თვით მუშკოოპს. მაგალითად, ბოსტნეულობას მთლიანად მუშკოოპი ამზადებს. ისმება საკითხი: როგორ ამზადებს მას მუშკოოპი?—არა საკმარისად. მუშკოოპის დუქნებში სისტემატიურად არ იშოვება ხახვი და სხვა ბოსტნეულია. ამას მუშკოოპის ზოგიერთი მუშაკები გადასაზიდ საშუალებათა უქონლობას მიაწერენ. ასეთი ახსნა არ არის სწორი, ან სხვანაირად, რომ ვსთქვათ იგი ბიუროკრატიულია. ხუ თუ ამ საკითხის გადაჭრა თავის დროზე არ შეიძლებოდა მითუმეტეს, რომ გადასაზიდ საშუალებათა საკითხის მოწესრიგების შესახებ მუშკოოპს ადრე ჰქონდა მიცემული პირდაპირი მითითება სათანადო პარტიულ ორგანოების მიერ.

ავიღოთ მომარაგების მეორე მხარე—რიგების, ანუ „კუდების" საკითხი. რიგების მიზეზად ზოგიერთ შემთხვევაში საქონლის ნაკლებობა უნდა ჩაითვალოს. მაგრამ გაუგებარია, თუ რა იწვევს რიგებს პურის წიგნაკების გაცემის ან მიმაგრება-გადაყვანის საკითხის მოგვარების დროს. აშკარაა, რომ აქ ადგილი აქვს უსისტემობას, საქმის უცოდინარობას. წიგნაკების მიღების დროს მუშა-მოსამსახურეებს უხდებათ რიგში დგომა ორი-ორი, სამ-სამი დღე. ეს ხდება იმიტომ, რომ მუშკოოპის თანამშრომლები სწორ პასუხს არ აძლევენ მოქალაქეებს განსაკუთრებით საბუთების წარდგენის დროს. ცნობათა ბიურო, რომელიც აუცილებლად საჭიროა წიგნაკების გამცემ სექციასთან არ არსებობს. კონტროლიორი, რომელსაც ევება მოქალაქეებისათვის ახსნა-განმარტების მიცემა ამ თუ იმ გაუგებრობის შემთხვევებში, სრულებით ვერ ერკვევა, მოქალაქეებს უშვერი სიტყვებით მიმართავს. ასეთი თანამშრომლები მუშკოოპის დაწესებულებებში საკმაოდ მოიპოვებიან. საჭიროა არის სათანადო ზომების მიღება მუშკოოპის მუშაკთა შემადგენლობის გასაჯანსაღებლად. აგრეთვე საჭიროა მუშგლეხინმა მიაქციოს სათანადო ყურადღება კოოპერაციის აპარატის რაციონალიზაციას. უნდა მიღებულ იქნას ზომები მუშკოოპის თანამშრომლების, განსაკუთრებით დუქნების ხელმძღვანელების, კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ამ ღონისძიებათა გატარება აუცილებელია მუშკოოპის საქმიანობის სათანადო დონეზე დასაყენებლად.

**შ. წითლიძე.**

**დღეს, 30 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე,** მბეჭდავთა კლუბში (კომინტერნის ქ. № 5) ახალგაზრდობის სექციის დარბაზში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიონის კომუჯრედების მდივნების, ფაბ. ქარხკ. ფრაქც. თავმჯდომარეების, დაწესებულების ხელმძღვანელების — პარტიის წევრების და კომკავშირის უჯრედების მდივნების კრება.

**ვინაიდან კრების დღის წესრიგში მნიშვნელოვანი საკითხებია დასმული, ზემოთ დასახელებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა პარტდისციპლინის ძალით.**

**დღეს, 20 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომის შენობაში შესდგება თბილისის რკ. გზ. ქსელის მუშკორების და ნაბეჭდ გაზეთების: „ჩვენი საყვირი"-ს, „წითელ დეპოელი"-ს და „რეგულიატორი"-ს სარედაქციო კოლეგიების სხდომა

**დღის წესრიგი:** შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვა და მუშკორების ამოცანები. მომხსენებელი ამხ. **სააკიანი.**

დასწრება სავალდებულოა.

მედსანშრომის მუშაკთა
კლუბი
(ყოფ. „სტელა")
ალმასკომის ქ., 13

სიმფონიური ორკესტრის კონცერტი დღეს, 30 აგვისტოს
**ქართული მუსიკის საღამო ე. ს. მიქელაძის** ხელმძღვანელობით
და სახ. ოპერის მსახიობის ნიკო ქუმსიაშვილის და ე. კაპელნიცკის (ვიოლონჩელი) მონაწილეობით.
პროგრამა ვ. გოკიელის, ტუსკიას, დოლიძის, კილაძის, თაქთაქიშვილის და ზაქ. ფალიაშვილის ნაწარმოებებიდან. ცუდი ამინდის გამო კონცერტი არ გადაიდება.
დასაწყისი საღ. 9½ საათ. ბაღში კინო.
სტუდენტებს კონცერტზე შეუშვებენ შეღავათიანი ბილეთებით, რისთვისაც მათ უნდა წარადგინონ მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით.
ნ. 1298 2-1 დირექტორი ალ. გველესიანი.

საზაფხ. ეთერი
(სახ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 30 წ. II ს. 9 ს. 50 წ., III ს. 11 ს. 10 წ.
ახალი ამერიკული კომედია
**მაიმუნების თეატრი**
გროტესკი 7 ნაწილად.
მთ. როლში ხიდ ჩაპლინი

საზაფხ. აპოლო
(დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 30 წ. II ს. 9 ს. დ 50 წ. III ს. 11 ს. დ 10 წ.
ახალი მხატვრული ფილმი
**ქალის ჰიგიენა**

უფასო კინო-ეკრანი
ფუნიკულიორზე
I სეანს. დასაწყ. 9 საათზე.
**მოჩვენება, რომელიც არ ბრუნდება.**

საზაფხულო პალასი
1-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.
**„მობრუნება"**

რ. ლიუქს. სახ. კინო (ყ. მინიონი) I-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.
**„გაფირი და მარიამი"**
თეატრში ვენტილიაციაა.

პროფესორი
**გრ. მუხაძე**
წასულია თბილისიდან და დაბრუნდება სექტემბრის პირველ რიცხვებში. 13—1

მალე
საზღვარგარეთული სურათი, „ედერ-ფილმ-პარიზი"-ს ნაწარმოები გუსტავ ფლობერის უკვდავი რომანის მიხედვით
**„სალამბო"**
ისტორიული ტრაგედია 7 ნაწ.
დადგმა რეჟ. პერ მარდონის.
ნ. 1296

## ს.ს.ს.რ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი ამით აცხადებს,

**რომ თხოვნების მიღების ვადა თბილისის საექიმო ტეხნიკუმებში გაგრძელებულია 1 სექტემბრამდე**

საექიმო ტეხნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირნი 17—30 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ 9 წლედი; სწავლა ტეხნიკუმში იწარმოებს 2½ წელს.

1 და 3 საექიმო ტეხნიკუმები (საექიმო-პროფილაქტიური) ამზადებენ საშუალო საექიმო პერსონალს სამკურნალო დაწესებულებათათვის. მე-3 საექიმო ტეხნიკუმში 2 სექტორია: ქართული და რუსული.

მე-2 საექიმო ტეხნიკუმი, სადაც არის ქართული და რუსული სექტორები, ამზადებს საშუალო საექიმო პერსონალს სანიტარულ-ჰიგიენურ, დედობის და ბავშვობის დაცვის და სხვა დაწესებულებათათვის.

**განცხადების მიღება სწარმოებს:**

1—საბებიო-ჰიგიენურ ინსტიტუტში (ლენინის ქ. № 50).
2—სოციალურ-ჰიგიენის „ (ლუნაჩარსკის ქ. № 12).
3—კამოს ქ. № 53.

ნ. 1259 ს.ს.ს. ჯანსახკომი.

**ალმასკომის კომუნალური მეურნეობის საიჯარო-საექსპლოატაციო განყოფილება**

**აცხადებს, რომ სავაჭრო-სამრეწველო სადგომები (დარაბები) საცხოვრებლად არ იცემა,**

რის გამო ამ საკითხზე შეწყვეტილია მთხოვნელების მიღება. სავაჭრო - სამრეწველო სადგომების (დარაბა) თვითნებობით დამკავებელი, ანდა მისი საიჯარო-საექსპ. განყ. დაუკითხავად სხვა პირზე გადამცემი, სასტიკად დაისჯება თანახმად არსებული კანონებისა.

**ალმასკომის საიჯ.-საექსპლ. განყოფილება.**

3—3 ნ. 1281

ოლქფინგანის სააუქციონო კამერა
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 31 აგვისტოს და 1-ლ სექტემბერს დანიშნულია
**საჯარო ვაჭრობა**
ოლქფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად. გაიყიდება შიფანერკები, ბუფეტები, მაგიდები და სხვა საოჯახო ნივთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დილის 11 საათიდან. ნ. 1297

**ცეკავშირის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დაიკარგა რკ. გზ. ზედნადებები:**

№ № 56560—მახაჩკალ—სამტრედია, 9352 სტავროპოლი—ჭიათურა, 8909 იორი—ქუთაისი, 2891 თბილისი—ბადიაური, 19282 ლენინაკანი—ბადიაური, 1595 როსტოვი—ახალ-სენაკი, 3199 ბაქო—თბილისი, 482, 483, 484, 485, 486, 487, 488, 490, 492, 493, 491—ბერეზოვკა—ზუგდიდი, 258 აკარად — ქუთაისი, 259 აკარეა—ქუთაისი, 2127 მოსკოვი—თბილისი, 107048 მოსკოვი—თბილისი, 50055, 50090 ნოვოროსისკი—სამეგახო, 59479 იორი—ბათომი, 59484 იორი—ქუთაისი, 250502 მოსკოვი—თბილისი, 45015 პეკმა—თბილისი, 46807/1680 ოდესა—თბილისი, 65915 მოსკოვი—თბილისი, 19772 სოიუზხერ—ჭიათურა, 24540 ყარაია—ჭიათურა, 24541 ყარაია—ჭიათურა, 24553 ყარაია-ჭიათურა, 24433 ყარაია—ჭიათურა, 12316 ომუტ—ჭიათურა, 115789 პრიკუმოკ—ჭიათურა—რაც ჩაითვალოს ძალა დაკარგულად. 4788

**საჭიროა**
**ტეხნიკოსები—გამომკვლევნი**
**მნიველირებლები**
**ტახეომეტრისტები**
**უფროსი ტეხნიკოსები**
**ჰიდროტეხნიკოსები** მდ. კოდორში ხე-ტყის დაცურების პირობების გამოსაკვლევად.
[illegible]
პირობების გაგება შეიძლება: ა-კ. ფედერაციის ქუჩა, 1 (თავისუფლების მოედნის კუთხე), ზხიბმშენის საპროექტო ბიურო, საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე ინჟ. ზემლიანოისთან, ან წერილობით: სოხუმი, ს.მ.უ.ს-ს, კოდორის ექსპედიცია. ნ. 1280 2-2

## ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— პირადობ. მოწმობა № ბ 81 ბირბიჩაძის სახელზე. 4798
— პურის წიგნაკი № 70979 თამარა საყვარელიძის სახელზე.
— სამხედრო წიგნაკი და ფეხსაცმელის ორდერი მარქარ შარმაზანოვის სახელზე. 4789
— მუშკოოპის წიგნაკი № 30996 ვასილ გიორგის-ძე თუხარელის სახ.
— მუშკოოპის წიგნაკი № 1999 ადილ რახიმ ოღლის სახელზე. 4803
— პურის წიგნაკი არაბი ჩარქსელიანის სახელზე. 480[illegible]
— პურის წიგნაკი გრიგოლ შოვნაძის სახელზე. 4805
— მუშკოოპის წიგნაკი № 2429—მამედ-ალი-ქიარიმ ოღლის სახ. 48[illegible]4
— რკინის გზის წლიური ბილეთი № 00015,9—გიორგი ლევანის-ძე ელიაშვილის სახელზე. 4786
— მუშკოოპის წიგნაკი და პურის წიგნ. ალექსანდრე დიხამინჯიას სახ.
— რძის აბონემენტი მიხა ნიკოლაიშვილის სახელზე. 4783
— მეტრიკული ამონაწერი თალიკო რაჟდენის ასული ლაგვილავას სახ.
— მეტრიკული ამონაწერი ნინო რაჟდენის ასული ლაგვილავას სახელ.
— პარტბილეთი № 0850034 და კავშირის წიგნაკი № 060964—ვარლამ ერისტოს-ძე სანოძეს სახელზე. 4786
— პურის წიგნაკი პავლე დალაქოვის სახელზე. 4800
— რძის ტალონი პ. ქყონიას სახელზე. 4801
— სანგარიშო წიგნაკი პ. ჩხენკელის სახელზე. 4797
— კავშირის წიგნაკი № 21255 შალვა სალამაძის სახელზე. 4797
— დაზღვევის წიგნაკი № 43 ქეთო ავალიანის სახელზე. 4795
— საავადმყოფოს ფურცელი შუშანა შუბითიძის სახელზე. 4794
— სამხ. სამსახურში უვარგისობის მოწმობა ილარიონ პორფილეს-ძე ჩაჩანიძეს სახელზე. 4793
— მეტრიკული ამონაწერი ოთარ კარიჭაშვილის სახელზე. 4792
— მეტრიკული ამონაწერი გივი ჟღენტის სახელზე. 4791
— პურის წიგ. „ბ" ზოტიკ ხელაშვილის სახელზე. 4790

კვირას, 31 აგვისტოს, 5 საათზე, ძმათა სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ
**ვალოდია (ვლადიმერ) ათანასეს ძე**
**შილაკაძის**
ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს სამუდამოდ გაუბედურებული და აცრემლებული მშობლები: მამა ათანასე, დედა ნადია და ძმა შოთა შილაკაძე. 4799

გაუბედურებული მეუღლე მარიამ, გულმოკლული შვილები: ქეთევან კანდელაკისა, ნინო და თამარ კვანტალიანები, სიძე გური კანდელაკი, ძმა ალექსი კვანტალიანი, რძალი ანტონინა: შვილიშვილები: ნათელა და ლილი იუწყებიან, რომ 28 აგვისტოს უეცრად გარდაიცვალა
**თედორე პეტრეს ძე კვანტალიანი**
დაკრძალვა კვირას, 31 აგვისტოს, 4 საათზე, ქუთაისში, ორჯონიკიძის ქუჩა. № 33. 4787

ღრმად დამწუხრებული მშობლები: დედა სოფიო აზარიას ასული, მამა ქრისტესია გიორგის ძე, და მარუსია და სიძე ესტატე კახხოშვილები, და ეკატერინე ძაბელაშვილი, რამიდა სოფიო გიორგის ასული ძაბელაშვილი ღრმის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფას
**ვანო ძაბელაშვილის**
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან—სერგიევის ქ. № 14. 4 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ე)

— პარტბილეთი № 0858346 და ცაკის საკანდიდატო მანდატი № 90 ვალიკო გეგაურის სახელზე. ნ. 1295
— რკინის გზის წლიური ბილეთი № 1034 ვლადიმერ ქასრაშვილის სახ.
— რკინის გზის პირადობის მოწმობა № 57 ვლადიმერ ქასრაშვილის სახელზე. 4807
— კოოპერატივის წიგნაკი № 2340 კირილე გიორგის-ძე ქუჩულორიას სახელზე. 4807
— მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 25217 და საურთიერთო დამხმარე სალაროს წიგნაკი კოლა ჯანდიერის-ძე გზირიშვილის სახ.
— მოწმობა № 2010 ოჯახის შემადგენლობის შესახებ გრიგოლ ლ. სართანიას სახელზე. 4778
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 283 ყაზანა სისოს ძე კეკელიას სახელზე. 4778
— სამხედრო წიგნაკი № 956 ლუკა სარდიონის-ძე ლუხუტაშვილის სახ.
— სამხედრო წიგნაკი № 1238 იულონ არტემონის-ძე ბობოხიძის სახ.
— ტეხნიკუმის ატესტატი № 74 ძარო მაჭარაძის სახელზე. 4778
— შვიდწლედის დამთავრების მოწმობა ხიკოლოზ ბესარიონის-ძე დვალის სახელზე. 4778
— პირადობის მოწმობა № 3953 მარიამ არქიფოს ასულ ვეფხვაძის სახ.
— პირადობის მოწმობა № 3953 ელენე არქიფოს ასული ვეფხვაძის სახელზე. 4779
— პირადობის მოწმობა მანუახ ხაიპის-ძე წიწვაშვილის სახელზე. 4779
— კოოპერატივის წიგნაკი № 456 ანდრო მეტრეველის სახელზე. 4779

ტირაჟი—55.463
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68
მთავლიტი № 904